Global Compact
Network Georgia

შვედეთი
Sverige

კორპორაციული მდგრადობის ჯილდო

2025

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ეფეს საქართველო

მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების გაძლიერება და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის

2011 წლიდან დღემდე, ფონდმა ნატახტარმა, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოსთან" პარტნიორობით, მხარი დაუჭირა 700-ზე მეტ მზრუნველობამოკლებულ ახალგაზრდას და დახმარების სახით გასცა 1.14 მილიონი ლარი.

პროგრამა ფოკუსირებულია განათლების, დასაქმებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ხელშეწყობაზე – მიმართულებებზე, რომლებიც ბენეფიციარებს დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლაში ეხმარება. დღეისთვის, 355-მა ახალგაზრდამ გაიარა პროფესიული მომზადება, 73-მა მიიღო უმაღლესი განათლება, 235-მა გაიარა სტაჟირება, ხოლო 719 ახალგაზრდას ფსიქოლოგიური მხარდაჭერა გაეწია.

ამჟამად, მონაწილეთა 90%-ზე მეტი დასაქმებულია, მათგან უმეტესობა – სტაბილურ სამუშაო ადგილებზე, რაც ნათლად ადასტურებს პროგრამის მდგრად ზეგავლენას.

ფონდის საქმიანობა გრძელვადიან გავლენას ახდენს – ის ეხმარება მოწყვლად ახალგაზრდებს, გახდნენ თვითკმარი, დამოუკიდებელი და სრულად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში. განათლების, დასაქმებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის გზით, ინიციატივა არღვევს სიღარიბისა და დამოკიდებულების მანკიერ წრეს და ამავდროულად, აძლიერებს საზოგადოების მდგრადობას. ბენეფიციარები იძენენ თავდაჯერებულობას, ემოციურ სტაბილურობასა და აუცილებელ ცხოვრებისეულ უნარებს, რაც მათ აძლევს საშუალებას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცხოვრებაში. ინიციატივა, ასევე, ზრდის საზოგადოებრივ ცნობიერებას იმ გამოწვევების შესახებ, რომლებსაც ახალგაზრდები სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების დატოვების შემდეგ აწყდებიან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს თანაგრძნობის, ინკლუზიურობისა და სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის ამაღლებას.

ფონდი ნატახტარი აძლიერებს ეფეს საქართველოს რეპუტაციასა და ნდობას დაინტერესებული მხარეების მხრიდან, რაც კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის ლიდერად წარმოაჩენს. პროექტი იწვევს კეთილგანწყობას მომხმარებლებსა და პარტნიორებს შორის, მხარს უჭერს სამუშაო ძალის განვითარებას და აძლიერებს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო ინსტიტუტებთან. ახალგაზრდების გაძლიერებაში ინვესტირებით, ეფეს საქართველო ბიზნესის წარმატებას გრძელვადიან საზოგადოებრივ სტაბილურობასა და მდგრად ზრდასთან აერთიანებს.

ჰერბია

ენერგოეფექტური და უნარჩენო საწარმო სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის

ჰერბია საკუთარ წარმოებაში მზის ენერგიას იყენებს, რითაც ამცირებს ემისიებს და ხელს უწყობს კომპანიის მიზანს – გახდეს სრულად ენერგოეფექტური და ნულოვანი ნარჩენების საწარმო. დაგეგმილი ორგანული ნარჩენების გადამუშავების სისტემა უზრუნველყოფს მის 100%-ით ორგანულ სასუქად გადაქცევას, რაც აუმჯობესებს ნიადაგის ჯანმრთელობას და წარმოების ციკლს ხურავს. ამით ჰერბია პოზიციონირდება, როგორც ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი მეურნეობის ლიდერი საქართველოში.

კომპანია ხელს უწყობს სურსათის უსაფრთხოებას მთელი წლის განმავლობაში ადგილობრივი, ნატურალური მოსავლის მოყვანით და უზრუნველყოფს სტაბილურ დასაქმებას იმერეთის რეგიონში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჰერბია სტუდენტებს სტაჟირებებსა და ტრენინგებს სთავაზობს, რაც ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებასა და ინოვაციურ სოფლის მეურნეობაში ჩართვას უჭერს მხარს. სოფლის განვითარების მუზეუმისა და აგროეკოტურიზმის ინიციატივების მეშვეობით, კომპანია ხელს უწყობს განათლების, კულტურული მემკვიდრეობისა და სოფლის განვითარების გაძლიერებას.

გარდა ამისა, ჰერბია უსასყიდლოდ აწვდის ახალ პროდუქტს ადგილობრივ თავშესაფრებს, რითაც მხარს უჭერს მოწყვლად ჯგუფებს და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებისადმი საკუთარ ერთგულებას ადასტურებს.

ჰერბიას ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი – კულტივაციიდან საცალო ვაჭრობამდე – ეფექტურობასა და ხარისხს უზრუნველყოფს. 500-ზე მეტ პარტნიორ ფერმერთან და ისეთ მსხვილ საცალო ქსელებთან, როგორიცაა კარფური და აგროჰაბი, თანამშრომლობით, კომპანია აფართოებს ბაზრის მასშტაბებს და ამავდროულად ხელს უწყობს მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას. მზის ენერგიასა და გადამუშავებაზე დაფუძნებული მიდგომა, ხარჯების შემცირებასთან ერთად, აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას და აყალიბებს ინოვაციურ და მდგრად ბიზნეს მოდელს.

THE
BILTMORE
TBILISI

სასტუმრო ბილტმორ თბილისი

მეტი ვიდრე სტუმარმასპინძლობა: ნულოვანი შიმშილისკენ სწრაფვა

სასტუმრო ბილტმორ თბილისის მთავარი CSR ინიციატივა მიზნად ისახავს საქართველოში სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრას, რაც გაეროს მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს შეესაბამება. სასტუმრო უზრუნველყოფს სამჯერად კვებას 300-ზე მეტი თანამშრომლისთვის, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილზე მათ კეთილდღეობასა და თანასწორობას. სასტუმროს კედლებს მიღმა, ბილტმორ თბილისი წელიწადში ორჯერ უზრუნველყოფს ვახშამს ხანდაზმულთათვის ორგანიზაცია კათარზისში, მასპინძლობს ბავშვთა დღისა და ახალი წლის ღონისძიებებს მამა ანდრიას ფონდის ბენეფიციარებისთვის და აწვდის საკვებს მოხუცებულთა თავშესაფარს – „სიკეთის ლამპარი“. ინიციატივა სტუმარმასპინძლობას ზრუნვის, ღირსებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის დაკავშირების მამოძრავებელ ძალად აქცევს.

პროგრამა აუმჯობესებს წვდომას საკვებზე და ხელს უწყობს თანამშრომლების, ხანდაზმულებისა და ბავშვების ჩართულობას. დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილი ჯანსაღი კვება აძლიერებს თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და მოტივაციას, ხოლო გარე პარტნიორობა ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას – უზრუნველყოფს საკვებს, ემოციურ დახმარებას და სოციალურ ინტეგრაციას.

პროექტის სტრუქტურა აძლიერებს ნდობას, უზრუნველყოფს მდგრადობას და წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეუძლია სტუმარმასპინძლობის სექტორს ხელი შეუწყოს გრძელვადიან საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

კვებისა და საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა ხელს უწყობს თანამშრომელთა შენარჩუნებას, აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას და ზრდის სტუმართა ერთგულებას. ინიციატივა იზიდავს პასუხისმგებლიან თანამშრომლებსა და მომხმარებლებს, ამყარებს პარტნიორობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აძლიერებს სასტუმროს ლიდერულ პოზიციას სტუმარმასპინძლობის სექტორში.

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების ინტეგრირება ყოველდღიურ ოპერაციებში ქმნის მდგრად და გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც ბიზნეს წარმატებას და საზოგადოების პროგრესს აერთიანებს.

VAZISUBANI ESTATE
— Est. 1891 —

ვაზისუბნის მამული

კლიმატგონივრული მასპინძლობა: ფერმიდან მაგიდამდე, ვაზისუბნის მამულებში

„დილა ვაზისუბანში“ ვაზისუბნის მამულის ფლაგმანი ინიციატივაა, რომელიც მდგრადი განვითარების მე-2 მიზნის მიღწევას რეგენერაციული სოფლის მეურნეობის, ჯანსაღი კვებისა და ადგილობრივი საკვების მდგრადი სისტემების განვითარებით უჭერს მხარს. მამულის ტერიტორიაზე განთავსებული სათბური უზრუნველყოფს ორგანული პროდუქტის წარმოებას მთელი წლის განმავლობაში, ამცირებს დამოკიდებულებას გარე მიწოდების ჯაჭვებზე და ნარჩენების რაოდენობა მინიმუმამდე დაჰყავს.

პროგრამა ეფუძნება „ფერმიდან - მაგიდამდე“ მიდგომას და ხელს უწყობს კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას, აღრმავებს განათლებასა და თანამშრომლობას და ადგილობრივ ფერმერებს საერთო მიზნის გარშემო აერთიანებს. ინიციატივა ზრდის თანამშრომლებისა და სტუმრების ცნობიერებას სურსათის შესახებ, აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას და მხარს უჭერს მცირე ფერმერების მდგრად საქმიანობას.

ამჟამად, ინგრედიენტების 65% მოიპოვება 30 კმ-იანი რადიუსში; საკვების ნარჩენები 40%-ით შემცირდა, ხოლო სამზარეულოს ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი მდგრადი მეწარმეობის მიმართულებით. პროექტი ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას, აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას და ამყარებს ვაზისუბნის მამულის ლიდერულ პოზიციას მდგრადი და კლიმატმედეგი სტუმარმასპინძლობის სექტორში.

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

BANK OF GEORGIA

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ

საქართველოს ბანკის მხარდაჭერით 2017 წელს დაარსებული მასწავლებლის ეროვნული ჯილდო გადაეცემა გამორჩეულ პედაგოგებს, რომელთა მოღვაწეობა ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს. მასწავლებლის გლობალური პრემიით შთაგონებული ინიციატივა გახდა განათლების სფეროში მიღწევების აღიარების წამყვანი პლატფორმა საქართველოში.

ინიციატივის ფარგლებში შექმნილი ათეულთა კლუბი აერთიანებს პრემიის ფინალისტებს, გამოცდილების გაზიარებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

გავლენის გასაფართოებლად, საქართველოს ბანკმა მოქალაქეებისგან შეაგროვა ისტორიები მათი საყვარელი პედაგოგების შესახებ და შექმნა კომიქსი „სუპერმასწავლებელი“, რომელიც ასახავს მასწავლებლების ძალას, ერთგულებასა და მნიშვნელოვან როლს მომავალი თაობების განვითარებაში. პროექტმა გააძლიერა მასწავლებლების სტატუსი, შთააგონა ახალგაზრდები, აირჩიონ ეს პროფესია და ხელი შეუწყო პედაგოგების მიმართ პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებას. ინიციატივა ემსახურება მასწავლებელთა შესაძლებლობების აღიარებასა და თანამშრომლობის მხარდაჭერას, ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას და შესაბამისად, აძლიერებს საქართველოს განათლების სისტემას.

ჯილდოს მხარდაჭერამ კიდევ უფრო გაამყარა საქართველოს ბანკის კავშირი განათლებასთან, ინოვაციასთან და საზოგადოებრივ პროგრესთან, რაც განამტკიცებს ბანკის, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ლიდერის პოზიციას და ზრდის საზოგადოების ნდობას.

ინიციატივა ამაღლებს ბრენდის ცნობადობას, იზიდავს პასუხისმგებლიან თანამშრომლებს და ხელს უწყობს უფრო განათლებული, კვალიფიციური და წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.



საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა

როგორც წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი, საქართველოს ბანკი ქვეყნის მასშტაბით მიზნად ისახავს ფინანსური პასუხისმგებლობის კულტურის ხელშეწყობას. ფინანსური წიგნიერების პლატფორმა ახალგაზრდებს აძლევს ინსტრუმენტებსა და ცოდნას, რომელიც აუცილებელია ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისა და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის განვითარებისთვის.

ფინანსურ ინკლუზიაზე, განათლებაზე, ქცევის ცვლილებასა და მდგრადობაზე ორიენტირებული ინიციატივა აერთიანებს ციფრულ ინსტრუმენტებს, მორგებულ სასწავლო კონტენტს, საზოგადოების ჩართულობას და სტრატეგიულ პარტნიორობას. სემინარების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერაქტიული ინსტრუმენტების მეშვეობით, ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, გონივრულად მართონ ფინანსები, განავითარონ ჯანსაღი ფინანსური ჩვევები და წვლილი შეიტანონ უფრო ფინანსურად წიგნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

პლატფორმა აძლიერებს ახალგაზრდების ცოდნასა და თავდაჯერებულობას, ასწავლის ბიუჯეტირებას, დანაზოგების დაგეგმვასა და ინვესტირებას. ის ხელს უწყობს როგორც ფინანსურ, ისე მენტალურ კეთილდღეობას, ზრდის კარიერული წარმატების შესაძლებლობებს და პრაქტიკული ფინანსური უნარების განვითარებითა და საგანმანათლებლო-საინფორმაციო პროგრამების მეშვეობით, აძლიერებს ოჯახებისა და ადგილობრივი საზოგადოებების ჩართულობას. ფინანსური წიგნიერების ხელმისაწვდომობის გაზრდით, პლატფორმა ქმნის საფუძველს უფრო მდგრადი და ეკონომიკურად ძლიერი თაობის ჩამოყალიბებისთვის.

ინიციატივა აძლიერებს საქართველოს ბანკის, როგორც სანდო და პასუხისმგებლიანი ფინანსური ლიდერის რეპუტაციას. ისეთი საგანმანათლებლო ინსტრუმენტები, როგორიცაა sCoolApp და Smart Spending Hub, იზიდავს და აერთიანებს 330 000-ზე მეტ ახალგაზრდა მომხმარებელს, რაც ზრდის ერთგულებას და ამყარებს გრძელვადიან ურთიერთობებს. ეროვნულ ბანკთან, უნივერსიტეტებთან და მედიასთან პარტნიორობა აფართოებს ბანკის შესაძლებლობებსა და ზრდის სანდოობას.

ინიციატივა აძლიერებს ბრენდის ცნობადობას, ზრდის თანამშრომელთა მოტივაციას და ხელს უწყობს უფრო კვალიფიციური და წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რითაც ბიზნესის წარმატება თანხვედრაში მოჰყავს ქვეყნის განვითარებასთან.



ბიდიო საქართველო

BDO-ს ციფრული ქოუჩი - ელექტრონული სწავლების მდგრადი პლატფორმა

ციფრულ განათლებაზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბიდიომ შექმნა ციფრული ქოუჩი – ონლაინ სასწავლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის და მდგრადობაზე ორიენტირებულ ტრენინგს თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის.

პლატფორმა 235-ზე მეტ კურსს მოიცავს - ინტერაქტიული გაკვეთილებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით, რომელიც 24/7 რეჟიმში ხელმისაწვდომია. მხოლოდ 2024 წელს, მონაწილეებმა, ჯამში, გაიარეს 5,735 საათიანი სწავლება, რაც პროგრამის 85%-იანი შესრულების მაჩვენებელს წარმოადგენს.

ტრენინგის გაციფრულებით, ბიდიომ შეამცირა ხარჯები, გააუმჯობესა ეფექტურობა და შექმნა მასშტაბირებადი, ანალიტიკაზე დაფუძნებული სასწავლო მოდელი, რომელიც სრულად შეესაბამება კომპანიის ინოვაციებზე ორიენტირებულ კულტურას.

პლატფორმა განათლებას ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომს ხდის, აძლიერებს უნარებს, მოტივაციას და თავდაჯერებულობას. ის ხელს უწყობს თანაბარ სასწავლო შესაძლებლობებს და ადამიანური რესურსების მართვის გუნდს რეალურ დროში აწვდის მიზნობრივი განვითარებისთვის საჭირო ანალიტიკას. ცოდნის, ტექნოლოგიებისა და ღირებულებების შერწყმით, ციფრულმა ქოუჩმა შექმნა მდგრადი სასწავლო კულტურა, რომელიც აძლიერებს ადამიანებს და მხარს უჭერს გრძელვადიან ზრდას. პროექტმა გაზარდა ეფექტურობა, შეამცირა ტრენინგის ხარჯები და გააძლიერა თანამშრომლების ჩართულობა. ავტომატიზირებულმა სწავლებამ გააქრო ლოგისტიკური ბარიერები და შესაძლებელი გახადა მონაცემებზე დაფუძნებული HR გადაწყვეტილებების მიღება.

შედეგად, კომპანიამ მიიღო მოტივირებული სამუშაო ძალა, თანამშრომელთა შენარჩუნების მაღალი მაჩვენებელი და თანამედროვე კორპორაციული კულტურა, რომელიც ციფრულ ინოვაციასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას აერთიანებს.

სინომი რითეილ ჯორჯია

სწავლა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს

„სწავლა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს“ კომპანიის მასშტაბით მოქმედი სასწავლო ეკოსისტემაა, რომელიც ყველა თანამშრომლისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზებით, ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას.

პროგრამა დაფუძნებულია სამ ძირითად საყრდენზე: შიდა ტრენინგები, აკადემიური პარტნიორობა და კარიერული ზრდა, რაც უწყვეტი სწავლის კულტურას ნერგავს კომპანიის საქმიანობაში. 2024 წელს კომპანიამ 201,827 ლარი ინვესტიცია განახორციელა თანამშრომელთა განვითარებაში – 908 თანამშრომელმა გაიარა 815 საათზე მეტი ტრენინგი ტექნიკური, რბილი და ცხოვრებისეული უნარების მიმართულებით.

პროგრამა, სტაჟირებებისა და სემინარების მეშვეობით, აღრმავებს ურთიერთობას ახალგაზრდებსა და უნივერსიტეტებთან, რითაც ხელს უწყობს განათლებასა და დასაქმების რეალური შესაძლებლობების შექმნას.

ხელმისაწვდომი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებით, ინიციატივა აძლიერებს თანამშრომლებსა და ახალგაზრდებს. ის აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარებს, ზრდის თავდაჯერებულობას და უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით - ქალებისთვის (პერსონალის 87%-ს ქალები შეადგენენ) და საწყისი დონის პოზიციებზე დასაქმებულთათვის. გარდა ამისა, ინიციატივა ხელს უწყობს ფინანსური წიგნიერებისა და ინგლისური ენის ცოდნის განვითარებას. უწყვეტი სწავლის კულტურის ხელშეწყობით, პროექტი მნიშვნელოვნად აძლიერებს საქართველოს სამუშაო ძალის კაპიტალს.

პროგრამამ გამოიწვია თანამშრომელთა გადინების მაჩვენებლის 18%-ით შემცირება და შიდა დაწინაურებების 12%-ით ზრდა, რამაც გააქტიურა როგორც ჩართულობა, ისე პროდუქტიულობა. გადამზადებული თანამშრომლები უკეთეს მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს და აძლიერებენ კომპანიას.

ინიციატივა აუმჯობესებს დამსაქმებლის რეპუტაციას და ცხადყოფს, რომ განათლებაში ინვესტირება იწვევს როგორც დადებით სოციალურ ზეგავლენას, ასევე ბიზნესის მდგრად წარმატებას.

EFES GEORGIA

ეფეს საქართველო

პროექტი FUTURE და განათლების ხელშეწყობა

ეფეს საქართველო ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას უნივერსიტეტებთან გრძელვადიანი პარტნიორობისა და სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით. პროექტი Future, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ახორციელებს ანაზღაურებად სტაჟირებასა და ზაფხულის Job Shadowing პროგრამას, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნესგარემოში მუშაობისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს სთავაზობს.

2021 წლიდან ეფეს საქართველო უზრუნველყოფს ლექციების ჩატარებას მარკეტინგის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ლუდის ხარშვის ტექნოლოგიების შესახებ, რითაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებთან აერთიანებს. შიდა დონეზე, ეფეს საქართველოს აკადემია ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, ხოლო 2023 წელს დაარსებული ანადოლუ ეფესის მდგრადობის აკადემია ზრდის ცნობიერებას და ხელს უწყობს აქტივობებს წყლის რესურსების ეფექტური მართვის, მრავალფეროვნებისა და მდგრადი ბრენდინგის მიმართულებით. ერთობლივად, ეს ინიციატივები განათლებას ინდუსტრიასთან აერთიანებს და ამზადებს პროფესიონალთა მომავალ თაობას, რომელიც ცოდნით, ინოვაციურობითა და პასუხისმგებლიანი მიდგომით გამოირჩევა.

საგანმანათლებლო ინიციატივები ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, პროდუქტიულობასა და შენარჩუნების მაჩვენებელს, ხოლო შიდა ტალანტების განვითარების გზით, ამცირებს დასაქმების ხარჯებს. უნივერსიტეტებთან პარტნიორობა იზიდავს ახალგაზრდა პროფესიონალებს და აძლიერებს ეფეს საქართველოს, როგორც პასუხისმგებლიანი და პროგრესულად მოაზროვნე დამსაქმებლის იმიჯს.

ელემენტ ჰოლდინგი

განათლების მხარდაჭერა სექტორის გასაძლიერებლად

2025 წელს დაარსებული ელემენტ ჰოლდინგის სასწავლო აკადემია ამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიისთვის. პროგრამა ეფუძნება სექტორის საჭიროებების სიღრმისეულ შეფასებას და მონაწილეებს სთავაზობს გერმანელი ექსპერტების მენტორობას, ანაზღაურებად სტაჟირებასა და ქართულ-გერმანულენოვან სერტიფიკატს. საუკეთესო მოსწრების მქონე კურსდამთავრებულები საქმდებიან ელემენტ ჰოლდინგის შვილობილ კომპანიებში, რაც უშუალოდ აკავშირებს განათლებას რეალურ დასაქმებასთან და ემსახურება კომპანიის მისიას – ხელი შეუწყოს ქვეყნის სამშენებლო სექტორისა და ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

აკადემია აფართოებს უფასო და მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლებაზე წვდომას, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და ხელს უწყობს გენდერული თანასწორობისა და ქალთა ჩართულობის ზრდას ტექნიკურ პროფესიებში. თანამედროვე ტრენინგების, რბილი უნარების განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების შერწყმით, აკადემია აძლიერებს ახალგაზრდებს, ამცირებს სოციალურ უთანასწორობას და ამაღლებს პროფესიული განათლების პრესტიჟს საქართველოში.

ინიციატივა უზრუნველყოფს კვალიფიციურ და ერთგულ სამუშაო ძალას, ამცირებს სამსახურში აყვანისა და ონბორდინგის ხარჯებს, ამავდროულად აუმჯობესებს პროექტების ხარისხსა და უსაფრთხოებას. ის აძლიერებს ელემენტ ჰოლდინგის, როგორც სასურველი და საიმედო დამსაქმებლის ბრენდს და ქმნის მასშტაბირებად მოდელს, რომელიც ადაპტირებულია მომავალი საჭიროებებისთვის - მათ შორის, მწვანე მშენებლობისა და ციფრული ინოვაციების მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გრძელვადიან ღირებულებას და ზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას.

ევროკრედიტი

მომავალი აქ არის: ევროკრედიტის სტაჟირების პროგრამა

2018 წლიდან ევროკრედიტის სტაჟირების პროგრამაში უკვე 97 ახალგაზრდა ჩაერთო და მათგან 80 მონაწილე დღეს კომპანიის სრულფასოვანი თანამშრომელია. პროგრამა, რომელიც წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობით ხორციელდება, სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებასა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს სთავაზობს. ბევრმა მათგანა სწრაფად მიაღწია პროფესიულ წინსვლას, ხოლო ზოგიერთი დღეს უკვე სხვადასხვა დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. 2022 წელს ევროკრედიტმა სრულად დააფინანსა ერთი სტუდენტის სწავლა ევროპის უნივერსიტეტში, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განათლებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისადმი ერთგულებას.

პროგრამა ქმნის რეალურ კარიერულ შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც პრაქტიკულ გამოცდილებაზე შეზღუდული წვდომა აქვთ. ინიციატივა ხელს უწყობს ახალგაზრდებში უმუშევრობის შემცირებას, აძლიერებს რეგიონულ ჩართულობას და საქართველოს კვალიფიციური და თავდაჯერებული სამუშაო ძალით ამარაგებს.

ინიციატივა ხელს უწყობს მდგრადი საკადრო რეზერვის ფორმირებას, ამცირებს დაქირავების ხარჯებს და კადრების გადინებას. სტაჟიორები, რომლებმაც უკვე გაიარეს კომპანიის პროცესებზე სწავლება, აქტიურად უწყობენ ხელს ინოვაციებსა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, ინიციატივა აძლიერებს ევროკრედიტის რეპუტაციას, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი დამსაქმებლისა, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

თიბისი ბანკი

თიბისი ტექსკოლა

თიბისი ბანკმა დაიწყო სრულად დაფინანსებული ონლაინ ტექნოლოგიური კურსების განხორციელება, რომელიც მე-9-12 კლასის მოსწავლეებს შვიდი ტექნიკური მიმართულების სამთვიან პროგრამებს სთავაზობს.ინიციატივა, რომელიც ბანკის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საგანმანათლებლო პროექტს წარმოადგენს, საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს.

მხოლოდ ორ წელიწადში, პროგრამაში 3200-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა 44% რეგიონში ცხოვრობს. ამასთან, პროგრამაში გოგოებისა და ბიჭების წილი, პრაქტიკულად, თანაბარია. პროგრამა ხელს უწყობს ციფრულ ინტეგრაციას და აძლევს შესაძლებლობას როგორც გოგოებს, ისე ბიჭებს, განავითარონ კარიერა ტექნოლოგიების სფეროში, რაც ხელს უწყობს განათლების სისტემისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევას საქართველოს ტექნოლოგიურ სექტორში.

თიბისი ტექსკოლა აძლიერებს თიბისის ურთიერთობას მომავალ თაობასთან, რაც კომპანიას განათლებისა და ფინანსური განვითარების სანდო პარტნიორად აყალიბებს. ადრეული ჩართულობისა და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობით, ინიციატივა ხელს უწყობს გრძელვადიანი ნდობისა და ბრენდისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას, ასევე, გზას უხსნის მომავლისთვის მომზადებული მომხმარებელთა თაობის განვითარებას.

თიბისი

თიბისი ბანკი

თიბისი კამპუსი

თიბისი კამპუსი 18–24 წლის ახალგაზრდებს, საქართველოს მასშტაბით, სრულად დაფინანსებულ ონლაინ ბიზნესკურსებს სთავაზობს.

პროგრამა მოიცავს ისეთ მოთხოვნად სფეროებს, როგორებიცაა UI/UX დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, რეკლამა, ციფრული მარკეტინგი, SEO, მეწარმეობა, IT პროექტების მენეჯმენტი და მონაცემთა ანალიზი, რითაც ხარისხიან განათლებაზე წვდომის გზაზე ფინანსურ და გეოგრაფიულ ბარიერებს ხსნის. ინიციატივა აერთიანებს სხვადასხვა გამოცდილების მქონე სტუდენტებს, რაც აძლიერებს გუნდურ მუშაობას და ხელს უწყობს ინოვაციებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ორ სემესტრში, თიბისი კამპუსის პროგრამები წარმატებით გაიარა საქართველოს მასშტაბით 600-ზე მეტმა სტუდენტმა, რომელთა უმეტესობა რეგიონებში ცხოვრობს.

პროექტი ამცირებს ქალაქებსა და რეგიონებს შორის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ უთანასწორობას და სტუდენტებს ახალი კარიერული შესაძლებლობების აღმოჩენაში ეხმარება. მონაწილეთა 25%-მა პროგრამის გავლის შემდეგ უნივერსიტეტში სპეციალობა შეიცვალა. ახალგაზრდების პრაქტიკული და მომავალზე ორიენტირებული უნარების განვითარებით, თიბისი კამპუსი ხელს უწყობს ინკლუზიას, თავდაჯერებულობის ზრდას და გააზრებულ კარიერულ არჩევანს. პროექტი აძლიერებს თიბისის ურთიერთობას მომავალ თაობასთან და ბანკი პოზიციონირებს, როგორც სანდო და პროგრესულად მოაზროვნე პარტნიორი ახალგაზრდების პროფესიული და ფინანსური განვითარების გზაზე.

ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერით, თიბისი ხელს უწყობს გრძელვადიანი ნდობისა და ბრენდისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას და აყალიბებს მომავალ მომხმარებელთა ბაზას.

თიბისი ბანკი

თიბისი IT აკადემია

2019 წელს დაარსებული თიბისი IT აკადემია სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს IT ეკოსისტემის გაძლიერებას და ხარისხიან ტექნოლოგიურ განათლებაზე წვდომის გაფართოებას. აკადემია ხელმისაწვდომია 18 წელს ზემოთ ყველა პირისთვის და ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მსურველებს 25-ზე მეტ ტექნიკური პროფესიის შესწავლას სთავაზობს.

ყველა კურსი უფასოა და ტარდება ონლაინ, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით. 2024 წელს აკადემიამ 10,000-ზე მეტი აპლიკანტი მოიზიდა, რაც მის პროგრამებზე მზარდ ინტერესსა და მოთხოვნას ადასტურებს.

დაარსებიდან დღემდე, სწავლება გაიარა 4,500-მა მონაწილემ, აქედან 30% რეგიონებიდანაა და 30%-ზე მეტი - ქალია. დაახლოებით, 30% თიბისის გუნდს შეუერთდა, ხოლო დანარჩენები ქვეყნის წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებში საქმიანობენ. აკადემია დასაქმების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა, განსაკუთრებით, ისეთ სპეციალიზებულ სფეროებში, როგორიცაა ტესტირების ავტომატიზაცია, სადაც თიბისის გუნდის 90% აკადემიის კურსდამთავრებულია. ისეთი პარტნიორობების მეშვეობით, როგორიცაა TBCxUSAID, TBCxAWS და TBCxMicrosoft, 1,000-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო ჰაკათონებში, აქსელერატორებსა და სემინარებში, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს IT ეკოსისტემა. აკადემია ხელს უწყობს ინკლუზიურობის, ხელმისაწვდომობისა და თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ტალანტის შენარჩუნებას და უფრო ძლიერი, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას.

თიბისისა და მთლიანად ინდუსტრიისთვის კადრების მომზადების მდგრადი არხის შექმნით, აკადემია ეხმარება ქვეყნის შრომით ბაზარს ტექნიკური სპეციალისტების დეფიციტის დაძლევაში. ამჟამად, თიბისის ტექნიკური სპეციალისტების 30–40% აკადემიის კურსდამთავრებულია, ხოლო მრავალი მათგანი უკვე ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებს. ინიციატივა ამცირებს პერსონალის შერჩევისა და ონბორდინგის ხარჯებს, აჩქარებს ინოვაციურ პროცესებს და ხელს უწყობს ბიზნესის ზრდას. პროგრამა აძლიერებს თიბისის, როგორც განათლების, ინოვაციების და ტალანტების განვითარების ლიდერის რეპუტაციას და, ამავდროულად, ზრდის ქვეყნის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.



თეგეტა ჰოლდინგი

თეგეტა გოგონების ციფრული მომავლისთვის

განათლება თეგეტა ჰოლდინგის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც ნათლად აისახება ახალგაზრდების მხარდაჭერისა და თანასწორობის ხელშეწყობის მრავალ ინიციატივაში. კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რათა აღჭურვოს სოფლის ბიბლიოთეკები, მიაწოდოს წიგნები შორეულ რეგიონებს, ასევე, მისი მიზანია განათლების ხელშეწყობა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა გაძლიერებას ტექნოლოგიების სფეროში და გენდერული სტერეოტიპების დაძლევას განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.

გენდერული თანასწორობისა და ციფრული ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, თეგეტამ დაიწყო განხორციელება პროექტისა - „თეგეტა გოგონების ციფრული მომავლისთვის", რომლის ფარგლებში, რეგიონებიდან შერჩეულ 10 გოგონას დაუფინანსდა განათლების მიღება ისეთ მოთხოვნად სფეროებში, როგორებიცაა პროგრამირება, კიბერუსაფრთხოება, IT პროექტების მართვა და ციფრული დიზაინი.

პროექტი სქილვილთან პარტნიორობით განხორციელდა და შვიდთვიან საგანმანათლებლო პროგრამას მოიცავდა, რომლის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა შეიძინეს მაღალანაზღაურებად პროფესიებში დასაქმებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები და ცოდნა.

ინიციატივამ ხელი შეუწყო გენდერული ბარიერების დაძლევას, ქალებს მიანიჭა თავდაჯერებულობა, შესძინა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი უნარები და თანაბარი შესაძლებლობები ტექნოლოგიურ ინდუსტრიებში წარმატების მისაღწევად.

თეგეტას საგანმანათლებლო ინიციატივებმა გააძლიერა როგორც მისი იმიჯი, ისე შიდა ორგანიზაციული კულტურა, რითაც კომპანიამ პოზიციონირება მოახდინა, როგორც პასუხისმგებლიანმა და ინკლუზიურმა დამსაქმებელმა. პროგრამები ხელს უწყობს თანამშრომლებში სიამაყისა და მოტივაციის ზრდას, აძლიერებს მომხმარებელთა ერთგულებას და ამყარებს პარტნიორებთან და ინვესტორებთან ურთიერთობას.

განათლებისა და თანასწორობის მხარდაჭერით, თეგეტა ქმნის მომავალზე ორიენტირებულ სამუშაო ძალას, აუმჯობესებს ბრენდის რეპუტაციას და განამტკიცებს საკუთარ პოზიციას, როგორც ეთიკური და პასუხისმგებლიანი ბიზნესლიდერი.

უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

მასწავლებელი, როგორც ხიდი უკეთესი მომავლისთვის

2024 წელს ალტერბრიჯის უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული პროგრამა „მასწავლებელი, როგორც ხიდი უკეთესი მომავლისთვის“ (TBBC) მასწავლებლებს განიხილავს ლიდერებად და ცვლილებების მამოძრავებელ ძალად, რაც მდგრადი განვითარების მე-4 მიზანს და 2030 წლის საქართველოს განათლების ეროვნულ სტრატეგიას სრულად შეესაბამება. საპილოტე ეტაპზე, ლიდერობის, ემოციური ინტელექტისა და მენტორობის მიმართულებით, გადამზადდა 39 სკოლის 40 მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში, შემუშავდა ორი ინოვაციური ინსტრუმენტი – გმირის გზის კალენდარი (The Hero’s Journey Calendar) და ტრანსფორმაციული დღიური, რომელთა მიზანია სამოქალაქო და ემოციური სწავლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

პროგრამამ „მასწავლებელი, როგორც ხიდი უკეთესი მომავლისთვის“ გააძლიერა მასწავლებელთა უნარი, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ემპათიის, პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ღირებულებების განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სერვისებით ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში მომუშავე პედაგოგებს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურ რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას.

პროექტმა მოიცვა 260 მასწავლებელი, უზრუნველყო პრაქტიკული რესურსებით და შექმნა მდგრადი მოდელი, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელთა მიერ ინიცირებულ სოციალურ ცვლილებებს.

ალტერბრიჯის უნივერსიტეტისთვის TBBC-მ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პერსონალის კვალიფიკაცია, შექმნა ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო ინსტრუმენტები და გააძლიერა ორგანიზაციის ცნობადობა და პარტნიორული ქსელი. ინიციატივამ ალტერბრიჯი წარმოაჩინა, როგორც ღირებულებებზე ორიენტირებული განათლების ლიდერი და გახსნა ახალი შესაძლებლობები დონორების მიერ დაფინანსებული და პროფესიული სასწავლო პროგრამებისთვის.

aramex
delivery unlimited

არამექს ჯორჯია

ექსპორტის ვორქშოპები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის

არამექს ჯორჯიამ დაიწყო პრაქტიკული სემინარების სერია - „როგორ გავაგზავნოთ პროდუქცია საზღვარგარეთ“, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლაში 100-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს დაეხმარა. მონაწილეებმა შეისწავლეს საექსპორტო დოკუმენტაცია, შეფუთვის სტანდარტები, საბაჟო პროცედურები და ლოგისტიკის ოპტიმიზაცია, რამაც ბევრ მათგანს საშუალება მისცა, დაიწყოს ან გააუმჯობესოს ექსპორტი ევროპაში, აშშ-სა და ახლო აღმოსავლეთში.

პროგრამამ გააძლიერა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი – საექსპორტო მზაობის გაუმჯობესებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და რეგიონული, მათ შორის ქალების მიერ მართული ბიზნესების მხარდაჭერით. მეწარმეები აღიჭურვნენ პრაქტიკული ცოდნით, გაიზარდა მათი საქმიანობის შესაბამისობა გლობალურ სტანდარტებთან, ხოლო ლოგისტიკის მდგრადი პრაქტიკის წახალისებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ინიციატივამ არამექს ჯორჯია წარმოაჩინა, როგორც სანდო და პასუხისმგებლიანი ლოგისტიკური პარტნიორი, გააფართოვა მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტთა ბაზა და გააძლიერა ბრენდის რეპუტაცია. სემინარის მონაწილეთა უმეტესობა არამექსის გრძელვადიანი კლიენტი გახდა, რამაც გაზრდა მოთხოვნა კომპანიის საექსპორტო და ლოგისტიკურ მომსახურებებზე. პროექტის შედეგად, შეიქმნა მდგრადობაზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც ბიზნესის ზრდას, საზოგადოების განვითარებასა და საერთო ეკონომიკურ პროგრესს აერთიანებს.

BDO ACADEMY



ბიდიო კონსალტინგი

LMS პლატფორმა სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭერად

ბიდიოს აკადემიამ სწავლების მართვის სისტემაში (LMS) სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების ონლაინკურსი ჩართო, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციისთან თანამშრომლობით შეიქმნა. კურსი, რომელიც 3,000-ზე მეტ მომხმარებელზეა გათვლილი, თანამშრომლებს ეხმარება სექსუალური შევიწროების ამოცნობაში, პრევენციასა და რეაგირებაში ინტერაქტიული და ხელმისაწვდომი ფორმატის საშუალებით, რომელიც ხელს უწყობს პატივისცემისა და თანასწორობის კულტურის განმტკიცებას სამუშაო გარემოში.

ინიციატივა ზრდის ცნობიერებას და ხელს უწყობს უსაფრთხოებისა და ინკლუზიურობის კულტურის ჩამოყალიბებას, ინდივიდებს ეხმარება არასათანადო ქცევის ამოცნობასა და შესაბამის რეაგირებაში, ხელს უწყობს ღია დიალოგს, აძლიერებს თანამშრომლებს და უზრუნველყოფს გრძელვადიან კულტურულ ცვლილებებს თანასწორობისა და ანგარიშვალდებულების დასამკვიდრებლად.

კურსი აძლიერებს ბიდიო აკადემიის პოზიციას, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული ლიდერისა კორპორატიული განათლების სფეროში, იზიდავს პასუხისმგებლიან პარტნიორებს და ამყარებს ბიდიოს რეპუტაციას, როგორც კომპანიისა, რომელიც პროფესიონალიზმსა და ეთიკას აერთიანებს და ქმნის უსაფრთხო, ღირსეულ სამუშაო გარემოს.

ბივაისი

SAGE GEORGIA 2025-ის მხარდაჭერა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში, ბივაისმა, SAGE Georgia-სთან პარტნიორობით და მენტორების, სასწავლო რესურსებისა და სპონსორობის უზრუნველყოფით, მხარი დაუჭირა ახალგაზრდული მეწარმეობის კონკურსს Georgia Cup. ინიციატივამ საქართველოს მასშტაბით 150-ზე მეტ სტუდენტს მისცა შესაძლებლობა შეეძინათ პრაქტიკული ბიზნეს უნარები, ლიდერობის გამოცდილება და თავდაჯერებულობა, რაც აუცილებელია წარმატებული მეწარმეობისთვის.

პროექტმა ხელი შეუწყო განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერულ თანასწორობას და რეგიონული ჩართულობის გაძლიერებას. სტუდენტებმა მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო რამდენიმე მათგანმა საკუთარი სტარტაპების განვითარება გააგრძელა. გამარჯვებული გუნდები 2025 წელს წარადგენენ საქართველოს SAGE-ის გლობალურ ოლიმპიადაზე, რაც გაზრდის ახალგაზრდების ხილვადობასა და მოტივაციას და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მე-4, მე-8 და მე-17 მიზნების მიღწევას.

ინიციატივამ გააძლიერა ბივაისის, როგორც მიზანზე ორიენტირებული საკონსულტაციო კომპანიის რეპუტაცია, გააფართოვა პარტნიორთა ქსელი და წარმოაჩინა იგი, როგორც ლიდერი სამეწარმეო განათლების სფეროში. გარდა ამისა, ინიციატივამ განავითარა შიდა მენტორობის შესაძლებლობები და შექმნა ახალი ბიზნესპერსპექტივები ახალგაზრდული ინოვაციებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში კონსალტინგის მიმართულებით.

Funded by the European Union

WOMEN MENTORSHIP
IN TECH PROGRAMMES

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ 2024 წელს დაწყებული პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის, ევროპის ეკონომიკური ასოციაციისა და Women Go Tech-ის (ლიეტუვა) მხარდაჭერით, მიზნად ისახავს საქართველოში ტექნოლოგიების სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობის შემცირებას ქალთა ციფრული უნარების განვითარებისა და მენტორობისა და კარიერული შესაძლებლობების გაძლიერების გზით. სამი სეზონის განმავლობაში, პროგრამა, 320 მენტორის ხელმძღვანელობით, 1,100 ქალს გადაამზადებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, ციფრული მარკეტინგი, გრაფიკული დიზაინი, UI/UX დიზაინი და Front-end დეველოპმენტი. საპილოტე სეზონმა წარმატებით უზრუნველყო მენტორობა და პრაქტიკული ტრენინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილე ქალებისთვის. პროგრამის გაფართოება 2025 წლისთვის უკვე იგეგმება.

პროგრამა ქალებს, განსაკუთრებით კი, სოფლად მცხოვრებ ქალებს, უხსნის კარიერულ შესაძლებლობებს ტექნოლოგიების სფეროში, ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, აძლიერებს თავდაჯერებულობას და ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ინიციატივა აყალიბებს ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე ქალების ეროვნულ ქსელს, უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას STEM დარგებში და ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ჩართულობის გზით, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 და მე-5 მიზნების წინსვლას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებით, პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ტექნოლოგიური ტალანტის დეფიციტის შევსებას და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას.

ინიციატივა ამყარებს კავშირებს აკადემიურ წრეებსა და ინდუსტრიას შორის, კომპანიებს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფს და აძლიერებს BTU-ს, როგორც ლიდერის რეპუტაციას ინკლუზიური ციფრული განათლებისა და ინოვაციების განვითარების მიმართულებით.

კავკასიის უნივერსიტეტი

სტარტაპ პრე-აქსელერაციის პროგრამა CUNICORN

კავკასიის უნივერსიტეტის ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრის სტარტაპ პრე-აქსელერაციის პროგრამა CUnicorn 10-კვირიანი ჰიბრიდული კურსია, რომელიც სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს სტარტაპ იდეების სიცოცხლისუნარიან ბიზნესად გარდაქმნაში ეხმარება. სემინარების, მენტორობისა და საბოლოო დემო დღის საშუალებით, მონაწილეები იძენენ ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორებიცაა იდეის ვალიდაცია, ბიზნეს მოდელირება და პრეზენტაციის მომზადება. ამ დროისთვის, პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 39-მა სტარტაპ გუნდმა და 124-მა მონაწილემ, რომლებმაც თავიანთი პროექტები გაეროს მდგრადი განვითარების მე-13 მიზანთან დააკავშირეს. GITA-სთან და აქსელთან (საქართველოს ანგელოზ ინვესტორთა ქსელი) პარტნიორობა გუნდებს ეხმარება ინვესტორებთან კავშირის დამყარებასა და დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებაში.

ინოვაციების, მეწარმეობისა და დასაქმების ხელშეწყობის გზით, CUnicorn ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4, მე-8, მე-9 და მე-17 მიზნების მიღწევას. პროგრამა ქმნის ძლიერ სტარტაპ-ეკოსისტემას, მხარს უჭერს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საქართველოს ინოვაციების პოტენციალს ინკლუზიური და პრაქტიკული განათლების გზით აძლიერებს, რაც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრისთვის.

პროგრამა აძლიერებს კავკასიის უნივერსიტეტის, როგორც ინოვაციების წამყვანი ცენტრის რეპუტაციას, იზიდავს სტუდენტებს, პარტნიორებსა და ინვესტორებს. კურსდამთავრებულთა წარმატების ისტორიები და სტრატეგიული პარტნიორობა აფართოებს უნივერსიტეტის სტარტაპ ეკოსისტემას, ქმნის ინოვაციური ბიზნესების სტაბილურ არხებს და ამყარებს მის ლიდერულ პოზიციას ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში.

კავკასიის უნივერსიტეტი

სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ

საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მიერ დაფინანსებულმა პროექტმა გააძლიერა ინოვაციებისა და მეწარმეობის განათლება კავკასიის უნივერსიტეტში (CU) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (SJSU).

პროექტის ფარგლებში, SJSU-ში დაფუძნდა ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი, გადამზადდა უნივერსიტეტის პერსონალი, დაიწყო სტარტაპ პროგრამების განხორციელება და აკადემიურ წრეებსა და ბიზნესს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა.

50-ზე მეტმა სტუდენტმა, რომელთაგან 74% ქალია, წარმატებით დაასრულა მეწარმეობის ტრენინგი, შეიძინა რა, მნიშვნელოვანი ბიზნეს და ლიდერული უნარები. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალგაზრდების ჩართვით, პროექტმა შეამცირა რეგიონული და გენდერული უთანასწორობა, ამასთანავე, ხელი შეუწყო ინოვაციებსა და ინკლუზიურობას. საჯარო საინფორმაციო კამპანია პოდკასტებისა და კონფერენციების მეშვეობით, დაეხმარა სამეწარმეო კულტურის განვითარებას და გააძლიერა საზოგადოების ჩართულობა.

კავკასიის უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი, რომელიც სტარტაპების მხარდაჭერასა და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას უნივერსიტეტის სტრუქტურაში უზრუნველყოფს. პედაგოგთა გადამზადებამ, ინდუსტრიასთან პარტნიორობამ და დემო დღეების ორგანიზებამ კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ ჩამოაყალიბა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის რეპუტაციას, მდგრადობასა და გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.



მონაცემთა ანალიზის ლაბორატორია

PDF კონვერტორი შეზღუდული მხედველობის მქონე სტუდენტებისთვის

დაახლოებით ერთი წლის წინ, შეზღუდული მხედველობის მქონე სტუდენტების ჯგუფმა, დახმარება ითხოვა დასკანერებულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე წვდომის მისაღებად, რისი დამუშავებაც ეკრანის წამკითხველ პროგრამებს (screen readers) არ შეეძლოთ. ამ გამოწვევის საპასუხოდ, შეიქმნა ინსტრუმენტი, რომელიც გამოსახულებაზე დაფუძნებულ PDF ფაილებს საძიებო და ხელმისაწვდომ ფორმატებში გარდაქმნის. შედეგად, დღეს შეზღუდული მხედველობის მქონე სტუდენტები, საქართველოს მასშტაბით, დამოუკიდებლად ამუშავებენ ასეულობით სახელმძღვანელოს და განათლებაზე თანაბარი წვდომით სარგებლობენ.

ინსტრუმენტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად შეძლონ სწავლა და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა დახმარების გარეშე მიიღონ, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და დამოუკიდებლობას. პროექტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სახელმძღვანელოებზე წვდომა ქვეყნის მასშტაბით და წაახალისა უნივერსიტეტები, გამოიყენონ უფრო ხელმისაწვდომი ფორმატის კონტენტი, რაც ქმნის თანასწორ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. ინიციატივამ გააძლიერა მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიის რეპუტაცია, როგორც ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული და სოციალური გავლენის მქონე ხელოვნური ინტელექტის კომპანიისა.

პროექტმა წარმოაჩინა ორგანიზაციის ექსპერტიზა OCR-ისა და ინკლუზიურ ტექნოლოგიებში, გაამყარა მომხმარებელთა ნდობა და გააჩინა თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები უნივერსიტეტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი არაკომერციულია, ის ზრდის ბრენდის სანდოობასა და ხილვადობას და ქმნის გრძელვადიან სოციალურ ღირებულებას.

.

DEVELOR

დეველორი

ESG სასწავლო კურსი «მწვანე ცნობიერება და მწვანე დაფინანსება»

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ფონდის (EFSE) და GGF-ის მხარდაჭერით, თიბისი ბანკისა და DEVELOR-ის მიერ შექმნილი პროგრამა „მწვანე ცნობიერება და მწვანე დაფინანსება“ წარმოადგენს ინოვაციურ ESG საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი აზროვნებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას საქართველოს საბანკო სექტორში.

პროგრამა ეფუძნება გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს და მოიცავს თამაშის ელემენტებს, რაც მონაწილეებს ეხმარება ESG პრინციპების გააზრებაში, ათვისებასა და პრაქტიკაში დანერგვაში.

პროგრამა ორი მოდულისგან შედგება: GREEN Mindset, რომელიც დაფუძნებულია სამაგიდო თამაშზე SAVEARTH და ხელს უწყობს სისტემური აზროვნებისა და გუნდური თანამშრომლობის განვითარებას; და GREEN Business, რომელიც მოიცავს რეალურ ESG გამოწვევებზე და მდგრადი ბიზნეს დაგეგმვაზე ფოკუსირებულ GoGreen სემინარს. შემდგომში, ეს მოდულები გაერთიანდა კლიენტებისთვის განკუთვნილ კურსში – „შექმენი მწვანე მომავალი“, რომელიც 2025 წლისთვის, 1,200 თანამშრომელსა და კლიენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი. პროგრამამ 2025 წელს მიიღო DEVELOR PEAK ჯილდო – მდგრადი განვითარების მიმართულებით განათლებაში ინოვაციური მიდგომებისთვის დანერგვისთვის.

ტრენინგი წარმატებით დაასრულა 720-ზე მეტმა მონაწილემ, რომლებიც მდგრადობის მიმართ აზროვნებისა და ქცევაში საგრძნობ ცვლილებაზე მიუთითებენ. პროგრამამ გააფართოვა ESG საკითხების შესახებ ცოდნა სხვადასხვა ინდუსტრიასა და რეგიონში, ხელი შეუწყო ინკლუზიას, გენდერულ თანასწორობას და პასუხისმგებლიანი ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებას

ინიციატივამ გააძლიერა დეველორ საქართველოს პოზიცია, როგორც ESG სწავლების სფეროში წამყვანი და გავლენიანი ორგანიზაციისა, განამტკიცა კომპანიის გამოცდილება, პარტნიორული ურთიერთობები და ბრენდის ავტორიტეტი. საავტორო სასწავლო ინსტრუმენტები – SAVEARTH და GoGreen – ინტეგრირდა დეველორის გლობალურ პორტფოლიოში, რაც ხელს უწყობს კომპანიის ზრდას და ცნობადობის ამაღლებას. პროექტი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ინოვაციასა და განათლებას, შექმნას როგორც სოციალური, ასევე ბიზნეს ღირებულება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით.

ეპამ სისტემს ჯორჯია

ე-კიდს

ეპამ ჯორჯია ხელს უწყობს ციფრულ განათლებასა და ტექნოლოგიურ უნარებზე თანაბარ წვდომას ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა ე-კიდს – პროგრამა, რომელიც ბავშვებს აცნობს Java-სა და Scratch-ის პროგრამირების საფუძვლებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. 2024 წელს, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორი სასწავლო ციკლი, რომლის განმავლობაშიც ეპამის მოხალისე ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით 30-მა ბავშვმა 147-საათიანი კურსი გაიარა.

ეპამ კამპუსის ბრენდის ქვეშ, კომპანიამ დამატებით ჩაატარა 72 უფასო ტრენინგი საქართველოში, მიიღო 8,000-ზე მეტი განაცხადი და დაეხმარა 1,500-ზე მეტ სტუდენტს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საჭირო უნარების განვითარებაში. გარდა ამისა, ეპამ ჯორჯია ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, მათ შორის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოსა და ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მხარდაჭერით. აღნიშნული ინიციატივების მეშვეობით, კომპანია აძლიერებს ახალგაზრდებისა და პედაგოგების წვდომას ტექნოლოგიურ გამოცდილებაზე და ხელს უწყობს ინოვაციური აზროვნებისა და ცოდნის გაღრმავებას.

ეპამის პროგრამები აფართოებს STEM განათლებაზე წვდომას, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რაც მათ ტექნოლოგიური კარიერისკენ უბიძგებს. ინიციატივები ხელს უწყობს ინკლუზიურობას, ინოვაციებსა და უწყვეტ სწავლებას, ამავდროულად, აძლიერებს როგორც პედაგოგებს, ისე მომავალ ინოვატორებს. განათლებაში ინვესტირებით, ეპამი ქმნის ტექნოლოგიური ტალანტების ძლიერ საკადრო რეზერვს, აძლიერებს საკუთარ, როგორც სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული დამსაქმებლის რეპუტაციას და განამტკიცებს კავშირებს საზოგადოებასთან. თანამშრომელთა მოხალისეობა ზრდის გუნდურ სულს, ხოლო კომპანიის ლიდერობა ციფრულ განათლებაში ხელს უწყობს საქართველოს ტექნოლოგიური ეკოსისტემისა და ციფრული ეკონომიკის მდგრად ზრდას.

იუაი

მომავლის თანაშექმნა

საგანმანათლებლო ფონდ ვიზიონერთან პარტნიორობით, იუაი საქართველო ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების მხარდაჭერის გზით, სტიპენდიების, მენტორობისა და კარიერული ქოუჩინგის პროგრამების მეშვეობით.

2025 წლიდან პროგრამა გაფართოვდება ხუთი სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით, რათა ხელი შეუწყოს მათ განათლებასა და კარიერული უნარების განვითარებას. ქალთა გაძლიერებისა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების გაძლიერებით, ინიციატივა მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მე-5 და მე-8 მიზნებს.

პროგრამა აფართოებს განათლებაზე წვდომას, ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და მენტორობის გზით აძლიერებს მონაწილეთა თავდაჯერებულობასა და დასაქმების შესაძლებლობებს. პროგრამის ფარგლებში ქალები იძენენ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ და პროფესიულ უნარებს, რითაც ისინი საკუთარი გარემოცვისთვის მისაბაძი მაგალითები ხდებიან.

ინიციატივა აძლიერებს იუაი საქართველოს რეპუტაციას, ხელს უწყობს მრავალფეროვანი და ნიჭიერი კადრების განვითარებას და უზრუნველყოფს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას მენტორობის პროცესში. ის, ასევე, ამყარებს იუაის, როგორც ლიდერის პოზიციას სოციალური პასუხისმგებლობისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით.

FLOWMASTER

მცირე და საშუალო ბიზნესი

ფლომასტერი

ფლომასტერი.ონლაინ

ფლომასტერი.ონლაინ არის ქართულენოვანი YouTube სასწავლო პლატფორმა, რომელიც 2020 წელს შეიქმნა, რათა პროფესიული განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი და უფასო ყოფილიყო. პლატფორმა მომხმარებლებს სთავაზობს მოკლე, პრაქტიკულ ვიდეოგაკვეთილებს კომუნიკაციის, ლიდერობისა და თვითგანვითარების თემებზე, წამყვანი ქართველი ექსპერტების მონაწილეობით.

338 ვიდეოთი, 597 ვიდეორგოლით, 2.8 მილიონზე მეტი ნახვითა და 41,500 გამომწერით, ფლომასტერი ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას, რადგან უზრუნველყოფს უნყვეტი სწავლების შესაძლებლობას ყველასთვის – შემოსავლის, ასაკის ან ადგილმდებარეობის მიუხედავად.

ფლომასტერი ახდენს განათლების დემოკრატიზაციას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რითაც ხელს უწყობს საქართველოში რბილი უნარებისა და პროფესიული მზადყოფნის სფეროში არსებული დეფიციტის შევსებას.

პლატფორმის ინკლუზიური და ქართულენოვანი კონტენტი ათასობით ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, გააძლიერონ თავდაჯერებულობა და განივითარონ კომუნიკაციისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარები. ამავდროულად, ფლომასტერი ქმნის მხარდამჭერ ონლაინ სასწავლო საზოგადოებას, სადაც ცოდნის გაზიარება და თვითგანვითარება ყველასთვის ხელმისაწვდომია.

პლატფორმა აძლიერებს ფლომასტერის ხილვადობასა და ლიდერობას ბაზარზე და უფასო, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო კონტენტის მეშვეობით, აყალიბებს ახალ მიზნობრივ აუდიტორიებსა და პარტნიორობას. 2025 წელს ფინანსური წიგნიერების მიმართულებით განხორციელებულმა თანამშრომლობამ 30,000 ლარის შემოსავალი მოიტანა და დაადასტურა პლატფორმის მასშტაბირებადი ბიზნეს-პოტენციალი.

ფლომასტერი წარმატებით აერთიანებს სოციალურ გავლენასა და მდგრად ზრდას, რაც მას აყალიბებს ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების წამყვან ძალად საქართველოში.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა მდგრადობა სტრატეგიულ პრიორიტეტად აქცია და სწავლების პროცესი, კვლევითი საქმიანობა და მმართველობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოიყვანა. 2022 წლიდან დანერგა ისეთი კურსები, როგორიცაა განახლებადი ენერგია და მწვანე ტექნოლოგიები, მდგრადი განვითარება, ცირკულარული ეკონომიკა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები. 2023 წელს უნივერსიტეტმა დააფუძნა მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი (GRUNI SDGs) და მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც, შვიდ სტუდენტს 10,000 ლარი გადაეცა.

2025 წლიდან კი, ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტისა და ტრანსფორმაციის მიმართულებით, კიდევ უფრო გაამყარებს უნივერსიტეტის ლიდერულ პოზიციას მდგრადი განვითარების შესახებ განათლების სფეროში.

ინიციატივა აღრმავებს სტუდენტებისა და პერსონალის ცოდნას მდგრადობის შესახებ, ხელს უწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობას და ზრდის ცნობიერებას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, რაც მხარდაჭერილია აშშ-ში დაფუძნებულ Libra Alliance-თან თანამშრომლობით.

პროექტი ზრდის უნივერსიტეტის რეპუტაციას, ეფექტურობას და მიმზიდველობას ახალი სტუდენტებისთვის, ხოლო თანამშრომლებს პასუხისმგებლიანი ჩართულობა მოტივაციას უმაღლებს. აღნიშნული კი უნივერსიტეტს მდგრადობაზე ფოკუსირებული განათლების სფეროს ლიდერად აყალიბებს.



Helio.ai

ჰელიო აი

AI აგენტი რეკრუტერებისთვის

ჰელიო აის ხელოვნური ინტელექტის აგენტი რეკრუტერებისთვის წარმოადგენს პირველ ქართულენოვან, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ასისტენტს, რომელიც სპეციალურად შექმნილია HR პროფესიონალებისთვის. იგი ინტეგრირებულია ჰელიოს რეკრუტინგის ეკოსისტემაში და მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მარტივი ხმოვანი ან ტექსტური ბრძანებებით შექმნან ვაკანსიის განცხადებები, დააგენერირონ გასაუბრების კითხვები და მართონ დაქირავების პროცესები.

პლატფორმა ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე და უწყვეტი პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობითა და რეკრუტერების ციფრული უნარების განვითარების მხარდაჭერით, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის განხორციელებას.

აგენტი ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაზე წვდომის დემოკრატიზაციას, რადგან რეკრუტერებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სთავაზობს ქართულენოვან, ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილ სწავლებას. ის აძლიერებს ქალ HR პროფესიონალებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს მოქნილი, თვითმართვადი სწავლების საშუალებით, აღმოფხვრის განათლების კუთხით არსებულ ხარვეზებს არაინგლისურენოვანი მოსაუბრეებისთვის და ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და თანაბარ შესაძლებლობებს.

ინსტრუმენტის გამოყენებით კომპანიები აღწევენ ამოცანების შესრულების 70%-ით დაჩქარებას, დაქირავების პროცესის თანმიმდევრულობის გაუმჯობესებას და ხარჯების შემცირებას. AI აგენტი ზრდის რეკრუტერების თავდაჯერებულობას, ამარტივებს ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესს და სტანდარტიზაციას უწევს სამუშაო პროცესებს, რითაც აძლიერებს ორგანიზაციულ ეფექტურობას და ნიჭიერი კადრების მოზიდვაში ბიზნესს სტრატეგიულ უპირატესობას ანიჭებს.

აითი აკადემია სტეპ

განვითარდი და განავითარე!

აითი აკადემია სტეპ საქართველოს პროგრამა „განვითარდი და განავითარე“ წარმოადგენს ეროვნულ საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას - ციფრული სწავლების ყველასთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

თბილისსა და თელავში მდებარე კამპუსებისა და ონლაინ აკადემიის საშუალებით, პროგრამა ემსახურება 9-დან 55 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, მათ შორის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და ემიგრანტებს. 2000-ზე მეტი კურსდამთავრებულით და 70%-ზე მაღალი დასაქმების მაჩვენებლით, პროექტი ნათლად აჩვენებს, რომ ხარისხიანი განათლება წარმოადგენს სოციალური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას საქართველოში.

აკადემია თანამშრომლობს Microsoft-თან, Cisco-სთან, Adobe-თან და CompTIA-სთან, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სერტიფიკატების ქართულ ენაზე გაცემას.

პროგრამა STEP for All უზრუნველყოფს სტიპენდიებს დაბალშემოსავლიანი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ხოლო იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, მსჯავრდებულებისთვის ტარდება უფასო IT კურსები. ინიციატივა ხელს უწყობს ინკლუზიურობას, გენდერულ თანასწორობასა და რეგიონულ განვითარებას. ის აძლიერებს ქალთა ჩართულობას (ამჟამად ისინი სტუდენტების 38%-ს შეადგენენ), ხელს უწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და ყოველწლიურად, დაახლოებით 15 მილიონი ლარით ზრდის საქართველოს ეკონომიკას კურსდამთავრებულთა შემოსავლების მატების შედეგად.

ყოველწლიურად 3,000-ზე მეტი სტუდენტითა და 30-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორობით, აიტი აკადემია სტეპ წლიური შემოსავალს 18%-ით ზრდის და იმყარებს ლიდერის პოზიციას საქართველოში ციფრული განათლების სფეროში. შემოსავლის 15%-ის რეინვესტირებით სტიპენდიებსა და სოციალურ პროექტებში, აკადემია აერთიანებს ეკონომიკურ წარმატებას საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანასთან და ავითარებს მდგრად ბიზნესმოდელს ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ჯეოლაბი

ინოვაციური სასწავლო გარემოს და პრაქტიკების დანერგვა ახალ ტექნოლოგიებში

ჯეოლაბის პროგრამა „ინოვაციური სასწავლო გარემოსა და პრაქტიკების დანერგვა ახალ ტექნოლოგიებში“ მიზნად ისახავს ციფრული უნარების დეფიციტის შემცირებას მასწავლებლების, ახალგაზრდებისა და საზოგადოებების გაძლიერების გზით, რასაც ახორციელებს მათთვის პრაქტიკული ტექნოლოგიური განათლების მიწოდებით.

USAID-თან, UNICEF-თან, თიბისი ბანკთან, PH International-თან და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობით, ჯეოლაბმა კოდირების, აპლიკაციის დიზაინისა და ციფრული თხრობის მიმართულებით, ქვეყნის მასშტაბით, 351 მასწავლებელი და 1,200 სტუდენტი გადაამზადა. პროექტები, როგორიცაა თიბისი ტექსკოლა და Learning with Playing (UNICEF-თან თანამშრომლობით), სტუდენტებს იზიდავს ჰიბრიდული, თამაშზე დაფუძნებული სწავლების მოდელით, რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით უნარებს, კრიტიკულ აზროვნებასა და გუნდური მუშაობის ჩვევებს.

ინიციატივა ხელს უწყობს ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას – ავითარებს ციფრულ უნარებს, აძლიერებს ინკლუზიურობას და ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები და ნაკლებად ჩართული მოსახლეობისთვის.

მასწავლებლები ახლა აქტიურად ნერგავენ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში, ხოლო მოსწავლეები საკუთარ უნარებს საზოგადოებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების შესაქმნელად იყენებენ. პროექტმა გააძლიერა ჯეოლაბის ლიდერობა ციფრული განათლების სფეროში, მოიზიდა გრძელვადიანი პარტნიორები, ახალი დაფინანსება და მედიის ყურადღება. ასევე, გააფართოვა კომპანიის პროდუქციის პორტფელი მდგრადი სასწავლო ინსტრუმენტებით, გააძლიერა შიდა საექსპერტო პოტენციალი და დაამკვიდრა ჯეოლაბი, როგორც სანდო და პასუხისმგებლიანი ინოვატორი საქართველოს ტექნოლოგიურ ეკოსისტემაში.

ბაუმერი

ბაუმერის აკადემია

კომპანია ბაუმერის მიერ დაფუძნებული ბაუმერის აკადემია თავდაპირველად შიდა სასწავლო ცენტრის სახით ფუნქციონირებდა, ხოლო შემდგომ ღია საგანმანათლებლო პლატფორმად გარდაიქმნა, რომელიც საქართველოში კვალიფიციური MEP (მექანიკური, ელექტრო და სანტექნიკური სისტემები) პროფესიონალების დეფიციტის პრობლემას უმკლავდება.

2024 წელს, აკადემიის გადამზადების პროგრამამ სახელმწიფო ავტორიზაცია მოიპოვა, რაც კურსდამთავრებულებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის და პროფესიის შეცვლის მსურველთათვის ხელმისაწვდომი პრაქტიკული სწავლების შეთავაზებით, აკადემია განათლებასა და დასაქმებას შორის ხიდის როლს ასრულებს. სტიპენდიები, მოქნილი სასწავლო გრაფიკი და რეგიონებში საქმიანობის დაგეგმილი გაფართოება ხელს უწყობს ინტეგრაციასა და შრომითი რესურსების განვითარებას, ამავდროულად ზრდის ინდუსტრიის სტანდარტებს ქვეყნის მასშტაბით.

აკადემია ბაუმერისთვის ქმნის კვალიფიციურ და დასაქმებისთვის მომზადებულ სამუშაო ძალას, ამცირებს დაქირავების ხარჯებს და ზრდის პროდუქტიულობას. ასევე, აძლიერებს ბაუმერის, როგორც ბაზრის პასუხისმგებლიანი ლიდერის რეპუტაციას, ამყარებს პარტნიორობებს და კომპანიას წარმოაჩენს, როგორც საქართველოს საინჟინრო სექტორის ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად.

KORDZADZE LAW OFFICE
კორძაძის საადვოკატო ბიურო

მცირე და საშუალო ბიზნესი

კორძაძის საადვოკატო ბიურო

განათლება საზღვრებს გარეშე

კორძაძის საადვოკატო ბიურო 20 წელზე მეტია, ხელს უწყობს ინკლუზიური იურიდიული განათლების განვითარებას სწავლების, მენტორობის, სტაჟირებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის გზით.

ბიუროს პარტნიორები კითხულობენ ლექციებს წამყვან ქართულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებში, ამზადებენ პროფესიონალებს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში და უზრუნველყოფენ სტიპენდიებს გამორჩეული სტუდენტებისთვის.

ფირმა, ასევე, თანამშრომლობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამების განხორციელების მიზნით, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს ფასდაუდებელ პრაქტიკულ გამოცდილებასა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

საადვოკატო ბიურო ხელს უწყობს თანაბარ წვდომას ხარისხიან იურიდიულ განათლებაზე და ეხმარება ახალგაზრდებსა და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს პრაქტიკული უნარების, თავდაჯერებულობისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაში. მისი პროგრამები ხელს უწყობს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალების აღზრდას, აძლიერებს საქართველოს სამართლებრივ და სამოქალაქო კულტურას და ამცირებს უთანასწორობას.

ინიციატივები აძლიერებს კორძაძის საადვოკატო ბიუროს რეპუტაციას, როგორც პასუხისმგებლიანი ლიდერისა, იზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდა კადრებს და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობა აფართოებს ფირმის გავლენას და ხელს უწყობს როგორც ბიზნესის, ისე იურიდიული სექტორის მდგრად განვითარებას.

MEURNEOBA.GE

მეურნეობა განათლება

მეურნეობა არის ქართული სოციალური საწარმო, რომელიც საჯარო სკოლებს მოსწავლეების მიერ მართულ ბიზნესებად გარდაქმნის, რითაც ხელს უწყობს მათ მიერ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებას და სამეწარმეო უნარების განვითარებას.

მეურნეობა, რომელიც სოფლისა და კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში ქრონიკული დაფინანსების დეფიციტთან გასამკლავებლად დაარსდა, ამჟამად საჯარო სკოლების ტერიტორიებზე აწყობს სათბურებს მარწყვის, კიტრისა და ვარდის მოსაყვანად. პროექტის მიხედვით, მოსწავლეები თავად მართავენ წარმოებას, მარკეტინგს და გაყიდვებს. მიღებული მოგება სკოლის განვითარებას ხმარდება, რაც საკლასო ოთახებს პრაქტიკული სწავლების სივრცეებად აქცევს.

ისეთ ორგანიზაციებთან პარტნიორობით, როგორიცაა საქართველოს პროფესიული უნარების სააგენტო და შატო მუხრანი, მეურნეობამ შექმნა მასშტაბირებადი და მდგრადი მოდელი, რომელიც ერთდროულად აძლიერებს განათლებას, საზოგადოების ჩართულობას და ადგილობრივ ეკონომიკას.

ინიციატივა აყალიბებს ფინანსურად დამოუკიდებელ სკოლებს, უღვივებს მოსწავლეებს რეალურ ბიზნეს უნარებს და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას. ის აძლიერებს ახალგაზრდებს, ხელს უწყობს ინკლუზიურობას და აკავშირებს განათლებას პრაქტიკულ გამოცდილებასთან, რითაც ზრდის თვითდაჯერებულობასა და შესაძლებლობებს - განსაკუთრებით, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

განათლებისა და მეწარმეობის გაერთიანებით, მეურნეობა შემოსავალს იღებს სათბურებიდან, რომლებსაც მართავენ მოსწავლეები და ოპერაციულ მხარდაჭერას ახორციელებს მეურნეობა. ბრენდი ხელს უწყობს პროექტის გაფართოებას, ქმნის კვალიფიციურ სამუშაო ძალას და წარმოადგენს მდგრად და გავლენაზე ორიენტირებული მოდელს, რომელიც სწავლას და ბიზნესს საერთო მიზნის – გრძელვადიანი განვითარების მისაღწევად აერთიანებს.

NUTRIMAX

ნუტრიმაქსი

სწავლა გაძლიერებისთვის

ნუტრიმაქსი განათლებას განიხილავს, როგორც მდგრადი განვითარების საკვანძო მიმართულებას ადამიანებისთვის, ცხოველებისთვისა და გარემოსთვის. ამ მიდგომით, კომპანია ახორციელებს გრძელვადიან საგანმანათლებლო ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფერმერების, შინაური ცხოველების მფლობელებისა და სტუდენტების ცოდნისა და უნარების გაძლიერებას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, კომპანიამ ჩაატარა 100-ზე მეტი ტრენინგი და სემინარი, ხოლო სოციალური მედიის მეშვეობით, ყოველთვიურად აღწევს 150,000 ადამიანს. ხუთ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ნუტრიმაქსმა მხარი დაუჭირა ვეტერინარული მომსახურებისა და საკვების წარმოების მიმართულებით მომუშავე ახალგაზრდებს.

აღნიშნული ძალისხმევა სრულად შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-2, მე-4, მე-12 და მე-17 მიზნებს და ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი, ინფორმირებული და ეთიკური პრაქტიკის ჩამოყალიბებას სოფლის მეურნეობისა და შინაური ცხოველების მოვლის სექტორებში.

ინიციატივა აუმჯობესებს ცხოველთა კეთილდღეობას, ფერმების პროდუქტიულობას და ავითარებს პროფესიულ უნარებს. ფერმერები იძენენ პრაქტიკულ ცოდნას, რაც ზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას; შინაური ცხოველების პატრონები უკეთეს გადაწყვეტილებებს იღებენ მოვლასთან დაკავშირებით, ხოლო სტუდენტებს აქვთ წვდომა პრაქტიკულ სწავლებაზე.

სოფლის რეგიონებში და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებში განათლების ხელშეწყობით, ნუტრიმაქსი ხელს უწყობს ინკლუზიურობას, ცნობიერების ამაღლებას და პასუხისმგებლიანი, მდგრადი სურსათის წარმოების კულტურის ჩამოყალიბებას საქართველოში.

Delivering Progress

პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი – პიემსიჯი

საჯარო შენობების ენერგოეფექტურობა საქართველოში

პიემსიჯი, პარტნიორებთან ერთად, ახორციელებს KfW-ის მიერ დაფინანსებულ ენერგოეფექტურობის პროგრამას საქართველოში საჯარო შენობებში, რომლის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პროექტი ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის, უსაფრთხოებისა და სწავლისთვის კომფორტული გარემოს გაუმჯობესებას, ამავდროულად მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მიზნებს. შეფასებული 50 სკოლიდან 20 სრულად განახლდება – აღიჭურვება თანამედროვე გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით, იზოლაციითა და მზის პანელებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერგიის მოხმარებას და გაზრდის ეფექტურობას.

ინიციატივა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს 10,000-ზე მეტი მოსწავლისა და მასწავლებლის პირობებს, განსაკუთრებით, სოფლის რეგიონებში, სადაც ინფრასტრუქტურა მოძველებულია.

რეაბილიტირებული სკოლები უზრუნველყოფს უსაფრთხო, კომფორტულ და ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს, რაც ხელს შეუწყობს დასწრებისა და აკადემიური მოსწრების ზრდას, ასევე ინკლუზიურობის განმტკიცებას გოგოებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. გარდა ამისა, განახლებული სკოლები გადაიქცევა საზოგადოებრივ ცენტრებად, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩართულობას, რეგიონულ განვითარებას და კეთილდღეობის გაუმჯობესებას მთელ საქართველოში.

პროექტი აძლიერებს პიემსიჯის რეპუტაციასა და ექსპერტიზას ფართომასშტაბიან, დონორების მიერ დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. KfW-ის საერთაშორისო სტანდარტების დაცვა ხაზს უსვამს მის პროფესიულ შესაძლებლობებს ენერგოეფექტურობის, განათლებისა და სოციალური განვითარების სფეროებში. ინიციატივა აფართოებს კომპანიის პარტნიორთა ქსელს, ზრდის სანდოობასა და ტექნიკურ კომპეტენციას, რაც მას ახალი საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის ამზადებს. ამავდროულად, აძლიერებს პიემსიჯის როლს, როგორც შედეგებზე ორიენტირებული და პასუხისმგებლიანი ორგანიზაციისა, რომელიც რეალურ გავლენას ახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე.

ქბქ

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება საცალო და ტურიზმის მიმართულებით

ინიციატივა ფოკუსირებულია რეკრუტირების სიზუსტის, თანამშრომელთა განვითარებისა და მოტივაციის გაუმჯობესებაზე, ამავდროულად ხელს უწყობს პროდუქტიული და პოზიტიური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას.

დაარსების დღიდან, კომპანია მიზნად ისახავს ერთიანი მომსახურების სტანდარტის დამკვიდრებას ყველა ბიზნეს სექტორში, რაც მოიცავს როგორც მომხმარებელთა მომსახურებას, ისე შიდა კომუნიკაციასა და ორგანიზაციულ კულტურას. დღემდე ჩატარებულია თითქმის 5,000 ტრენინგი 360-ზე მეტ კომპანიაში, რამაც ორგანიზაციებს პერსონალის ეფექტურობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში შეუწყო ხელი.

პროექტი ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი და მოტივირებული სამუშაო ძალის შექმნას, აუმჯობესებს დასაქმების საერთო ხარისხს და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს.

ერთიანი მომსახურების სტანდარტის დანერგვა კომპანიებს საშუალებას აძლევს, უფრო ეფექტურად მიაღწიონ მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას, გაუმჯობესონ მომსახურების ხარისხი, გაზარდონ მომხმარებელთა ერთგულება და ხელი შეუწყონ გაყიდვების ზრდას.

გაუმჯობესებული მენეჯმენტი და თანამშრომელთა ჩართულობის ამაღლება იწვევს პერსონალის გადინების შემცირებას და ორგანიზაციული ეფექტურობის ზრდას, რაც აძლიერებს კომპანიის კონკურენტუნარიანობას.

რე: სქული

აქციე სასჯელი შესაძლებლობად - რე:სქული მსჯავრდებული ქალებისთვის

2024 წლის თებერვალში რე:სქულმა რუსთავის მე-5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო ციფრული განათლების პროგრამა, რომლის მიზანი იყო ქალთა რესოციალიზაცია და დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ოთხმა მონაწილემ წარმატებით დაასრულა 10-თვიანი UI/UX დიზაინის კურსი, დაეუფლა Figma-ს გამოყენებას და პორტფოლიოს შექმნის უნარებს. გათავისუფლების შემდეგ, ორ მათგანს რე:სქულში დასაქმების შესაძლებლობა მიეცა, ხოლო ორმა სწავლის გაგრძელება არჩია.

ამ წარმატების საფუძველზე დაიწყო პროექტის მეორე ფაზა, რომელიც მიმართულია არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე და ფოკუსირებულია ვებ დეველოპმენტის შესწავლაზე. ინიციატივა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ციფრულ განათლებას ხელი შეუწყოს მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას, რეინტეგრაციასა და სოციალური ბარიერების დაძლევას.

პროგრამამ გააძლიერა პატიმრობაში მყოფი ქალები, უზრუნველყო პრაქტიკული უნარებით, გაზარდა მათი თავდაჯერებულობა და დასაქმების შესაძლებლობები, ამავდროულად, შეამცირა სტიგმა და ხელი შეუწყო ინკლუზიას. ინიციატივამ შექმნა რეაბილიტაციის ახალი პრეცედენტი ციფრული განათლების მეშვეობით, შეამცირა რეციდივის რისკი და იქცა სისტემური ცვლილების ინსპირაციად. საზოგადოებრივმა აღიარებამ, მათ შორის ორგანიზაცია Women in Tech-ის მხრიდან, მნიშვნელოვნად გაზარდა ცნობიერება მეორე შანსის მნიშვნელობისა და სოციალური რეინტეგრაციის საჭიროების შესახებ.

ინიციატივამ გააძლიერა რე:სქულის, როგორც პასუხისმგებლიანი ინოვატორის რეპუტაცია და მოიზიდა ახალი პარტნიორები, ინვესტორები და დაფინანსება მომავალი პროექტებისთვის. პროგრამამ გაამყარა ორგანიზაციის ლიდერული პოზიცია ტექნოლოგიური განათლებისა და სოციალური გავლენის სფეროში, რითაც დაამტკიცა, რომ ეთიკურ და ღირებულებებზე დაფუძნებულ ინიციატივებს შეუძლია, გახდეს ბიზნესის ზრდისა და საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ძალა.

Smart academy

სმარტ აკადემია

თანამედროვე პროფესიების გზამკვლევი

სმარტ აკადემიის მიერ შექმნილი თანამედროვე პროფესიების გზამკვლევი ეხმარება ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მათ, ვინც რეგიონებში ცხოვრობს, გააკეთონ ინფორმირებული და გააზრებული კარიერული არჩევანი.

გზამკვლევი მოიცავს 50 თანამედროვე პროფესიას – საჭირო უნარების, ყოველდღიური ამოცანებისა და სახელფასო დიაპაზონის დეტალური აღწერით, რითაც ავსებს კარიერული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ ხარვეზს.

პროექტი დაფინანსდა სახალხო დაფინანსების (ქრაუდფანდინგის) კამპანიის ფარგლებში, პლატფორმა ორბელიანი მეტის მხარდაჭერით და მოიცავს ბეჭდურ გზამკვლევს რეგიონებში მდებარე სკოლებისთვის, ასევე, მომავალში დაგეგმილ ონლაინ პლატფორმას ვიდეოკონტენტითა და კარიერულ თემატიკაზე შექმნილ სამაგიდო თამაშს, რათა სწავლა უფრო ინტერაქტიული და საინტერესო გახდეს.

გზამკვლევი ხელს უწყობს კარიერული ცნობიერების ამაღლებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, განსაკუთრებით, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ის ეხმარება სტუდენტებს საკუთარი ძლიერი მხარეებისა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში, ხოლო მასწავლებლებსა და მშობლებს - ახალგაზრდების კარიერული არჩევანის მიმართულების განსაზღვრაში.

საიმედო ინფორმაციაზე წვდომის გაფართოებით, გზამკვლევი ხელს უწყობს ინკლუზიას, თანაბარ შესაძლებლობებს და ინფორმირებულ გადაწყვეტილების მიღებას საქართველოს მასშტაბით.

პროექტმა გაზარდა სმარტ აკადემიის ცნობადობა, როგორც ინოვატორისა, განათლების სფეროში, მოიზიდა ახალი პარტნიორები და გააღრმავა ინტერესი მის მიერ შეთავაზებული კურსების მიმართ. მან შექმნა მასშტაბირებადი ცოდნის ბაზა, რომელიც ხელს უწყობს გრძელვადიან ზრდას, პარტნიორობების განვითარებას და სასწავლო პროგრამების გაძლიერებას, ამავდროულად კი, აძლიერებს ბრენდის, როგორც სოციალური გავლენის მქონე და პასუხისმგებლიანი ორგანიზაციის რეპუტაციას.

WHERE SERIOUS PEOPLE
MEET SERIOUS GOALS

სმარტ ბუღალტერია

უნივერსალური კურსი ბუღალტერიაში

უნივერსალური კურსი ბუღალტერიაში წარმოადგენს საქართველოს წამყვან ბუღალტრულ სერტიფიცირების პროგრამას, რომლის განხორციელება პანდემიის პერიოდში დაიწყო და დღეს აღიარებულია, როგორც ქვეყნის #1 ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო პროგრამა. მაღალკვალიფიციური მთავარი ბუღალტრების მოსამზადებლად შემუშავებული კურსი აერთიანებს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და რეალურ სამუშაო გამოცდილებას. პროგრამა შედგება რვა მოდულისგან, რომელიც მოიცავს ფინანსურ აღრიცხვას, დაბეგვრას, IFRS-ს, ACCA-ს ელემენტებს, RS.ge-ს, ORIS-ს, Excel-სა და ფინანსურ ანალიზს.

პროგრამას ხელმძღვანელობენ IFRS მდგრადობის ალიანსის წევრი შალვა ბაღდავაძე და ISO 9001 სერტიფიკატის მქონე ხარისხის მენეჯერი ქეთევან სიხარულიძე, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ხარისხსა და აქტუალურობას. ყოველი ლექცია მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს, ინდივიდუალურ მენტორობასა და რეალური საბუღალტრო პროგრამების გამოყენებას. კურსდამთავრებულები გადიან სტაჟირებას, იღებენ ორენოვან სერტიფიკატებს და მზად არიან დასაქმებისთვის როგორც საქართველოში,ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

ასობით წარმატებული კურსდამთავრებულით, კურსმა დაამკვიდრა ახალი ეროვნული სტანდარტი საბუღალტრო განათლებაში – ის აერთიანებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას პრაქტიკულ სწავლებასთან, რაც ხელს უწყობს საქართველოს შრომითი რესურსების განვითარებას.

შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია

ხარისხიანი პროფესიული აგრარული განათლების ახალი სტანდარტი კავკასიაში

შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია (SASC) უზრუნველყოფს შვეიცარიული სტანდარტის, პრაქტიკაზე დაფუძნებულ პროფესიულ განათლებას მეცხოველეობისა და რძის გადამუშავების სფეროში, რითაც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მიღწევას. სკოლის ინტეგრირებული სასწავლო ფერმა და თანამედროვე ყველისა და რძის გადამამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებს როგორც „ცოცხალი საკლასო ოთახები“, სადაც სოფლის ახალგაზრდობა იძენს დასაქმებისა და მეწარმეობისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. მდგრადი საარსებო წყაროებისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის წახალისებით, SASC ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის გადინების შემცირებას და საქართველოში აგროწარმოების გაძლიერებას.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ფონდი მათ საშუალებას აძლევს, დაიწყონ საკუთარი აგრობიზნესი – როგორიცაა რძის ფერმები და შრატზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოება, რაც რეგიონებში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ინოვაციურ შესაძლებლობებს.

Plantahof-თან და სხვა შვეიცარიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან პარტნიორობით, SASC უზრუნველყოფს უწყვეტ სწავლებას, ხელს უწყობს განათლებისა და ცხოვრების დონის ამაღლებას და აძლიერებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის განვითარებას.

SASC-ის შვეიცარული ხარისხის მოდელი აძლიერებს მის რეპუტაციას, როგორც ლიდერისა ქვეყანაში პროფესიული განათლების სფეროში, რაც იზიდავს ისეთ პარტნიორებს, როგორებიც არიან Plantahof, Gebert Ruf Stiftung და USDA Food for Progress. მისი ოპერაციები თვითკმარია, სასწავლო ფერმა მიღებული რძის მოსავლიანობით სამჯერ აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს, ყველის საწარმომ კი 2024 წელს ბრუნვა 10%-ით გაზარდა. მარგალიტი ქოლექშენის კაფე კი სკოლის ხილვადობასა და ბრენდის პოზიციას მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის გზით აძლიერებს. სწავლებისა და მეწარმეობის ეს ინტეგრირებული მიდგომა ხელს უწყობს გრძელვადიან მდგრადობას და მოაქვს პოზიტიური შედეგები საზოგადოებისთვის.

ტრეიდერების ჰაბი
TRADERS' HUB

ტრეიდერების ჰაბი

ტრეიდინგისა და ინვესტიციების ფორუმი 2025

ტრეიდერების ჰაბის მიერ ორგანიზებული ტრეიდინგისა და ინვესტიციების ფორუმი 2025 პირველი მასშტაბური ღონისძიებაა საქართველოში, რომელიც სრულად ფინანსურ ბაზრებსა და ინვესტიციების სფეროს მიეძღვნა. ფორუმი 2025 წლის 22 ივნისს, Global Tech Weekend-ის ფარგლებში გაიმართა და საქართველოსა და უცხოეთიდან 300-ზე მეტი მონაწილე და 15 სპიკერი გააერთიანა. ღონისძიებამ ხელი შეუწყო ფინანსური წიგნიერებისა და საინვესტიციო ცნობიერების ამაღლებას, ასევე ფინანსური ბაზრის განვითარებას ექსპერტთა დისკუსიებისა და საინვესტიციო ქსელების გაძლიერების გზით.

ფორუმი საქართველოში ფინანსური განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე მსჯელობას დაეთმო და მიზნად ისახავდა ინვესტიციებისა და ფინანსების სფეროში ცოდნის ხელმისაწვდომობის გაზრდას სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვისა და ფართო საზოგადოებისთვის.

ღონისძიებამ მონაწილეებს მიაწოდა პრაქტიკული ცოდნა და უნარები, ხელი შეუწყო უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების მოდერნიზებას და დააკავშირა ახალგაზრდები, დამსაქმებლები და მენტორები, რამაც მათ კარიერულ ზრდასა და ფინანსური თავდაჯერებულობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მედიაგაშუქებამ და შემდგომმა პროექტებმა, როგორიცაა Bulls & Bears Journal და Rati's Podcast, კიდევ უფრო გააფართოვა ინიციატივის საგანმანათლებლო ზეგავლენა, ხელი შეუწყო მეტად ინფორმირებული და ფინანსურად განათლებული საზოგადოების ფორმირებას.

ღონისძიებამ გააძლიერა ტრეიდერების ჰაბის, როგორც ინვესტიციების, განათლებისა და ინოვაციების სფეროში რეგიონული ლიდერის პოზიცია. ინიციატივამ ჩამოაყალიბა ახალი პარტნიორობები საერთაშორისო კომპანიებთან, გაზარდა ბრენდის ცნობადობა და მნიშვნელოვნად გააძლიერა პროგრამებში მონაწილეობისა და თანამშრომლობის მაჩვენებელი. ფორუმმა ასევე ხელი შეუწყო ახალი პროდუქტების განვითარებას, სპონსორებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას და ღონისძიებების დაგეგმვას, რაც ნათლად აჩვენებს, რომ განათლებაზე დაფუძნებულ ინიციატივებს შეუძლიათ, ერთდროულად წაახალისონ საზოგადოებრივი პროგრესი და ბიზნესის მდგრადი განვითარება.

TRINITY EDUCATION

მცირე და საშუალო ბიზნესი

თრინითი ედიუქეიშენი

მსოფლიო განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის

პროექტის მიზანია სტუდენტებს დაეხმაროს წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სკოლებში ჩარიცხვასა და სტიპენდიების მოპოვებაში – დაფინანსების შესაძლებლობებზე ცნობიერების ამაღლებისა და აპლიკაციის მომზადების პროცესში მხარდაჭერის გზით. თავდაპირველად აკადემიურ კონსულტაციაზე ორიენტირებული ინიციატივა ეტაპობრივად განვითარდა და გადაიქცა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობად, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს სტიპენდიებს სთავაზობენ, მათ შორის- Providence College, Pace University და ESADE.

პროექტის ფარგლებში იგეგმება საინფორმაციო ვიზიტები სკოლებში, ვებინარები და კითხვა-პასუხის სესიები. უკვე ჩატარებულია ათი თემატური სესია და ორი მასტერკლასი, რაც ახალგაზრდებს უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილებით და უზრდის საერთაშორისო განათლების მიღების მოტივაციას.

პროექტი ქმნის მნიშვნელოვან სოციალურ ღირებულებას, რადგან ახალგაზრდებს ეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებში, ამასთანავე წაახალისებს აკადემიურ წარმატებას, ლიდერობასა და საზოგადოებრივ ჩართულობას. სტიპენდიანტებს საქართველოში ორიდან სამ წლამდე ვადით დაბრუნების ვალდებულება აქვთ, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა ქვეყნის განვითარებას, ინოვაციასა და ეკონომიკის გაძლიერებას მოახმარონ.

ინიციატივა ხელს უწყობს საქართველოს ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, აყალიბებს ახალ თაობას, რომელიც ადგილობრივ ფასეულობებსა და საერთაშორისო ხედვას აერთიანებს.

ყოველწლიურად დაახლოებით 150 სტუდენტის საზღვარგარეთ გაგზავნა, უმეტესად სტიპენდიით, აძლიერებს ნდობას პარტნიორ უნივერსიტეტებთან, იზიდავს ახალ კლიენტებს და ამცირებს მარკეტინგულ ხარჯებს, რაც შემოსავლების ზრდაზე პირდაპირ აისახება.

სტუდენტების წარმატებული აკადემიური და პროფესიული კარიერა აძლიერებს ორგანიზაციის რეპუტაციას, როგორც სანდო ხიდისა, საქართველოს ტალანტსა და მსოფლიო დონის განათლებას შორის, რაც მას გამორჩეულ პოზიციას ანიჭებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

საქართველოს ბანკი

სერვისების ადაპტაცია უსინათლო მომხმარებლებისთვის

2024 წელს, საქართველოს ბანკი გახდა პირველი და ამ ეტაპზე, ერთადერთი კომერციული ბანკი საქართველოში, რომელმაც უსინათლო პირებისთვის ხელმისაწვდომობის პროგრამის განხორციელება დაიწყო.

20 სრულად ადაპტირებული ფილიალის მეშვეობით, ინიციატივა საბანკო მომსახურებაზე თანაბარ და დამოუკიდებელ წვდომას ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს. ფილიალებში მოეწყო ტაქტილური საფეხმავლო ბილიკები, აუდიოაღჭურვილობის მქონე საკონსულტაციო სივრცეები და დანერგილია იურიდიულად აღიარებული სიტყვიერი თანხმობის სისტემა.

გარდა ამისა, განახლდა 140 ბანკომატი - დაემატა ხმოვანი მითითებებისა და კონფიდენციალურობის ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს მომსახურების უსაფრთხო და ინკლუზიურ გამოცდილებას. პროგრამა შემუშავდა უსინათლო მომხმარებლების უშუალო ჩართულობით, ხოლო მისი განხორციელება მხარდაჭერილია სპეციალურად მომზადებული პერსონალისა და მენეჯმენტის მიერ, რაც უზრუნველყოფს ინიციატივის გრძელვადიან მდგრადობასა და განვითარების პოტენციალს.

პროგრამამ რევოლუცია მოახდინა ფინანსური ინკლუზიურობის სფეროში საქართველოში, რადგან უსინათლო პირებს შესაძლებლობა მიეცათ, პირველად, დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ მართონ საკუთარი ფინანსები. ინიციატივა აძლიერებს მომხმარებლებს, ხელს უწყობს თანასწორობას და ამსხვრევს სტიგმებს, ამავდროულად, ამყარებს ეროვნულ სტანდარტს ხელმისაწვდომობის კუთხით და შთააგონებს სხვა ინდუსტრიებსაც, განახორციელონ მსგავსი ინიციატივები.

ინიციატივამ გააძლიერა დაინტერესებულ მხარეთა ნდობა, განამტკიცა ბრენდის პოზიციონირება ბაზარზე და მოუტანა საერთაშორისო აღიარება. ინოვაციური გადაწყვეტების – მათ შორის აუდიო-სერვისებისა და სიტყვიერი თანხმობის მეშვეობით, ბანკმა წარმოაჩინა ტექნოლოგიური ლიდერობა და ინოვაციურობა. აღნიშნული მიდგომის ინსტიტუციონალიზაცია ქმნის მყარ საფუძველს ინიციატივის მდგრადობისა და ოპერაციული სრულყოფილებისთვის, ხოლო საქართველოს ბანკს აძლიერებს, როგორც ლიდერს პასუხისმგებლიანი დაფინანსების მიმართულებით.

სინომი რითეილ ჯორჯია

თანაბარი ღირებულება - თანაბარი ანაზღაურება

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, სინომი რითეილ ჯორჯიამ წამოიწყო ინიციატივა „თანაბარი ღირებულება – თანაბარი ანაზღაურება“, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული სახელფასო სხვაობის აღმოფხვრას და სამართლიანი, დამსახურებაზე დაფუძნებული ანაზღაურების უზრუნველყოფას, სქესის მიუხედავად. ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) და 2023 წლის გენდერული აუდიტის რეკომენდაციების შესაბამისად, კომპანიამ დანერგა გამჭვირვალე სახელფასო მატრიცა, თანამდებობების კლასიფიკაცია, ანაზღაურების ყოველწლიური ანალიზი და ხელფასის კორექტირების სისტემა 2024 წლიდან. ამ ნაბიჯების შედეგად, გენდერული სახელფასო სხვაობა შემცირდა 2%-ზე მეტით, განხორციელდა ყველა პოზიციის ბენჩმარკინგი, ხოლო ხელმძღვანელ პოზიციათა 90% ქალებმა დაიკავეს, რაც კიდევ უფრო ამყარებს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს კომპანიის საკადრო პოლიტიკაში.

პროექტმა შექმნა ნდობისა და თანასწორობის კულტურა, რამაც ქალები სამართლიანი ანაზღაურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებით უზრუნველყო. ქალთა 91%-იანი წარმომადგენლობით მმართველ რგოლში, ინიციატივა იქცა მოდელად, რომელიც გაზიარებულია რეგიონულ HR ფორუმებზე, როგორც მკაფიო მაგალითი იმისა, რომ გენდერული თანასწორობა საჭიროებს რეალურ წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღების დონეზე.

გაიზარდა თანამშრომლების ნდობა, კადრების შენარჩუნება და ჩართულობა, ხოლო სინომი რითეილ ჯორჯიამ გაიმყარა სამართლიანი და პროგრესული დამსაქმებლის რეპუტაცია. ხელფასების გამჭვირვალობის დანერგვის შედეგად, ინიციატივამ შესაძლებელი გახადა ქალ თანამშრომელთა შენარჩუნების 8%-ით ზრდა, ასევე, შიდა დაწინაურების მაჩვენებლის, (2024 წელს დაწინაურებულთა 80% ქალები იყვნენ) მოტივაციისა და პროდუქტიულობის ამაღლება.

არათანაბარ ანაზღაურებასთან დაკავშირებული საჩივრების შემცირებამ და მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის (DEI) მიმართულებით პოზიციების გამყარებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სინომის, როგორც დამსაქმებლის იმიჯი. დღეს ქალები იკავებენ ყველა მენეჯერული პოზიციის 32%-ს და უმაღლესი თანამდებობების უმეტესობას, რაც აძლიერებს გრძელვადიან თანასწორობას შრომით ურთიერთობებში და ხელს უწყობს შედეგებზე დაფუძნებულ, მდგრად ზრდას.

სინომი რითეილ ჯორჯია

შესაძლებლობა ყველასთვის

„შესაძლებლობა ყველასთვის“ სინომი რითეილის ინკლუზიური დასაქმების პროგრამაა Zara Georgia-ში, რომელიც მიზნად ისახავს სმენადაქვეითებული პირების ინტეგრირებას საცალო ვაჭრობის ფრონტ-ოფის პოზიციებზე. ინიციატივა, რომელიც 2024 წელს ბათუმში, სამი თანამშრომლის დასაქმებით დაიწყო და განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ალიანსის მხარდაჭერით, უზრუნველყოფდა ჟესტების ენაზე თარგმანს, ხელმისაწვდომ სამუშაო გარემოსა და პერსონალის გადამზადებას ინკლუზიური კომუნიკაციის მიმართულებით.

2025 წლის შუა პერიოდისთვის, გუნდში უკვე ოთხი სმენადაქვეითებული თანამშრომელი მუშაობდა, ხოლო წლის ბოლომდე მათი რაოდენობა თორმეტამდე გაიზრდება. ზოგი მათგანი დღეს ახალ თანამშრომლებს მენტორობას უწევს, რაც ქმნის თვითმმართველ, ინკლუზიურ მოდელს, რომელიც განამტკიცებს თანასწორობის კულტურას სამუშაო გარემოში.

პროგრამამ უზრუნველყო სტაბილური დასაქმება, თავდაჯერებულობა და ხილვადობა სმენადაქვეითებული თანამშრომლებისთვის. ამავდროულად, დაარღვია სტერეოტიპები და შთააგონა სხვა კომპანიები, მიბაძონ მის მაგალითს. შედეგად, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის განმეორებადი და მასშტაბირებადი მოდელი საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორში. ინიციატივამ გაუმჯობესა გუნდური მუშაობა, ემპათია და მორალური კლიმატი, რაც პირდაპირ აისახა მაღაზიის ეფექტურობასა და მომხმარებელთა გამოცდილების ხარისხზე.

HRPA 2025-ზე ინკლუზიის საუკეთესო მოდელად აღიარებულმა პროექტმა გააძლიერა სინომის რეპუტაცია, როგორც რეგიონული ლიდერისა, მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის (DEI) სფეროში. ინიციატივამ ნათლად აჩვენა, რომ ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებრივი პროგრესის, არამედ ბიზნესის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებსაც.

EFES
GEORGIA

ეფეს საქართველო

ღირსეული სამუშაო გარემო და ინდივიდუალური განვითარების გეგმები თანამშრომლებისთვის

ეფეს საქართველო ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს ღირსეული, უსაფრთხო და ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც აძლიერებს თანამშრომელთა მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებას. კომპანია ხელმძღვანელობს ანადოლუ ეფესის ბიზნეს ეთიკის კოდექსით და მკაცრად იცავს კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ყველა თანამშრომელისთვის შედგენილია ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას სწავლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგებისა და სერტიფიცირების მეშვეობით.

ეფეს საქართველო თანამშრომლებს სთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევას, უფასო კვებას, ტრანსპორტირებასა და გამაჯანსაღებელ აქტივობებში მონაწილეობას, ხოლო ინოვაციებსა და თანამშრომელთა ჩართულობას ხელს უწყობს ყოველწლიური იდეების კონკურსის გზით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, კომპანია სთავაზობს თანამშრომლებს 100%-ით ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებას და ფინანსურ ჯილდოებს ხანგრძლივი სამსახურისთვის, რაც ამყარებს თანასწორობისა და კეთილდღეობის კულტურას ორგანიზაციაში.

ღირსეული სამუშაო პირობებისადმი ეფეს საქართველოს ერთგულება ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას, განსაკუთრებით, ნატახტარის ლუდსახარშის მიმდებარე სოფლებში, სადაც კომპანია ერთ-ერთი მთავარი დამსაქმებელია.

თანამშრომლები სარგებლობენ სტაბილურობით, უსაფრთხოებით და ჯანდაცვაზე წვდომით, რაც ხელს უწყობს რეგიონულ ეკონომიკურ ზრდას. თანასწორობისა და უწყვეტი სწავლის კულტურა ხელს უწყობს თანამშრომელთა გაძლიერებას, თავდაჯერებულობის ზრდასა და პროფესიულ კონკურენტუნარიანობას.

კომპანიის ფოკუსმა დასაქმებულთა კეთილდღეობასა და ინკლუზიაზე გამოიწვია განსაკუთრებული ერთგულება, თანამშრომელთა დაბალი გადინება და მაღალი მოტივაცია. ეს შედეგი აისახება სამუშაო პროცესების ხარისხზე, ბრენდის გაძლიერებასა და ინოვაციური იდეების წარმოქმნაზე. თანამშრომელთა ინიციატივებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ოპერაციები და შეამცირა ხარჯები პროცესების ავტომატიზაციის, ნახშირბადის ემისიების შემცირებისა და გაუმჯობესებული საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით, რაც აძლიერებს ეფეს საქართველოს, როგორც პასუხისმგებლიანი და პროგრესულად მოაზროვნე დამსაქმებლის რეპუტაციას.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკი საქართველო

ღირსეული შრომის ხელშეწყობა და ეკონომიკური პროგრესი პროკრედიტ ბანკთან ერთად

პროკრედიტ ბანკი საქართველო ქმნის სამართლიან, ინკლუზიურ და მდგრად სამუშაო გარემოს, რომელიც დაფუძნებულია პროკრედიტ ჯგუფის თანასწორობის, გამჭვირვალობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტურ პრინციპებზე.

ბანკის ორგანიზაციული კულტურა დამყარებულია ღია კომუნიკაციის, ჰორიზონტალური იერარქიისა და ფიქსირებული ხელფასის მოდელზე, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას და გამორიცხავს თანამშრომლებს შორის არაჯანსაღ კონკურენციას. პროკრედიტ ბანკი საქართველოს გუნდი სარგებლობს უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით, მათ შორის, პროკრედიტ აკადემიის პროგრამებით, მოქნილი სამუშაო გრაფიკით, მშობლის შვებულებითა და ჯანმრთელობის სრული დაზღვევით. აღსანიშნავია, რომ ბანკში გენდერული ანაზღაურების სხვაობა ფიქსირდება ქალების სასარგებლოდ როგორც საშუალო, ისე უფროსი მენეჯმენტის დონეებზე, რაც პრაქტიკაში ადასტურებს ნამდვილი თანასწორობისა და დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული ზრდის კულტურას.

გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, ნორვეგიის მთავრობასთან და ფონდ ტასოსთან თანამშრომლობით, პროგრამა Empower Her დაეხმარა სოფლად მცხოვრებ 200 ქალს მეწარმეობისა და ფინანსური წიგნიერების უნარების განვითარებაში, ხოლო 79-მა მათგანმა გრანტებისა და მენტორობის მხარდაჭერით საკუთარი ბიზნესი დაიწყო.

პროკრედიტ ბანკის ინკლუზიური პოლიტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა კეთილდღეობას, გენდერული თანასწორობის განმტკიცებას და ქალებისთვის მდგრადი საარსებო წყაროების შექმნას. პროგრამა Empower Her მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოფლის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ბიზნესში ქალთა როლისა და შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებრივი აღქმის გარდაქმნას, რითაც საქართველოში აყალიბებს ინკლუზიურ და თანასწორ ეკონომიკურ ეკოსისტემას.

ბანკის სამართლიანმა და გამჭვირვალე საკადრო პოლიტიკამ გაუმჯობესა თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებელი, გაზარდა მათი ჩართულობა და წაახალისა ინოვაცია, რის შედეგადაც შემცირდა თანამშრომელთა გადინებასთან დაკავშირებული ხარჯები. ლიდერობაში მრავალფეროვნება ხელს უწყობს განსხვავებული პერსპექტივების წარმოჩენას, უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას და გუნდური სინერგიის განმტკიცებას, ხოლო საზოგადოებრივი პროგრამები აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას, ინვესტორთა ნდობასა და პოზიციონირებას ბაზარზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ თანასწორობა და ინკლუზიურობა, ღირებულებებთან ერთად, ბიზნესის ზრდისა და წარმატების რეალური მამოძრავებელი ძალებია.

ტერაბანკი

მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების პლატ-ფორმა SAASARGEBLO.GE

SaaSargeblo.ge ტერაბანკის ფლაგმანი პლატფორმაა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესს ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე უჭერს მხარს. პროექტი ბიზნესს SaaS პროვაიდერებთან და ტექნოლოგიურ სტარტაპებთან აკავშირებს, უზრუნველყოფს უფასო კონსულტაციებს, ტრენინგებსა და პარტნიორულ ქსელს, რაც კომპანიებს აძლევს საშუალებას, დანერგონ თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტები და გაზარდონ საკუთარი ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა.

ინიციატივა აძლიერებს საქართველოს ინოვაციურ ეკოსისტემას და ხაზს უსვამს ტერაბანკის ერთგულებას ბიზნესის მდგრადი განვითარების და ციფრული ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართ. პლატფორმა აერთიანებს 40 SaaS კომპანიას, რომლებიც 15,000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურებიან და B2B შეხვედრებისა და კონსულტაციების მეშვეობით, 20-ზე მეტ ახალ პარტნიორობას უწყობენ ხელს. პროექტი მხარს უჭერს ციფრულ წიგნიერებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ტექნოლოგიურ და ბიზნეს სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ის ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ოპერაციების მოდერნიზაციასა და გრძელვადიანი მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

SaaSargeblo.ge აძლიერებს ტერაბანკის, როგორც ინოვაციებსა და პარტნიორობაზე ორიენტირებული ციფრული ბანკის პოზიციონირებას. პლატფორმა ამყარებს კავშირებს სტარტაპებთან და მცირე ბიზნესთან, ზრდის მომხმარებელთა ნდობას და ხელს უწყობს საქართველოს ციფრული და ეკონომიკური განვითარების პროცესის გააქტიურებას.

TEGETA HOLDING

თეგეტა ჰოლდინგი

თეგეტელები ზრუნავენ

თეგეტელები ზრუნავენ თეგეტა ჰოლდინგის თანამშრომელთა ჩართულობის პროგრამაა, რომლის მიზანია პროფესიული გამოცდილებისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი კეთილდღეობის გასაძლიერებლად. ინიციატივა აერთიანებს თანამშრომლებს, რომლებიც pro bono კონსულტაციებსა და ტრენინგებს უწევენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალურ საწარმოებსა და რეგიონულ მცირე ბიზნესებს.

2024 წელს პროექტში მონაწილეობა მიიღო 8 თანამშრომელმა, რომლებმაც, ჯამში, 150 საათი მიუძღვნეს მოხალისეობრივ საქმიანობას, ხოლო pro bono მოხალისეთა კლუბს შეუერთდა 30-ზე მეტი წევრი. პროექტი დაფუძნებულია ISO 26000-ისა და გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებზე და ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას, ამავდროულად, აძლიერებს თანამშრომელთა მოტივაციასა და პროფესიულ სიამაყეს.

პროგრამა უზრუნველყოფს იმ მომსახურებებს, რომელთა მიღებაც ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის სხვაგვარად რთული იქნებოდა. 2022 წლიდან, 25-მა თანამშრომელმა 270 საათი დაუთმო კონსულტაციებს მარკეტინგის, სტრატეგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით, რითაც გააძლიერა 18 რეგიონული ორგანიზაცია, მათ შორის ეთნოდიზაინი და ხელი შეუწყო სოციალური საწარმოების შესაძლებლობების გაფართოებას.

ინიციატივა ხელს უწყობს ინკლუზიურობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და სამოქალაქო ჩართულობის ზრდას, ამავდროულად, აძლიერებს ციფრულ და სტრატეგიულ პოტენციალს იმ რეგიონებში, სადაც შესაბამის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ინიციატივა ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, ლიდერულ უნარებსა და ერთგულებას, ხოლო თეგეტას აყალიბებს საქართველოს წამყვან pro bono კომპანიად. პროგრამა აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას, მხარს უჭერს ESG მიზნებს და ნათლად აჩვენებს, რომ პასუხისმგებლიანი ბიზნესი ხელს უწყობს არა მხოლოდ საზოგადოებრივ პროგრესს, არამედ მდგრად ეკონომიკურ ზრდასაც.

თეგეტა ჰოლდინგი

თეგეტა ქალთა გაძლიერებისთვის

თეგეტა ქალთა გაძლიერებისთვის თეგეტა ჰოლდინგის გრძელვადიანი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას საქართველოში, განსაკუთრებით - მამაკაცებით დომინირებულ საავტომობილო სექტორში.

პროექტი ინტეგრირებულია კომპანიის ESG სტრატეგიაში და მდგრადი განვითარების მე-8 მიზანს სრულად შეესაბამება. ინიციატივა მხარს უჭერს ინკლუზიურ დასაქმებას, მიზნობრივ ტრენინგებსა და ლიდერული უნარების განვითარებას. დღეს თეგეტას თანამშრომელთა 24% ქალები არიან, მათ შორის ტექნიკოსები, ინჟინრები და მენეჯერები, რაც გენდერული ბალანსის თვალსაზრისით, ინდუსტრიის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

თეგეტა აკადემიის მეშვეობით, ქალები იღებენ პროფესიულ განათლებას, სტიპენდიებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას, ხოლო მენტორობის პროგრამები და გენდერულად მგრძნობიარე HR პოლიტიკა ხელს უწყობს კარიერულ ზრდას და ორგანიზაციულ ლიდერობას.

გარდა ამისა, ინიციატივები, როგორიცაა FemmeAvto და პარტნიორობა აკადემიურ ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შთააგონებს ქალებს, აირჩიონ კარიერა ტექნიკურ პროფესიებში, ასევე, აღვივებს ახალგაზრდა თაობის ინტერესს ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართ.

პროგრამამ მენეჯმენტში ქალთა წარმომადგენლობა 11%-ით გაზარდა, ხელი შეუწყო ქალი ტექნიკოსების გადამზადებასა და დასაქმებას და გააძლიერა 145-ზე მეტი ქალი მეწარმე საქართველოში. ინიციატივა ეწინააღმდეგება გენდერულ სტერეოტიპებს, უზრუნველყოფს სტაბილურ და ღირსეულ დასაქმებას და ხელს უწყობს STEM-სა და სპორტში მისაბაძი მაგალითების პოპულარიზაციას

ქალთა პოტენციალის განვითარებით, თეგეტა აძლიერებს გუნდს, იმიჯსა და ლიდერობას ESG-ის სფეროში. კომპანიის ისტორიაში პირველი ქალი გენერალური დირექტორის დანიშვნა ხაზს უსვამს თეგეტა ჰოლდინგის ერთგულებას ინკლუზიური ზრდის, თანასწორობისა და მრავალფეროვანი მმართველობის მიმართ, რაც უფრო ეფექტურ გადაწყვეტილებებს და მდგრად პროგრესს უზრუნველყოფს.

აისიტექი

აისიტექის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა

აისიტექის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ღრუბლოვან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პლატფორმაა, რომელიც კომპანიებს, განსაკუთრებით, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს, ადამიანური რესურსების მართვის პროცესების დიგიტალიზაციასა და ოპტიმიზაციაში ეხმარება.

პლატფორმა უზრუნველყოფს უსაფრთხო ელექტრონული კონტრაქტების გაფორმებას ელექტრონული პირადობის მოწმობის მეშვეობით და მოიცავს ყველა ძირითად HR ფუნქციას: თანამშრომელთა მონაცემების მართვას, სამუშაო დროის აღრიცხვას, შვებულებების ადმინისტრირებას, ხელფასების გამოთვლასა და შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

თვითმომსახურების ინსტრუმენტები და ორმაგი დამტკიცების (dual approval) მექანიზმი უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და შესაბამისობას საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან. ინტეგრირებული ანგარიშგების სისტემა ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას, აკონტროლონ სამართლიანი ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო და ღირსეული სამუშაოს სხვა ინდიკატორები, რითაც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის მიღწევას.

ყოველდღიურ HR პროცესებში სამართლიანობისა და გამჭვირვალობის დანერგვის გზით, აისიტექის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ეხმარება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოს განვითარებად შრომის რეგულაციებთან და ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში. პლატფორმა ამარტივებს შესაბამისობის უზრუნველყოფას, ამცირებს ადმინისტრაციულ ტვირთს და ხელს უწყობს ბიზნესის პასუხისმგებლიან ზრდას სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნების, ასევე მდგრადი საწარმოების განვითარების მხარდაჭერით. პროცესების ავტომატიზაციის გზით, სისტემა ადმინისტრაციულ ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს, კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და შესრულების მაღალი სტანდარტების დაცვით, ეფექტიანად გააფართოონ საქმიანობა.

Bakhvi HPP

ბახვი ჰესი

შესაძლებლობების შექმნა იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ

ბახვი ჰესი, რომელიც გურიაში მდებარეობს, მიზნად ისახავს არა მხოლოდ განახლებადი ენერგიის წარმოებას, არამედ ინკლუზიური რეგიონული განვითარების ხელშეწყობასაც.

2024 წელს, მშენებლობის ეტაპზე, დასაქმებულთა 52% ადგილობრივი მოსახლეობა იყო, მათ შორის 27% – ქალები, რაც გამორჩეული მიღწევაა საქართველოს ენერგეტიკული სექტორისთვის. ბევრი მათგანისთვის ეს იყო პირველი ფორმალური სამუშაო ადგილი, რომელმაც ისინი ფინანსური სტაბილურობითა და ახალი უნარებით უზრუნველყო, ამავდროულად კი, ხელი შეუწყო ტრადიციული გენდერული ბარიერების დაძლევას.

პროექტმა გააააქტიურა ადგილობრივი ეკონომიკა რეგიონული შესყიდვებისა და მცირე ბიზნესების მხარდაჭერის გზით, რითაც შეწყო ხელი მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის მიღწევას. ინიციატივამ გააძლიერა ქალთა ეკონომიკური ჩართულობა, გააუმჯობესა ოჯახების შემოსავლები და გაამყარა მათი როლი როგორც ოჯახებში, ისე ადგილობრივ საზოგადოებაში. პროექტმა, ასევე, მაგალითი მისცა ახალგაზრდებს და გააძლიერა მათი თვითშეფასება და ერთიანობის განცდა. ინკლუზიურმა დასაქმების პოლიტიკამ შექმნა სტაბილური, კვალიფიციური და სანდო სამუშაო ძალა, შეამცირა კადრების გადინება და უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა.

პროექტმა გააუმჯობესა კომპანიის რეპუტაცია, სამართლებრივი და ეთიკური შესაბამისობა, გააძლიერა დაინტერესებული მხარეების ნდობა და განავითარა ადგილობრივი პროფესიონალების პოტენციალი მომავალი საქმიანობისთვის. ბახვის ჰესის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურულ სექტორში ქალთა გაძლიერება შეიძლება, იქცეს არა მხოლოდ სოციალური პროგრესის, არამედ ბიზნესის წარმატების მამოძრავებელ ძალად.

CROWNE PLAZA
AN IHG HOTEL
BORJOMI

ქრაუნ პლაზა ბორჯომი

ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

ქრაუნ პლაზა ბორჯომის ინიციატივა „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“ საქართველოში პასუხისმგებლიანი სტუმარმასპინძლობის ახალ სტანდარტს აყალიბებს. კონკურენტუნარიანი ანაზღაურების, სოციალური პაკეტებისა და გადამზადების პროგრამების მეშვეობით, სასტუმრო ქმნის სამართლიანობაზე, კეთილდღეობასა და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებულ სამუშაო კულტურას. ინიციატივა მოიცავს ადგილობრივ სკოლებთან და კოლეჯებთან პარტნიორობას ახალგაზრდების დასაქმებისა და გადამზადების მხარდასაჭერად, რითაც რეგიონს უნარების არსებული დეფიციტის დაძლევაში ეხმარება.

თანამშრომელთა 80%-ზე მეტმა უკვე გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რაც მნიშვნელოვნად აისახა მომსახურების ხარისხის, მოტივაციისა და კარიერული განვითარების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, სასტუმრო მხარს უჭერს ადგილობრივ მომწოდებლებსა და ტურისტულ ქსელებს, რითაც ხელს უწყობს რეგიონული ეკონომიკისა და ტურიზმის მდგრად განვითარებას.

ინიციატივამ საგრძნობლად გააუმჯობესა სამუშაო გარემოს ხარისხი: თანამშრომელთა კმაყოფილება 32%-ით გაიზარდა, ხოლო კადრების გადინება 25%-ით შემცირდა. უფრო მეტი ქალი იკავებს ხელმძღვანელ პოზიციებს, რაც გენდერული თანასწორობის მიღწევის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. გარდა ამისა, პირველივე წელს, სასტუმროს გუნდს შეუერთდა ათზე მეტი ადგილობრივი ახალგაზრდა, რაც რეგიონში დასაქმებისა და პროფესიული განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. უწყვეტმა ტრენინგებმა და განათლების ხელშეწყობამ თანამშრომელთა მოტივაცია, თავდაჯერებულობა და მომსახურების ხარისხი გაზარდა, რითაც გამყარდა როგორც ოჯახების კეთილდღეობა, ისე საზოგადოების ერთიანობა ბორჯომში.

ინიციატივამ გააუმჯობესა თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებელი, პროდუქტიულობა და სტუმართა კმაყოფილება, ამავდროულად, გააძლიერა ქრაუნ პლაზა ბორჯომის, როგორც პასუხისმგებლიანი ტურიზმის სექტორის ლიდერის იმიჯი. კვალიფიციური აპლიკანტების 20%-იანმა ზრდამ და პერსონალის უფრო ეფექტურმა მუშაობამ გააძლიერა სასტუმროს კონკურენტუნარიანობა, რაც ადასტურებს, რომ ადამიანებში ინვესტირება მდგრადი წარმატების საფუძველია.

ეკობრენდს ჯორჯია

ორგანიზაციული კულტურის განვითარება

ეკობრენდსისთვის ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომელთა კეთილდღეობა სტრატეგიის ცენტრალური ღირებულებაა. ბოლო წლების განმავლობაში, კომპანიამ დანერგა სამართლიანი ბენეფიტების პაკეტი, გამჭვირვალე კომუნიკაციის მექანიზმები, ეფექტური წახალისების სისტემა და თანამშრომლები სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართო. ამ ძალისხმევამ, მდგრად ბიზნეს მოდელთან ერთად, ხელი შეუწყო B Corp სერტიფიკატის მოპოვებას, რითაც კომპანია სამხრეთ კავკასიაში პასუხისმგებლიანი ბიზნესის ერთ-ერთ მისაბაძ მაგალითად იქცა.

ინიციატივებმა გააუმჯობესა თანამშრომელთა კეთილდღეობა, შეამცირა სტრესი და ხელი შეუწყო სამუშაოსა და პირად ცხოვრების ბალანსს. ღია კომუნიკაციამ და ინკლუზიურმა დაგეგმარებამ გააძლიერა ნდობა, მიკუთვნებულობის განცდა და მოტივაცია. თანაბარი ბენეფიტებისა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) გამჭვირვალე სისტემამ უზრუნველყო სამართლიანობა და პროფესიული განვითარება, ხოლო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ტრენინგებმა გააღრმავა ჩართულობა და საერთო პასუხისმგებლობის კულტურა.

2024–2025 წლებში თანამშრომელთა გადინება შემცირდა მხოლოდ ორ შემთხვევამდე, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის ახალმა სისტემამ გაამარტივა ყოველდღიური ოპერაციები და გააძლიერა შიდა კოორდინაცია. ჯანსაღმა და მოტივირებულმა გუნდმა განაპირობა პროდუქტიულობის ზრდა და საბოლოოდ, ეკობრენდსი ჩამოყალიბდა როგორც მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული ბიზნესის ლიდერი რეგიონში.

იუაი

ორგანიზაციული გაძლიერების და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნის პროგრამა

ინკლუზიური დასაქმების პრაქტიკების დანერგვისა და ღირსეული სამუშაო გარემოს ხელშესაწყობად, იუაი საქართველომ ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, გორსა და თელავში ექვს მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიასთან ითანამშრომლა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) შეფასება, შემუშავდა სამოქმედო გეგმები, გადაიხედა HR პოლიტიკა და დაინერგა საჩივრების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები. მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების მხარდასაჭერად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ქალთა გადამზადების პროგრამა, რომლის მიზანია მონაწილეებისთვის ავტობუსის მძღოლისა და ტექნიკოსის პოზიციებისთვის საჭირო უნარების განვითარება. ეს უპრეცედენტო ინიციატივა ახალ შესაძლებლობებს ქმნის ქალებისთვის სატრანსპორტო სექტორში და ამყარებს თანასწორობისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელშემწყობ გარემოს.

პროექტმა გაუმჯობესა სამუშაო ადგილის უსაფრთხოების სტანდარტები, მხარი დაუჭირა სამართლიან დასაქმებას და გაზარდა ქალთა ჩართულობა ტექნიკურ პროფესიებში, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გენდერული სტერეოტიპების გადალახვასა და თანასწორობის განმტკიცებას. პროექტში მონაწილე სატრანსპორტო კომპანიებმა დაადასტურეს მისი მაღალი ეფექტურობა, თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა და კადრების გადინების შემცირება. განახლებულმა ადამიანური რესურსების პოლიტიკამ, რომელიც სრულ შესაბამისობაშია შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან, თანამშრომელთა კმაყოფილება გაზარდა.

ინკლუზიური მიდგომამ გაუმჯობესა ორგანიზაციული რეპუტაცია და შექმნა მეტი შესაძლებლობა კვალიფიციური კადრებისა და სტრატეგიული პარტნიორების მოზიდვისთვის, რაც ხელს უწყობს როგორც ოპერაციულ ეფექტიანობას, ისე საზოგადოებრივ პროგრესს.

ეფეიეს გრუპი

FAS APP - ციფრული ბუღალტერი

FAS APP – ციფრული ბუღალტერი თანამედროვე ავტომატიზებული პლატფორმაა, რომელიც მცირე მეწარმეებს ფინანსური პროცესების გამარტივებასა და საგადასახადო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში ეხმარება. საქართველოში, სადაც მცირე ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს აკლია საბუღალტრო გამოცდილება ან პროფესიონალური დახმარებისთვის საჭირო რესურსი, FAS APP უზრუნველყოფს შემოსავლების ავტომატურ დამუშავებას, ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და საგადასახადო დეკლარაციების გაგზავნას, რაც ბუღალტერიას მარტივ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ პროცესად აქცევს.

აპლიკაცია ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლიან ბიზნეს პრაქტიკას საგადასახადო შეცდომებისა და გადასახადებისგან თავის არიდების შემცირების გზით. ის მცირე მეწარმეებს აძლევს საშუალებას, საქმიანობა განახორციელონ ეროვნული რეგულაციების შესაბამისად და ხელი შეუწყონ საქართველოს საგადასახადო კულტურისა და ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

FAS APP ამცირებს საბუღალტრო ხარჯებს, ხელს უწყობს უკეთეს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და ქმნის საფუძველს მდგრადი ბიზნეს ზრდისთვის. მცირე ყოველთვიური გადასახადით, აპლიკაცია ხელმისაწვდომია მცირე ბიზნესისთვის, ხოლო თავად კომპანიისთვის უზრუნველყოფს სტაბილური განვითარების და გაფართოების შესაძლებლობებს.



Helio.ai

ჰელიო აი

გემიფიკაცია რეკრუტინგში

ჰელიოს მიერ შემუშავებული რეკრუტინგის გემიფიკაცია ტრადიციულ დაქირავების პროცესს ქცევაზე დაფუძნებული თამაშის მეშვეობით, ციფრულად გარდაქმნის. პლატფორმა 15-წუთიან ინტერაქტიულ შეფასებას იყენებს, რომელიც კლასიკურ ინტერვიუს ანაცვლებს და კანდიდატებს რეალურ სამუშაო სცენარებში ამოწმებს.

ასეთი მიდგომა რეკრუტერებს საშუალებას აძლევს, გადაწყვეტილებები მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებით და არა მხოლოდ რეზიუმეზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის, ლიდერობის, ემპათიისა და გუნდური მუშაობის უნარების უფრო ობიექტურ შეფასებას. მიკერძოებისგან თავისუფალი მიდგომა ზრდის შერჩევის სიზუსტეს 40%-დან 85%-მდე. გარდა ამისა, დასაქმების ადრეულ ეტაპზე კადრების გადინება 30%-ით მცირდება. პლატფორმა უკვე გამოიყენება 110-ზე მეტი ქართული კომპანიის მიერ და ხელს უწყობს ინკლუზიური, ეფექტური და სამართლიანი დასაქმების პრაქტიკის დამკვიდრებას.

ინსტრუმენტი დაქირავების პროცესს უფრო სამართლიანსა და გამჭვირვალეს ხდის, რადგან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებას ქცევითი ანალიზით ანაცვლებს. ასეთი მიდგომა ქალებს, ახალგაზრდებსა და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს კარიერული განვითარებისათვის. ინოვაციური სისტემა ამცირებს მიკერძოებას, აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს მოწინავე შეფასების ინსტრუმენტებზე წვდომას და ზრდის შრომის ბაზრის ეფექტურობას.

პლატფორმა დაქირავების პროცესს გარდაქმნის და უზრუნველყოფს უფრო სწრაფ, სამართლიან შერჩევას. დამსაქმებლები 60%-ით ამცირებენ კანდიდატთა შერჩევის დროს, ზრდიან შესაბამისობასა და თანამშრომელთა შენარჩუნებას და აძლიერებენ დამსაქმებლის რეპუტაციას. სისტემა მხარს უჭერს მასშტაბირებად, მონაცემებზე დაფუძნებულ HR გადაწყვეტილებებს, რაც კომპანიებს ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას საუკეთესო ტალანტების მოზიდვასა და განვითარებაში.

ქუდოს ჯორჯია

კორპორატიული ეფექტიანობის აქსელერატორი

ქუდოს ჯორჯიას კორპორატიული ეფექტურობის აქსელერატორი მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური რესურსების მართვის, გამჭვირვალობისა და მდგრადობის გაუმჯობესებაში ეხმარება, ამავდროულად, ხელს უწყობს ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფას.

პროგრამა ითვალისწინებს უფასო კონსულტაციებს ბიუჯეტირების, მომგებიანობის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის მიმართულებით, რაც მცირე ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და დაამკვიდროს დასაქმების სამართლიანი პრაქტიკა. ქუდოსი აღნიშნულ პრინციპებს ორგანიზაციის შიგნითაც ნერგავს – უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, ანაზღაურებად სტაჟირებას და ინკლუზიურ პრაქტიკას.

პროექტი აძლიერებს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური წიგნიერების, სტაბილურობისა და სამუშაო ადგილების ხარისხის გაუმჯობესების გზით. ინიციატივა ხელს უწყობს ეთიკური მენეჯმენტის განვითარებას, მხარს უჭერს ახალგაზრდების დასაქმებას ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამების მეშვეობით და ავითარებს პასუხისმგებლიან, გამჭვირვალე ბიზნეს პრაქტიკას, რომელიც ადგილობრივი ეკონომიკის მდგრად ზრდას უწყობს ხელს.

ინიციატივა ზრდის მომხმარებელთა ნდობასა და ერთგულებას, ასევე, ამყარებს ქუდოს ჯორჯიას, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული, პასუხისმგებლიანი კომპანიის რეპუტაციას. ინიციატივა იზიდავს ახალგაზრდა ტალანტებს, ხელს უწყობს ინოვაციებს და აძლიერებს ქუდოსის, როგორც მდგრადი განვითარების საკონსულტაციო სფერის ლიდერის პოზიციას.

ფინო

ბედნიერების კომიტეტი

ფინოში სწამთ, რომ თანამშრომელთა კეთილდღეობა ისეთივე პრიორიტეტულია, როგორც პროფესიონალიზმი.

ბედნიერების კომიტეტი მხარს უჭერს კოლეგების ემოციურ, ფსიქოლოგიურ და პროფესიულ კეთილდღეობას, ამცირებს სტრესს და ქმნის მხარდამჭერ სამუშაო გარემოს.

2020 წელს დაარსების დღიდან, ინიციატივამ აამაღლა ერთგულება, შეამცირა თანამშრომელთა გადინება და მოიპოვა ეროვნული აღიარება მერიტოსა და ბედნიერებისა და განვითარების სამიტზე. ადამიანზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს პოპულარიზაციის შედეგად, ფინოს მოდელი სხვა კომპანიებისთვისაც მისაბაძ მაგალითად იქცა.

ბედნიერების კომიტეტი ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ინკლუზიურობისა და შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ქმნის მხარდამჭერ სამუშაო გარემოს და ამცირებს ფსიქიკურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სტიგმას.

მისი ღია წვდომის მოდელი ხელს უწყობს ემპათიისა და პატივისცემის კულტურის გაღრმავებას ბიზნეს საზოგადოებაში. ინიციატივამ გააუმჯობესა დასაქმებულთა ჩართულობა, გუნდური თანამშრომლობა და პროდუქტიულობა, ამავდროულად კი შეამცირა კადრების გადინება. უწყვეტი უკუკავშირის სისტემა ხელს უწყობს უფრო ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, ხოლო ეროვნულმა აღიარებამ ფინო წარმოაჩინა, როგორც მზრუნველი და მდგრადი დამსაქმებლის წამყვანი მაგალითი საქართველოში.

ოჯახური

ადგილობრივი მიწიდან ღირსეულ დასაქმებამდე

მიწოდების ჯაჭვში მცირე ფერმერების ინტეგრირებით, პროექტი ხელს უწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ხარვეზის აღმოფხვრას. ინიციატივაში ჩართულ ფერმერებს მოჰყავთ ნიშური კულტურები, მათ შორის, დაფნის ფოთოლი, წითელი წიწაკა, უცხო სუნელი და ნიორი.

ფერმერები უზრუნველყოფილნი არიან წერილობითი კონტრაქტებით, გამჭვირვალე გადახდებითა და პირდაპირი ჩართულობის სისტემით, რაც შუამავლებს გამორიცხავს. ბევრმა მონაწილემ, მათ შორის ქალებმა და ხანდაზმულებმა, მოიპოვა სტაბილური შემოსავლის წყარო და შეიძინა ახალი უნარები, ხოლო კომპანიამ უზრუნველყო მაღალი ხარისხის ნედლეულის წარმოება და გააძლიერა საკუთარი რეპუტაცია.

50-ზე მეტი ფერმერი იღებს სტაბილურ, კონტრაქტზე დაფუძნებულ შემოსავალს და აქვს ბაზრებზე წვდომა. პროექტმა გააძლიერა ქალი და ხანდაზმული ფერმერები, ხელი შეუწყო ბიომრავალფეროვნების დაცვას და ჩამოაყალიბა ნდობა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასა და ბიზნესს შორის, რითაც შექმნა ინკლუზიური განვითარების მასშტაბირებადი მოდელი.

ოჯახურმა გააძლიერა მიწოდების ჯაჭვის საიმედოობა, გაუმჯობესა პროდუქტის ხარისხი და შეამცირა შუამავლობის ხარჯები. ამავდროულად, ინიციატივამ გააძლიერა კომპანიის იმიჯი, რაც ამყარებს მომხმარებელთა ერთგულებას და უზრუნველყოფს ბიზნესის მდგრად ზრდას.

MARGALITI
Collection

მარგალიტი ქოლექშენი

ქართული მარგალიტები ერთ სივრცეში

მარგალიტი ქოლექშენი შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიასთან (SASC) პარტნიორობით დაფუძნებული კაფე და მაღაზიაა, სადაც საქართველოში წარმოებული, საუკეთესო ხარისხის, ფერმიდან მოწოდებული პროდუქტებია წარმოდგენილი.

მაღაზია მარაგდება დმანისში მდებარე SASC-ის სასწავლო ფერმის მაღალხარისხიანი რძის პროდუქტებით. ასევე, მცირე ფერმერებთან პარტნიორობით, მარგალიტი ქოლექშენი მომხმარებლებს ავთენტურ ყველს, თაფლს, ჩაის, ღვინოს და ხელნაკეთ პროდუქციას სთავაზობს. ყოველი შენაძენი მხარს უჭერს ადგილობრივ მეწარმეებს და ხელს უწყობს ახალგაზრდების განათლებას აგრარული მიმართულებით, რითაც სოფლის მეურნეობის განვითარებას, განათლებასა და მდგრად ბიზნესს ერთ მოდელში აერთიანებს.

პროექტი უწყობს ხელს ტრადიციული პროდუქციის შენარჩუნებას, SASC-ის მეშვეობით მხარს უჭერს ახალგაზრდების პროფესიულ განათლებას და ქმნის ხიდს საქართველოს აგრარულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს შორის. ინიციატივა აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას, უზრუნველყოფს პროდუქტების ხარისხს ვერტიკალური ინტეგრაციის გზით და ახდენს შემოსავლის დივერსიფიკაციას მცირე მეწარმოებთან პარტნიორობით.

სოციალური მიზნისა და ძლიერი ოპერაციული მოდელის შერწყმით, მარგალიტი ქოლექშენი ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლიანი მომარაგება არის არა მხოლოდ ეთიკური არჩევანი, არამედ ეფექტიანი სტრატეგია ბიზნესის მდგრადი ზრდისთვის.

ნიუ ვიჟენ დაზღვევა

ადამიანური რესურსების მართვა ყველასთვის

ინიციატივა „ადამიანური რესურსების მართვა ყველასთვის" ცოდნას ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომს ხდის და ადამიანური რესურსების მართვას საერთო პასუხისმგებლობად აქცევს. რეკრუტირების, ინკლუზიურობის, ეთიკის, შრომის კანონმდებლობისა და კეთილდღეობის შესახებ ტრენინგების მეშვეობით, თანამშრომლები იძენენ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, რათა ყოველდღიურ საქმიანობაში ხელი შეუწყონ სამართლიანობის, პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების კულტურას.

პროექტი უზრუნველყოფს თანასწორობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის განმტკიცებას, ეხმარება თანამშრომლებს პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაციის ჩამოყალიბებაში და დისკრიმინაციის პრევენციაში. ინიციატივა აუმჯობესებს კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, აძლიერებს გუნდურ მუშაობას და ქმნის უფრო უსაფრთხო, მხარდაჭერასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებულ სამუშაო კულტურას.

ადამიანური რესურსების პრინციპების გააზრების გაუმჯობესებით, ინიციატივა ზრდის ჩართულობას, თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებლებს და შესაბამისობას. პროექტი განამტკიცებს მოტივაციას, ამცირებს კონფლიქტს და ამყარებს ნიუ ვიჟენ დაზღვევის, როგორც სამართლიანი და პასუხისმგებლიანი დამსაქმებლის რეპუტაციას.

პოლიტიკის და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი - პიემსიჯი

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა

DAI Global-ის ქვეკონტრაქტორის რანგში, პიემსიჯიმ იმუშავა USAID-ის ხუთწლიან ეკონომიკური მმართველობის პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის - ტურიზმში, შემოქმედებით ინდუსტრიებში, წარმოებაში და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

პიემსიჯი ხელმძღვანელობდა გენდერული თანასწორობის, ახალგაზრდების ჩართულობისა და საჯარო-კერძო დიალოგის მიმართულებებს, რითაც უზრუნველყო თანასწორობისა და ინკლუზიის ინტეგრირება პროგრამის ყველა კომპონენტში. ისეთმა ინიციატივებმა, როგორიცაა We-Tech, 500 Women in Tech და Grace Hopper Award, 90-ზე მეტ ქალს მისცა ციფრული და სამეწარმეო უნარების განვითარების შესაძლებლობა. ხოლო ახალგაზრდებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მიიღეს წვდომა ტრენინგებისა და დასაქმების ახალ შესაძლებლობებზე.

გარდა ამისა, პიემსიჯიმ ჩამოაყალიბა საჯარო-კერძო დიალოგის ექვსი პლატფორმა და ხელი შეუწყო 21 ბიზნეს ასოციაციის ინსტიტუციურ განვითარებას. პროექტმა გააააქტიურა ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეკონომიკური ჩართულობა, ამასთანავე, ხელი შეუწყო დასაქმებასა და მეწარმეობაზე თანაბარ წვდომას. ქალების მიერ მართულმა სტარტაპებმა მოიპოვეს ინვესტიციები, ხოლო ინკლუზიურმა საჯარო-კერძო დიალოგებმა ხელი შეუწყო მნიშვნელოვან რეფორმებს, მათ შორის, ტურიზმის აღდგენისა და საავტორო უფლებების შესახებ.

აღნიშნული ძალისხმევა ხელს უწყობს შრომის ბაზრის მრავალფეროვნებას, სოციალურ ინკლუზიას და ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცებას.

პროგრამამ გააფართოვა პიემსიჯის პარტნიორთა ქსელი, ხილვადობა და რეგიონული პოზიცია. ამავდროულად, გააძლიერა მისი, როგორც ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ლიდერის რეპუტაცია.

Retain



რითეინი

ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული ინოვაცია ღირსეული შრომისთვის

რითიენი ციფრული პლატფორმაა, რომელიც ამარტივებს თანამშრომელთა ჩართულობას, უკუკავშირის შეგროვებასა და ადმინისტრაციულ პროცესებს ჭკვიანი ბმულებისა და QR კოდების საშუალებით – აპლიკაციის გამოყენების გარეშე. პლატფორმა ზოგავს დროს, ამცირებს ბიუროკრატიას და ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ამავდროულად კი, ხელს უწყობს ინკლუზიური, ეფექტური და ადამიანზე ორიენტირებული სამუშაო კულტურის ჩამოყალიბებას.

რითეინი აუმჯობესებს სამუშაო გარემოს ბიუროკრატიის შემცირებით, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობითა და მცირე ბიზნესებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების მიწოდებით.

სისტემა აძლიერებს თანამშრომლებს, უწყობს ხელს ინკლუზიურობას და მხარს უჭერს ღირსეული შრომისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევას. მისი გამოყენება ამცირებს ხარჯებს, ზრდის პროდუქტიულობას და ამაღლებს თანამშრომელთა ჩართულობას. რეალურ დროში ანალიტიკა აუმჯობესებს მენეჯმენტის ეფექტიანობასა და მომხმარებელთა კმაყოფილებას, რითაც კომპანიებს ეხმარება მოდერნიზაციაში, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და მდგრადი ზრდის უზრუნველყოფაში.

როქი

საქართველოს რეგიონებში, მცირე და საშუალო ვეტ-აფთიაქებისა და ფერემერული მეურნეობების ხელშეწყობა და განვითარება

მცირე და საშუალო ზომის ვეტერინარული აფთიაქებისა და ფერმების მხარდაჭერა და განვითარება როქის ერთ-ერთი მთავარი მისიაა. FAO-სთან, Land O'Lakes-თან და ადგილობრივ ასოციაციებთან პარტნიორობით, კომპანია ფერმერებს ამზადებს, ამარაგებს თანამედროვე აღჭურვილობით და ქმნის ქართულენოვან სახელმძღვანელოებს მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის.

შედეგად, 200-ზე მეტმა ფერმერმა გაიარა გადამზადება, მიწოდებულია 100-ზე მეტი ტექნიკური დანადგარი, ხოლო 400-მდე ვეტერინარულ აფთიაქს გაეწია მხარდაჭერა ქვეყნის მასშტაბით, რაც აუმჯობესებს ცხოველთა მოვლის ხარისხს, აფართოებს მომსახურებაზე წვდომას და აძლიერებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ მდგრადობას.

პროექტი აუმჯობესებს ფერმერთა უნარებს, პროდუქტიულობასა და შემოსავალს, ამავდროულად კი, ხელს უწყობს სურსათის უვნებლობასა და გენდერულ თანასწორობას. ქალები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც მეურნეობების, ისე ვეტერინარული აფთიაქების საქმიანობაში, ხოლო ადგილობრივი მეწარმეები იღებენ შესაბამის ცოდნასა და ინსტრუმენტებს.

როქიმ გააფართოვა თავისი ქსელი ქვეყნის მასშტაბით, გაზარდა ბაზარზე წვდომა და განამტკიცა ბრენდისადმი ნდობა პარტნიორობებისა და სტაბილური შემოსავლის მეშვეობით. უწყვეტი უკუკავშირის სისტემა ხელს უწყობს ინოვაციას, დივერსიფიკაციასა და ცოდნის გაზიარებას, რითაც კომპანია პოზიციონირებს, როგორც სანდო და პასუხისმგებლიანი ლიდერი საქართველოს ვეტერინარულ სექტორში.

TELAGRI



ტელაგრი

აგროსესხების რისკების შემცირება განვითარებად ბაზრებზე

ტელაგრი აგრო-ფინტექ პლატფორმაა, რომელიც აგრო სესხების დაბალფასიანი და რეალურ დროში მონიტორინგის სისტემის მეშვეობით, ფერმერებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს აკავშირებს. ფერმერები ყოველთვიურად აწვდიან განახლებულ მონაცემებს – ფოტოებს, ნიადაგის მაჩვენებლებსა და საველე ჩანაწერებს, რაც აგრონომებისა და ხელოვნური ინტელექტის მიერ მოწმდება.

ბანკები რეალურ დროში ანალიტიკაზე დაყრდნობით იღებენ უფრო გონივრულ გადაწყვეტილებებს ანდერრაიტინგსა და რისკების მართვაში, ხოლო ფერმერები უზრუნველყოფილნი არიან ექსპერტული რჩევებით, რაც მოსავლიანობის გაზრდასა და კრედიტებზე წვდომის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ამუშავების დღიდან, ტელაგრიმ მოიზიდა 500-ზე მეტი ფერმერი, შექმნა 30-ზე მეტი სამუშაო ადგილი და უზრუნველყო 300 ტონაზე მეტი მოსავლის შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მე-2, მე-8, მე-9 და მე-13 მიზნების შესრულებას.

პლატფორმა ზრდის პროდუქტიულობას (40%-მდე), ქმნის კვალიფიციურ სამუშაო ადგილებს სოფლად და ფერმერებს აწვდის ცოდნასა და ინსტრუმენტებს, რომელიც აუცილებელია ბანკებთან ეფექტური თანამშრომლობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. ტელაგრიმ გაამყარა პარტნიორობა ადგილობრივ ბანკებთან, გაზარდა ინვესტორთა დაინტერესება და უზრუნველყო შემოსავლის ახალი წყაროები. დაგროვილმა ცოდნამ გააუმჯობესა ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები, რითაც დადასტურდა, რომ ფინტექ ინოვაციებს შეუძლიათ, ერთდროულად შეუწყონ ხელი როგორც ბიზნესის ზრდას, ისე მდგრად განვითარებას.

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

სინომი რითეილ ჯორჯია

გადაწყვეტილება, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მოქმედებს

სინომი რითეილ ჯორჯიას ინიციატივა მიმართულია პლასტმასისა და ქაღალდის ნარჩენების შემცირებისკენ. ყველა მაღაზიამ პლასტიკის ჩანთები გადამუშავებადი ქაღალდის ჩანთებით ჩაანაცვლა, ხოლო მათი გაყიდვიდან მიღებული თანხის 100% ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს (WWF) გადაერიცხა. 2024 წელს სინომი რითეილში შემავალმა კომპანიებმა WWF-ს 118 202,72 ევრო შესწირეს ახლო აღმოსავლეთში უდაბნოების გატყიანების, ბიომრავალფეროვნებისა და წყლის რესურსების დაცვის პროექტების მხარდასაჭერად.

ასევე, კომპანიამ განახორციელა ადამიანური რესურსების, ფინანსური და ოპერაციული პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზოგება 250-ზე მეტი ქაღალდის შეკვრა და 30%-ით მცირდება ადმინისტრაციული დრო.

ინიციატივის შედეგად, მყიდველთა 80%-მა დაიწყო მრავალჯერადი ჩანთების გამოყენება; არაბთა გაერთიანებულ საამიროებში აღდგა 12-ზე მეტი ჰექტარი ტყე; 786 ადამიანი გადამზადდა მდგრადობის საკითხებზე; 263 ქალი ეკონომიკურად გაძლიერდა, ხოლო 133 მოხალისე ჩაერთო ინიციატივაში. პროექტმა გააძლიერა მომხმარებელთა ნდობა, გაზარდა თანამშრომელთა ჩართულობა და აჩვენა, რომ მდგრადი საცალო პრაქტიკა შეიძლება იყოს ერთდროულად მასშტაბური და ეფექტური.

EFES
GEORGIA

ეფეს საქართველო

მდგრადი მოხმარება და წარმოება

ეფეს საქართველო გარემოს დაცვას ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს და სრულად იყენებს განახლებადი წყაროებიდან წარმოებულ ელექტროენერგიას, რაც მწვანე სერტიფიკატით (GO) არის დადასტურებული. კომპანიის ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი სისტემა უზრუნველყოფს წყლის გაწმენდას და მის ხელახალ გამოყენებას სარწყავი და დასუფთავების მიზნებისთვის, ხოლო ამ პროცესის შედეგად მიღებული ბიოგაზი საწარმოო ციკლში კვლავ გამოიყენება.

სითბოს აღდგენის სისტემები, ავტომატიზაციის სენსორები და თანამედროვე დანადგარები კიდევ უფრო ამცირებენ ენერგიის, წყლისა და ქიმიკატების მოხმარებას, რაც ზრდის წარმოების ეფექტიანობასა და შესაბამისობას გარემოსდაცვით სტანდარტებთან. მთელი საწარმოს მასშტაბით ხორციელდება ნარჩენების – პლასტმასის, მინის, ლითონისა და მუყაოს დახარისხება და გადამუშავება. პროცესს დამატებით უწყობს ხელს საოფისე ნარჩენების გადამუშავების პუნქტებიც.

ეფეს საქართველოს პროექტები, რომლებიც მიმართულია განახლებადი ენერგიის წყაროებისა და რესურსების ხელახალი გამოყენებისკენ, ხელს უწყობს ემისიების შემცირებას, წყლის დაბინძურების პრევენციას და თანამშრომელთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მდგრადი განვითარების მიმართულებით.

მდგრადი განვითარების ინიციატივები ამცირებს ენერგიისა და წყლის მოხმარებას, ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას, აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას და ეფეს საქართველოს წარმოაჩენს, როგორც ლიდერს პასუხისმგებლიანი და მდგრადი წარმოების მიმართულებით.

პეპსიკო
მზის პანელები

პეპსიკოს თბილისის საწარმოში მზის ენერგიის გამოყენების გაფართოების პროექტი მიმდინარეობს, რომლის მიზანია განახლებადი ენერგიის სიმძლავრის 194 კვტ-ით გაზრდა. ახალი სისტემა 2021 წელს უკვე დამონტაჟებულ 304 კვტ სიმძლავრის სადგურს დაემატება.

პროექტის მოდერნიზაცია საწარმოს საშუალებას მისცემს, წლიურად შეამციროს CO_2-ის გამონაბოლქვი 141.5 ტონით და ელექტროენერგიის მოხმარება 10%-ით. FM Global-ის უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად შექმნილი პანელები 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმუშავებს და უზრუნველყოფს როგორც ეკოლოგიურ, ისე ფინანსურ სარგებელს – მათ შორის: 34,4 მილიონი აშშ დოლარის პროგნოზირებულ დანაზოგს, 18%-იან შიდა უკუგების მაჩვენებელს და 5,3-წლიან ანაზღაურების ვადას, წარმოების შეფერხების გარეშე. პროექტი ხელს უწყობს სათბურის აირების ემისიების შემცირებას, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და საქართველოს ეროვნული მიზნების მიღწევას ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სფეროში. პროექტი უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დაცვით განხორციელდა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და ხელს უწყობს თანამშრომლებისა და ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას განახლებადი ენერგიის წყაროების მნიშვნელობის შესახებ. სახურავის სივრცის გადამუშავებამ ასევე გააუმჯობესა ქარხნის ინფრასტრუქტურა და წარმოადგენს მდგრადი ინდუსტრიული დიზაინის მაგალითს.

გაფართოების პროექტი აძლიერებს ოპერაციულ მდგრადობას, ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს ენერგოეფექტურობას. გაფართოების პროექტი აძლიერებს ოპერაციულ მდგრადობას, ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს ენერგოეფექტურობას. იგი ასევე აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ზრდის თანამშრომელთა მოტივაციას.

თეგეტა ჰოლდინგი

თეგეტა მოტორსი X თეგეტა გრინ პლანეტი: ნარჩენების მართვის ინიციატივები

თეგეტა ჰოლდინგმა და მისმა შვილობილმა კომპანიამ – თეგეტა გრინ პლანეტმა, რომელიც საქართველოში პირველი ლიცენზირებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ოპერატორია, ნარჩენების მართვის ეროვნული მასშტაბის პროგრამის განხორციელება დაიწყეს, რომელიც ორიენტირებულია გადამუშავებაზე, განათლებასა და საზოგადოების ჩართულობაზე. 2024 წელს 28 ფილიალში შეგროვდა 4 739 ტონაზე მეტი საავტომობილო ნარჩენი – ზეთები, საბურავები და აკუმულატორები.

კამპანიები, როგორიცაა „არ გადაყარო, ჩააბარე“, მომხმარებლებს მოუწოდებდა დაებრუნებინათ გამოყენებული მასალები, ხოლო ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელებული მასშტაბური დასუფთავების შედეგად, გატანილ იქნა 30 000-ზე მეტი საბურავი. შიდა ინიციატივის – Green Day Challenge ფარგლებში, შეგროვდა 1 500 კგ ქაღალდი, რაც 170 ხის გადარჩენას ნიშნავს, ხოლო ბრენდ „ადამიანთან“ თანამშრომლობით, გადამუშავდა 300 კგ ბანერი.

თეგეტა ჰოლდინგმა, ასევე, უარი თქვა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკების გამოყენებაზე, რის შედეგადაც 2019 წლიდან დღემდე თავიდან იქნა აცილებული 655,000-ზე მეტი პარკის მოხმარება. ინიციატივაში ჩაერთო 3 000-ზე მეტი ადამიანი – პროექტმა ხელი შეუწყო მდგრადი მოხმარების კულტურის ჩამოყალიბებას და განათლების, დასუფთავების აქციებისა და მდგრადი პროდუქტების გამოყენების გზით, მხარი დაუჭირა გაეროს მდგრადი განვითარების მე-12, მე-13 და მე-17 მიზნების მიღწევას.

6 650 ტონა ნარჩენის გადამუშავებით თეგეტამ გააძლიერა შესაბამისობა გარემოსდაცვით სტანდარტებთან, შეამცირა რისკები და განამტკიცა საკუთარი რეპუტაცია, როგორც ლიდერმა გარემოს დაცვის მიმართულებით. პროექტმა გაზარდა თანამშრომელთა ჩართულობა და თეგეტა გრინ პლანეტს საშუალება მისცა, ხელი შეუწყოს საქართველოში გადამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნას.

ბალტიკ ინვესტმენტ გრუპი

ნამაი ვაკე

ლიეტუვური კომპანია BI Group-ის მიერ შემუშავებული პრემიუმ კლასის საცხოვრებელი კომპლექსი ნამაი ვაკე ევროპული სტანდარტების დაცვით აშენდა. კომპლექსი მდებარეობს ზემო ვაკეში, კუს ტბიდან დაახლოებით 600 მეტრში. ოთხივე საშუალო სიმაღლის შენობა აღჭურვილია ენერგოეფექტური იზოლაციით, მზის პანელებითა და ალუმინის ფანჯრებით.

20%-ით ნაკლები ენერგომოხმარებისა და წლიურად, დაახლოებით, 300 ტონით შემცირებული ნახშირბადის ემისიების შედეგად შენობებს მიენიჭათ GEFF Class A სერტიფიკატი.

თითოეულ ბინას აქვს დიდი ტერასა, პანორამული ფანჯრები და, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო აუზი, ასევე პარკინგისა და სათავსოს სივრცეები. კომპლექსი მოსახლეობას სთავაზობს სპორტდარბაზს, კონსიერჟის მომსახურებას, სტუმრებისთვის პარკინგს და კეთილმოწყობილ მწვანე ზონებს.

ნამაი ვაკემ დადებითი სიახლე შეიტანა ზემო ვაკის უბანში – შექმნა სამუშაო ადგილები და გააუმჯობესა ცხოვრების სტანდარტი თანამედროვე, ენერგოეფექტური და მდგრადი საცხოვრებლით. პროექტმა ასევე ხელი შეუწყო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას და ევროპული სამშენებლო პრაქტიკის დანერგვის გზით ცოდნის გაზიარებას.

ინიციატივამ გააძლიერა BI Group-ის საბაზრო რეპუტაცია, უზრუნველყო მყარი ფინანსური შედეგები და ხელი შეუწყო პარტნიორობის გაღრმავებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან. პროექტმა გაზარდა ბრენდის ცნობადობა, მომხმარებელთა ნდობა და გახსნა ზრდის ახალი შესაძლებლობები საქართველოს უძრავი ქონების სექტორში.

Bewise
Business Empowerment

ბივაის

SME-ის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

კომპანია ბივაისმა წამოიწყო ინიციატივა „მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა“, რომლის მიზანია, დაეხმაროს ქართულ კომპანიებს მდგრადი და ციფრული ბიზნეს-მოდელების დანერგვაში, გაეროს მდგრადი განვითარების მე-12 მიზნის შესაბამისად.

2024 წელს ოპერაციული პროცესებისა და ციფრული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, ბივაისმა პარტნიორობა დაამყარა ადგილობრივ ჩირის მწარმოებელ კომპანია ჩირიფრუტთან. სრული დიაგნოსტიკის ჩატარების შემდეგ, GITA-სა და GIZ-ის SME4 ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამის ფარგლებში, ბივაისი კომპანიას გრანტის სახით 25,000 ლარის მოპოვებაში დაეხმარა. ჩირიფრუტმა დანერგა Optimo ERP სისტემა, ავტომატიზება გაუკეთა ინვენტარიზაციის პროცესს, გადაამზადა 20-ზე მეტი თანამშრომელი და წარმოება ექსპორტზე გასასვლელად მოამზადა.

პროექტმა ხელი შეუწყო ციფრული წიგნიერების ამაღლებას, თანამშრომლების, განსაკუთრებით, ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებას და საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნულ მიზნებთან დაახლოებას. ინიციატივამ გააძლიერა ადგილობრივი ეკონომიკა და შექმნა მდგრადი ზრდის მოქნილი მოდელი.

ჩირიფრუტმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ოპერაციული ეფექტურობა, ხარჯების მართვა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობა, ხოლო ბივაისმა განამტკიცა თავისი რეპუტაცია, გააფართოვა კლიენტთა პორტფელი და დაიმკვიდრა პოზიცია, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციისა და მდგრადობის წამყვანმა პარტნიორმა.

საქართველოს აგრო ჰოლდინგი

აგრიოლი

აგრიოლი ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული აგროტექნოლოგიური პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს ორი ძირითადი გამოწვევის გადაჭრას: ფერმერებისთვის აგრონომიულ მომსახურებაზე შეზღუდული წვდომის და არაეფექტური საბაზრო კავშირების.

პლატფორმა, რომელიც 77 კულტურისა და მცენარის მონაცემთა ბაზას მოიცავს, ფერმერებს სთავაზობს მავნებლებისა და დაავადებების მართვის ციფრულ ინსტრუმენტებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ ქიმიკატების გამოყენება და დანერგონ უფრო მდგრადი მეურნეობის პრაქტიკა.

როგორც B2B საბაზრო პლატფორმა, აგრიოლი პირდაპირ აკავშირებს ფერმერებს მსხვილ მყიდველებთან, ამცირებს შუამავლების საჭიროებას და ამცირებს პროდუქციის დანაკარგებს, ზრდის მოგებას და ბაზარზე კონკურენტუნარიანობას. პლატფორმა ხელმისაწვდომია 40-ზე მეტ ენაზე და შექმნილია გლობალური გავრცელებისთვის.

აგრიოლი 3500-ზე მეტ ფერმერს ეხმარება ეკოლოგიურად სუფთა და პროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვაში. ის ამცირებს ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებას, ზრდის ბიომეთოდების გამოყენების წილს, აუმჯობესებს ნიადაგისა და მოსავლის სიჯანსაღეს და მხარს უჭერს მწვანე მეწარმეობის განვითარებას.

აგრიოლის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა, მრავალენოვანმა პლატფორმამ მოიზიდა მსხვილი ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები, ასევე, B2B კლიენტები. მოდელი ზრდის ეფექტიანობას, შემოსავლებსა და ცნობადობას საქართველოს აგროტექნოლოგიის სექტორში, რაც აგრიოლს წარმოაჩენს, როგორც მასშტაბირებად, კონკურენტუნარიან და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესს, რომელიც მზადაა გლობალური გაფართოებისთვის.

ibccs.tax

აიბისისიეს ტაქსი

მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საკონსულტაციო სერვისების ციფრული ტრანსფორმაციით

მდგრადი განვითარების მე-12 მიზნის მხარდასაჭერად, აიბისისიეს შექმნა დისტანციური საკონსულტაციო პლატფორმა, რომელიც იურიდიულ, საგადასახადო და კორპორაციულ მომსახურებებს სრულად ციფრულ და მდგრად ფორმატში უზრუნველყოფს.

პლატფორმა ქაღალდზე დაფუძნებულ და გადაადგილებასთან დაკავშირებულ პროცესებს – კომპანიის რეგისტრაციას, კონტრაქტების შედგენას, ნოტარიულად დამოწმებასა და აპოსტილის მიღებას უსაფრთხო ონლაინ სამუშაო პროცედურებით ანაცვლებს, რაც დროის, ხარჯებისა და რესურსების დაზოგვას უწყობს ხელს. პლატფორმა აუმჯობესებს მომსახურების ხელმისაწვდომობას დისტანციური და საერთაშორისო კლიენტებისთვის, ამავდროულად, ამცირებს ქაღალდის მოხმარებასა და საკურიერო გადაზიდვებთან დაკავშირებულ გამონაბოლქვს. დისტანციური ნოტარიზაციისა და ონლაინ გადახდების ფუნქციებით, აიბისისიეს პიონერია ეკოლოგიურად სუფთა კონსალტინგის დანერგვაში – როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროექტი ზრდის ეფექტურობას, ამცირებს ხარჯებს, აძლიერებს მონაცემთა უსაფრთხოებას და იზიდავს გლობალურ კლიენტებს. ის წარმოაჩენს აიბისისიეს, როგორც ლიდერს მდგრადი და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით მოქმედი კონსალტინგის სფეროში, რომელიც მზად არის შემდგომი გაფართოებისა და ინოვაციებისათვის.

ეკო საქართველო

პარკი არ მინდა - ს ეკო-ტაქსი: მოქნილი ინფრასტრუქტურის შექმნა ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის

პარკი არ მინდა და მისი პროექტი „ეკო-ტაქსი“ ხელს უწყობს თბილისში გადამუშავებისა და ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკის განვითარებას. ეკო-ტაქსი ყოველწლიურად 800-ზე მეტ კლიენტს ემსახურება, ამუშავებს სამ შეგროვების პუნქტს და ახორციელებს მობილურ შეგროვების სერვისს იმ ტერიტორიებზე, სადაც გადამუშავების ინფრასტრუქტურაზე წვდომა შეზღუდულია. დასუფთავების აქციებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით, ინიციატივამ 35 000-ზე მეტი ადამიანი ჩართო ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვაში და ხელი შეუწყო გარემოსდაცვითი კულტურის გავრცელებას. ეკო-ტაქსი უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ბიზნესის პრაქტიკულ წვდომას გადამუშავების ინფრასტრუქტურაზე, ზრდის ცნობიერებას ნარჩენების შემცირების მნიშვნელობის შესახებ და ააქტიურებს საზოგადოების ჩართულობას გარემოს დაცვის მიმართულებით.

ეკო-ტაქსი, რომელიც ეკო საქართველოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, 2022–2023 წლებში ოთხჯერ გაიზარდა და 500-ზე მეტი ახალი მომხმარებლის მოზიდვა შეძლო.

ინიციატივა და ისეთი პარტნიორები, როგორიცაა კამპას ცირკულარული ლაბორატორია, დაეხმარა კომპანიას დაფინანსების დივერსიფიკაციაში, ადგილობრივი ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობაში და ცხადყო, რომ მდგრადი, საზოგადოებაზე ორიენტირებული ბიზნესი საქართველოში წარმატების მიღწევის რეალური მაგალითია.

Delivering Progress

პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი – პიემსიჯი

ქაღალდისა და მუყაოს რეციკლირების პროექტი ზუგდიდში

2023 წელს „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის“ (ISWMP II) ფარგლებში, რომელიც KfW-ის დაფინანსებით და SWMCG-სთან პარტნიორობით განხორციელდა, ქალაქ ზუგდიდში გადამუშავების პროექტი ამოქმედდა. ინიციატივის ფარგლებში, ჩამოყალიბდა ქაღალდისა და მუყაოს სეპარირებული შეგროვების სისტემა. პიემსიჯის ხელმძღვანელობით, პროექტმა ინფრასტრუქტურის დაგეგმვა საზოგადოების ჩართულობასთან გააერთიანა.

2024 წლისთვის პროექტის ფარგლებში შეგროვდა 269 ტონა გადამუშავებადი მასალა, რაც წინა წელთან შედარებით 37%-ით მეტია – დაბინძურების მხოლოდ 0,5%-იანი დონით. მუნიციპალიტეტმა მიიღო 68 140 ლარის შემოსავალი, თავიდან აიცილა ნარჩენების განთავსების ხარჯები, 604,5 ტონით შეამცირა CO_2-ის ემისიები და დაზოგა 1,86 მილიონი კვტ/სთ ენერგია.

პროექტმა, განათლებისა და საზოგადოების ჩართულობის გზით, ხელი შეუწყო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, შექმნა 10 ახალი სამუშაო ადგილი, მუნიციპალიტეტს დამატებითი შემოსავალი მოუტანა და გააუმჯობესა ქალაქის სისუფთავე.

გადამუშავებისთვის საჭირო მასალის უმეტესი ნაწილი ადგილობრივი ბიზნესებისგან შეაგროვეს, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ ნარჩენების მოცულობა, ისარგებლონ უფრო დაბალი ტარიფებით და უზრუნველყონ უკეთესი შესაბამისობა გარემოსდაცვით მოთხოვნებთან.

ინიციატივამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტებსა და კერძო სექტორს შორის ეფექტიან პარტნიორობას გადამუშავების მიმართულებით, შეუძლია, უზრუნველყოს პოზიტიური ეკონომიკური და გარემოსდაცვითი შედეგები.

POLYVIM LLC
შპს პოლივიმი

პოლივიმი
შეფუთვის მიღმა

ინიციატივა „შეფუთვის მიღმა“, რომელსაც პოლივიმი ახორციელებს, მიზნად ისახავს ფირის კლასის პლასტმასის – როგორიცაა დიდი ჩანთები (Big Bags), პოლიეთილენის პარკები და შესაფუთი ცელოფანი – გადამუშავებას. აღნიშნული მასალები დამზადებულია LDPE, HDPE და PP ტიპის პოლიმერებისგან. 2024 წელს დაწყებულმა პროექტმა საქართველოში დანერგა პირველი გადამამუშავებელი ხაზი, რომელიც ერთ ცვლაში ამუშავებს 1,6 ტონა ნარჩენს და უკვე უზრუნველყო 400 ტონაზე მეტი კონტრაქტით გათვალისწინებული ნარჩენის გადამუშავება. მწარმოებლებთან უშუალო თანამშრომლობით, პოლივიმი ქმნის გადამუშავებად შეფუთვას, უზრუნველყოფს ნარჩენების სათანადო დახარისხებას და მასალებს ადგილობრივ წარმოებაში აბრუნებს. გადამუშავებული ფირი გარდაიქმნება გრანულებად, რომელიც საქართველოში იყიდება – რაც, თავის მხრივ, ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას, ნაგავსაყრელების გამოყენებასა და სათბურის აირების ემისიებს.

პროექტი მხარს უჭერს მწარმოებლების განათლებას, აყალიბებს გადამუშავების კულტურას, აფართოებს ნარჩენების შეგროვების ქსელებს და ხელს უწყობს EPR და ESG სტანდარტების დაცვას, რითაც აძლიერებს საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკას.

პოლივიმი ხელს უწყობს ადგილობრივი ნედლეულის სტაბილურ მიწოდებას, ეხმარება კომპანიებს ნარჩენების გატანის ხარჯების შემცირებაში და უზრუნველყოფს მონაცემებს გადამუშავების შესახებ მდგრადი განვითარების ანგარიშგებისთვის. პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივ წარმოებას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს ნარჩენების შემგროვებლებისთვის და ამყარებს პოლივიმის ლიდერულ პოზიციას საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაში.

Retain

რითეინი

ციფრული ნაბიჯი მდგრადი მომავლისკენ

რითეინი საქართველოში დაფუძნებული პლატფორმაა, რომელიც ბიზნესს კომუნიკაციის, უკუკავშირისა და დოკუმენტაციის ციფრულ ფორმატში გადატანაში ეხმარება. პლატფორმა იყენებს უვადო QR კოდებს და შემოკლებულ ბმულებს, რაც ამცირებს ქაღალდის, პლასტმასისა და ენერგიის მოხმარებას.

ღვინის ინდუსტრიაში რითეინის QR კოდები ბოთლებს აკავშირებს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამის e-ეტიკეტებთან, რაც აძლიერებს მომხმარებელთან უკუკავშირს და ექსპორტის პროცესს ამარტივებს. რითეინის პლატფორმას დღეს უკვე 250-ზე მეტი ორგანიზაცია იყენებს, მათ შორის, სტუმარმასპინძლობის, ჯანდაცვისა და საცალო ვაჭრობის სექტორებიდან.

რითეინი ამცირებს ნარჩენების რაოდენობას, ამარტივებს სამუშაო პროცესებს და აძლიერებს მცირე ბიზნესებს ხელმისაწვდომი ციფრული ინსტრუმენტებით. ის ეხმარება კლინიკებს, რესტორნებსა და სხვა ორგანიზაციებს უქაღალდო დოკუმენტბრუნვაზე გადასვლაში, რაც ზრდის კომფორტს, ნდობასა და მდგრადობას.

პლატფორმა აწესრიგებს კომუნიკაციას, ამცირებს ხარჯებს და პერსონალიზებული მართვის პანელებისა და ხელოვნური ინტელექტის ასისტენტების მეშვეობით, უზრუნველყოფს ანალიტიკას რეალურ დროში. რითეინი ეხმარება კომპანიებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებასა და მდგრადობის ზრდაში.



ტენე

მწვანე ინოვაცია

ტენემ შექმნა საქართველოში პირველი ეკოლოგიურად სუფთა 2-1-ში დამტენი კაბელი და ტელეფონის საკიდი, რომელიც აერთიანებს გამძლე USB კაბელსა და ტარებად დამჭერს, დამზადებულს გადამუშავებული პოლიეთილენის, პლასტიკური ჩანთებისა და ბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის (PLA) მასალისგან. პროდუქცია იწარმოება წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებასთან ახლოს მდებარე, მზის ენერგიაზე მომუშავე საწარმოში. ინიციატივა მხარს უჭერს ცირკულარულ ეკონომიკას და უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებაზე.

ამ დროისთვის, ტენემ თავიდან აიცილა 100 ტონაზე მეტი პლასტმასის ნარჩენის წარმოქმნა, ჩართო 3 000-ზე მეტი ადამიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიებში და შექმნა სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმებულთა 70% იძულებით გადაადგილებული პირია. აღნიშნული ინიციატივით, ტენე ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ტენე შემოსავლების 10%-იან წლიურ ზრდას ვარაუდობს, რაც განპირობებულია დივერსიფიცირებული გაყიდვების სტრატეგიით – აქედან 25% მოდის ელექტრონულ კომერციაზე, ხოლო 75% – B2B საცალო კონტრაქტებზე. ეკოლოგიურად სუფთა, ადგილობრივად წარმოებული და ინდივიდუალურად მორგებადი USB კაბელი ბრენდს ანიჭებს ძლიერ კონკურენტულ უპირატესობას, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა ლოიალობას, ბაზრის გაფართოებას და საქართველოში მომგებიანი, მდგრადი ბიზნეს მოდელის შექმნას.

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

სელფი მობაილი

სელფი მობაილის მწვანე ვალდებულება – ნარჩენების გადამუშავება კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლისთვის

მდგრადობა სელფი მობაილის კორპორაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რაც კომპანიას სოციალურად პასუხისმგებლიან ლიდერად აყალიბებს და ხელს უწყობს ქვეყანაში ნარჩენების მართვის სფეროში სისტემური ცვლილებების განხორციელებას.

სელფი მობაილი, სპეციფიკური ნარჩენების მართვის ასოციაცია ვეისთლესთან პარტნიორობით, უზრუნველყოფს ნარჩენების რეგულარულ შეგროვებასა და უსაფრთხო გადამუშავებას. ამ ინიციატივით, კომპანია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას და ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.

ინიციატივა მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, მდგრადი პრაქტიკის დანერგვას და უფრო სუფთა და ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას. ადგილობრივ გადამამუშავებელ პარტნიორთან თანამშრომლობით, სელფი მობაილი ხელს უწყობს მწვანე სამუშაო ადგილების შექმნასა და საქართველოში ნარჩენების გადამამუშავებელი სექტორის განვითარებას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კერძო სექტორს სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

ნარჩენების პასუხისმგებლიანი შეგროვებისა და გადამუშავების გზით, სელფი მობაილი ამცირებს დაბინძურების რისკებს და ამყარებს საკუთარ კორპორაციულ რეპუტაციას. პარტნიორობა აძლიერებს გარემოსდაცვით შესაბამისობას, ხელს უწყობს ეროვნული გადამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარებას და ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია პრაქტიკულ და სტრუქტურირებულ მდგრადობის ნაბიჯებს გრძელვადიანი ღირებულების შექმნა როგორც ბიზნესისთვის, ისე საზოგადოებისათვის.

ეფეს საქართველო

ტყის აღდგენა, ენერგოეფექტურობა და ნარჩენების მართვა კლიმატური მდგრადობისთვის

2023 წელს ეფეს საქართველო გახდა პირველი კომპანია, რომელიც შეუერთდა პროგრამას - "ტყის მეგობარი". პლატფორმა მიზნად ტყის აღდგენას და კლიმატის მდგრადობის გაძლიერებას ისახავდა. პროექტის პირველი ეტაპი თიანეთში განხორციელდა და 12 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც დარგულია 36,000 ხე. ეს ნარგავები, საერთო ჯამში, 2,872.9 ტონა CO_2-ის შთანთქვას შეძლებენ.

2025 წელს ინიციატივა გაფართოვდა და ჯვრის მონასტრის მიმდებარედ 31 ჰექტარი ტერიტორია მოიცვა, სადაც 14 ადგილობრივი სახეობის 25,306 ნერგი დაირგო. იმავე წელს, საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ცენტრთან პარტნიორობით, ეფეს საქართველომ მდგრადი და კლიმატმედეგი სოფლის მეურნეობის შესახებ ციფრული ტრენინგების მეშვეობით, 80,000 ფერმერს გაუწია მხარდაჭერა.

ორივე პროექტი ზრდის გარემოსდაცვით ცნობიერებას, აუმჯობესებს ბიომრავალფეროვნებას და ხელს უწყობს მდგრად სოფლის მეურნეობას. ინიციატივები ამაღლებს საზოგადოების ჩართულობას, ხელს უწყობს მოხალისეობასა და სურსათის უსაფრთხოებას, რაც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ბიზნესს, დადებითი სოციალური და გარემოსდაცვითი ცვლილებების განხორციელება.

ეფეს საქართველოს ინიციატივები აძლიერებს კომპანიის ლიდერულ პოზიციას მდგრადი განვითარების მიმართულებით, შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და აუმჯობესებს ბრენდის რეპუტაციას. თანამშრომელთა ჩართულობა, ასევე, მულტისექტორული პარტნიორობა, ამყარებს ნდობას, ერთგულებას და უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიან მდგრადობას.

მიკრობანკი კრისტალი

მწვანე კრისტალი

მწვანე კრისტალი მიკრობანკ კრისტალის კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ქმედების პროგრამაა, რომელიც მწვანე ფინანსებს, მდგრადობას და საზოგადოების ჩართულობას აერთიანებს.

2017 წლიდან, კრისტალი თანამშრომლობს ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი (FMO), აზიის განვითარების ბანკი (ADB), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და Buzz Women Global. თანამშრომლობის ფარგლებში, კრისტალმა დანერგა საქართველოში პირველი მწვანე დაფინანსების ხაზი, გამოუშვა სამხრეთ კავკასიაში პირველი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაცია (25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით) და გააფართოვა კლიმატგონივრული დაფინანსების ხელმისაწვდომობა ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

კრისტალის გავლენის სტრატეგია (2024–2025) ეფუძნება „3P“ მიდგომას (People, Planet, Profit – ადამიანი, პლანეტა, მოგება) და მიზნად ისახავს პლასტმასის მოხმარების 80%-ით შემცირებას, 2027 წლისთვის 50 მილიონი ლარის ოდენობის მწვანე სესხების გაცემას და მზის ენერგიაზე სრულ გადასვლას ხუთ ფილიალში.

ინიციატივების შედეგად, კომპანიამ უკვე შეძლო 3.5 მილიონი კგ CO_2-ის ემისიის თავიდან აცილება, დაზოგა 37,000 კვტ/სთ ენერგია და გადაამუშავა 16,000 პლასტმასის ბოთლი. გარდა ამისა, 1,000-ზე მეტი თანამშრომელი შეუერთდა პროგრამას Greenkassators, ხოლო 5,000-ზე მეტმა ქალმა გაიარა ტრენინგი კლიმატის შესახებ Buzz Georgia-ს მეშვეობით.

დასუფთავების ეროვნული კამპანიების შედეგად, შეგროვდა 200,000 ლიტრი ნარჩენი, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების ჩართულობის გაზრდას ქვეყნის მასშტაბით.

მწვანე სესხების პორტფელმა 16.4 მილიონ ლარს მიაღწია, რაც აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ იყო მხარდაჭერილი. მზის ენერგიაზე მომუშავე ფილიალებმა და ციფრულმა სამუშაო პროცესებმა შეამცირა ხარჯები, ხოლო თანამშრომელთა ჩართულობამ და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ინტეგრაციამ გაზარდა კომპანიის მდგრადობა და განამტკიცა მისი, როგორც ლიდერის პოზიცია მდგრადი დაფინანსების სფეროში.

მაკდონალდს საქართველო

მწვანე ინიციატივები-ერთად ვიზრუნოთ გარემოზე – პატარა ნაბიჯებით დიდი ცვლილებებისკენ!

2021 წლიდან, T&K რესტორნები (მაკდონალდს საქართველო) მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს მდგრადი განვითარების პროგრამას, რომლის მიზანია გარემოზე ზემოქმედების შემცირება და მწვანე ბიზნეს-მოდელის ხელშეწყობა. ძირითადი ღონისძიებები მოიცავს მზის პანელების დამონტაჟებას ახალ რესტორნებში, ელექტრომობილების დამტენი სადგურების მოწყობას, გამოყენებული სამზარეულოს ზეთისგან ბიოდიზელის წარმოებას, ქაღალდის გადამუშავებასა და ეკო-მეგობრული შეფუთვის დანერგვას. ასევე, კომპანია პრიორიტეტს ანიჭებს ადგილობრივ მომწოდებლებთან თანამშრომლობას და იყენებს მწვანე ხავსის კედლებსა და ბიოდეგრადირებად მასალებს, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნარჩენების შემცირების მიზნით.

პროექტი აუმჯობესებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ფერმერებს, ხელს უწყობს გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და თანამშრომლების ჩართულობას მდგრად პრაქტიკაში, რაც ქმნის უფრო ჯანსაღ და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას.

აღნიშნული ინიციატივები ზრდის ბრენდის რეპუტაციას, ამცირებს ენერგომოხმარებისა და ნარჩენების მართვის ხარჯებს და აძლიერებს მიწოდების ჯაჭვის მდგრადობას. საკუთარი საქმიანობის ფარგლებში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვით, მაკდონალდს საქართველო ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას, აძლიერებს მომხმარებელთა ერთგულებას და ქვეყნის მასშტაბით, ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ეკო-ინოვაციების სფეროში .

თიბისი ბანკი

თიბისი ბანკის კლიმატთან დაკავშირებული ინიციატივები

თიბისი ბანკმა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედების სტრატეგია საკუთარი ESG ჩარჩოს საკვანძო ნაწილად აქცია, რაც ხელს უწყობს საქართველოს დაბალნახშირბადიანი და მდგრადი ეკონომიკისკენ სვლას. ბანკი ფოკუსირებულია სათბურის აირების ემისიების შემცირებაზე, განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე, მწვანე პროექტების დაფინანსებაზე და ESG საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

2024 წელს, ენერგეტიკული სისტემის მოდერნიზაციის შედეგად, ელექტროენერგიის მოხმარება 20–30%-ით შემცირდა, ხოლო 130 კვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგური ამჟამად უზრუნველყოფს თიბისი ბანკის მთავარი სასაწყობე კომპლექსის ელექტროენერგიის მოთხოვნის 77%-ს. განახლებადი ენერგიის წყაროები უკვე ფარავს რეგიონულ ფილიალებში ელექტროენერგიის მოხმარების 50%-ს, ხოლო 2025 წლისთვის ამ მაჩვენებლის 70%-მდე გაზრდაა დაგეგმილი. მდგრადი პროექტების პორტფელმა 1.73 მილიარდ ლარს მიაღწია, საიდანაც 952 მილიონი ლარი მოდის გარემოსდაცვით პროექტებზე, რაც შესაძლებელს ხდის ყოველწლიურად სათბურის აირების ემისიების 15.5 გგ CO_2e-ით შემცირებას.

46 ტონა ქაღალდისა და 2.3 ტონა პლასტმასის გადამუშავების შედეგად, თიბისი ბანკმა შეამცირა ემისიები და ნარჩენების მოცულობა, რითაც 782 ხე დაიცვა მოჭრისგან.

ESG აკადემიაში გადამზადდა 1,200-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მწვანე დაფინანსების სახით გამოყოფილი 960 მილიონი ლარი ხელს უწყობს ადგილობრივ მდგრადობასა და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. ეფექტიანობის ზომების შედეგად, დაიზოგა 5 მილიონი ლიტრი წყალი და ქაღალდის მოხმარება 70,000 ფურცლით შემცირდა.

აღნიშნული ძალისხმევა აძლიერებს თიბისის ბრენდს, აუმჯობესებს მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებისთვის მზაობას და უზრუნველყოფს მწვანე დაფინანსებაზე წვდომას ისეთ გლობალურ პარტნიორებთან, როგორიცაა EIB, EBRD და IFC, რითაც თიბისი ბანკი კიდევ უფრო იმყარებს მდგრადი საბანკო საქმიანობის ლიდერის პოზიციას საქართველოში.

TEGETA HOLDING

თეგეტა ჰოლდინგი

თეგეტა სტიქიით დაზარალებულთა მხარდასაჭერად

დასავლეთ საქართველოში მომხდარი ძლიერი სტიქიური უბედურებების საპასუხოდ, თეგეტა ჰოლდინგმა განახორციელა ინიციატივა, რომლის მიზანი იყო მოწყვლადი მოსახლეობის მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და სტიქიური უბედურებებისადმი მდგრადობის გაზრდის მიმართულებით.

კომპანიამ საგზაო მიმოსვლის აღსადგენად გამოიყენა მძიმე ტექნიკა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადასცა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები და, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან და ნანუკას ფონდთან პარტნიორობით, უზრუნველყო შორეულ დასახლებებში მომსახურე სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმება და ზამთრისთვის მომზადება.

პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწია დაახლოებით 1,000 ოჯახს ოზურგეთსა და ბაღდათში – აღდგა წვდომა საკვებ პროდუქტებზე, გათბობასა და სამედიცინო მომსახურებაზე.

ჰუმანიტარული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურმა მომსახურებამ უზრუნველყო დახმარების უწყვეტობა, ხოლო მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების მიწოდებამ გააძლიერა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობები და ხელი შეუწყო გრძელვადიან მობილობას მაღალმთიან რეგიონებში.

ინიციატივამ გააძლიერა თეგეტას, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი და კრიზისებისადმი მდგრადი კომპანიის რეპუტაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალი პარტნიორობებისა და შესყიდვების შესაძლებლობების მოზიდვას.

პროექტში მონაწილეობდა 35 თანამშრომელი სხვადასხვა დეპარტამენტიდან, რაც ზრდის ჩართულობასა და პროფესიულ სიამაყეს და კიდევ ერთხელ განამტკიცებს თეგეტას, როგორც საიმედო პარტნიორის პოზიციას, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს მდგრად განვითარებასა და სტიქიური უბედურებებისადმი მზადყოფნას.

აისი

კლიმატის კეთილსინდისიერების გზაზე

აისი საქართველოს განახლებადი ენერგიის სექტორის ლიდერი კომპანიაა, რომელიც ახალქალაქის ჰიდროელექტროსადგურს მდგრადი განვითარების სრულად ინტეგრირებული სტრატეგიით მართავს.

2024 წელს კომპანიამ სათბურის აირების ემისიების პირველი სრული ინვენტარიზაცია განახორციელა, ხოლო სუფთა ენერგიის წარმოების შედეგად, თავიდან აიცილა 10,000 ტ CO_2e-ზე მეტი ემისია. Net Zero Roadmap-ის მითითებებზე დაყრდნობით, აისი მიზნად ისახავს 2030 წლისთვის ემისიების 30%-ით შემცირებას, გამჭვირვალე მმართველობისა და ESG საკითხებზე საჯარო ანგარიშგების მხარდაჭერით.

აისი ყოველწლიურად გამოიმუშავებს 49 გიგავატ-საათ განახლებად ენერგიას, ქმნის 28 სამუშაო ადგილს ადგილობრივი მოსახლეობისთვის და პრიორიტეტს ანიჭებს ადგილობრივ მომწოდებლებთან თანამშრომლობას.

კომპანიის საზოგადოებრივი პროგრამები უკვე ფარავს 260-ზე მეტ სტუდენტს, რომლებმაც მიიღეს ცოდნა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში, ხოლო ბიომრავალფეროვნების დაცვის პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი მდინარის ეკოსისტემების შენარჩუნებას.

აისის მდგრადი განვითარების მოდელი ზრდის მომგებიანობას, ინვესტორთა ნდობასა და გრძელვადიან მდგრადობას. ემისიების მნიშვნელოვანი თავიდან აცილება აუმჯობესებს მწვანე დაფინანსებაზე წვდომას და უზრუნველყოფს შესაბამისობას IFC-ის, EIB-ის და TCFD-ის სტანდარტებთან შესაბამისობას. ადგილობრივი დასაქმება, ციფრული მონიტორინგი და გამჭვირვალე ESG მმართველობა აძლიერებს ოპერაციულ სტაბილურობას და მდგრადობის კულტურას. აისი წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეუძლია სუფთა ენერგიასა და პასუხისმგებლიან მენეჯმენტს, ხელი შეუწყოს როგორც გარემოს დაცვას, ისე ბიზნესის წარმატებას საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

ბახვი ჰესი

კლიმატის მმართველობის გაძლიერება მდგრადი მომავლისთვის

გურიის რეგიონში მდებარე ბახვი ჰესი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ძლიერ მმართველობას, განახლებადი ენერგია კლიმატის მდგრადობისა და პასუხისმგებლიანი ზრდის მამოძრავებელ ძალად აქციოს. 2024 წელს გაეროს გლობალურ შეთანხმებასთან შეერთების შემდეგ, კომპანიამ გაამყარა მდგრადი განვითარების ჩარჩო და ჩამოაყალიბა მკაფიო პოლიტიკა ემისიების შემცირების, ESG რისკების მართვის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და გამჭვირვალე ანგარიშგების მიმართულებით. კლიმატთან დაკავშირებული მიზნები ინტეგრირებულია ყველა დეპარტამენტის საქმიანობაში და მათი შესრულება ყოველწლიურად აისახება კომპანიის ESG ანგარიშში.

ბახვი ჰესი უზრუნველყოფს ინკლუზიურ კლიმატის მმართველობას საზოგადოების ჩართულობისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით. კომპანია ინვესტირებას ახდენს კლიმატგამძლე ინფრასტრუქტურაში, მხარს უჭერს გარემოსდაცვით განათლებას და პრიორიტეტს ანიჭებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და მწვანე უნარების განვითარებას, რითაც ხელს უწყობს უფრო ძლიერი და ადაპტირებადი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სამუშაო პროცესებში გაეროს მდგრადი განვითარების მე-13 მიზნის ინტეგრირებით, ბახვი ჰესი აძლიერებს მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებისთვის მზადყოფნას, ოპერაციულ ეფექტურობასა და ინვესტორთა ნდობას.

IFC-ის, EIB-ის და UNGC-ს სტანდარტებთან შესაბამისობა ამცირებს რისკებს, ხელს უწყობს მწვანე დაფინანსებაზე წვდომას და უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრადობას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების პირობებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კარგი მმართველობა და მდგრადი მიდგომა გრძელვადიანი ბიზნეს წარმატების მამოძრავებელი ძალაა.

ბიოდიზელი ჯორჯია

ბიოსაწვავი ნარჩენებისაგან - მდგრადი კლიმატი და ენერგოდამოუკიდებლობა

ბიოდიზელი ჯორჯია პირველი კომპანიაა საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში, რომელიც გამოყენებული საკვები ზეთის ნარჩენებისგან განახლებად, ეკომეგობრულ ბიოდიზელს აწარმოებს. ეს კი ცირკულარული ეკონომიკისა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

2024 წელს კომპანიამ 1.95 მილიონი ლიტრი ნარჩენი ზეთი გადაამუშავა, რითაც თავიდან აიცილა 4.5 მილიონი კილოგრამი CO_2-ის ემისია და მოახდინა საშიში თხევადი ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენცია. პროექტმა უზრუნველყო, რომ აღარ მოხდეს გამოყენებული ზეთით ხელახალი სარგებლობა საკვების მომზადებისას, შეამცირა საკანალიზაციო სისტემების დაზიანების რისკი და ხელი შეუწყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნარჩენების მართვის შესახებ. ინიციატივის შედეგად, გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი, გაიზარდა ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამასთან, პროექტმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების შემცირების მიმართულებით.

ბიოდიზელი ჯორჯიამ, საქართველოში განახლებადი საწვავის პირველმა მწარმოებელმა, გააორმაგა ბრუნვა, შექმნა 40 სამუშაო ადგილი და აღიარება მოიპოვა, როგორც ცირკულარული ეკონომიკის ლიდერმა. სომხეთში საქმიანობის გაფართოება და აზერბაიჯანში ახალი პროექტების განხორციელება კიდევ უფრო გააძლიერებს რეგიონულ თანამშრომლობას. სამომავლო გეგმებში შედის საქართველოში ბიოდიზელის საწვავის მსხვილი ქარხნის და Green Hub Georgia-ს მშენებლობა – ცენტრისა, რომელიც გააერთიანებს ბიოსაწვავისა და ბიოგაზის წარმოებას, მწვანე ეკონომიკისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების შემდგომი სტიმულირების მიზნით.

ბიპისი

მწვანე ინიციატივა

ქვეყანაში, რომელიც ენერგეტიკული დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის, ბიპისიმ მდგრადი განვითარებისკენ ინოვაციური ნაბიჯი გადადგა, როდესაც ნატახტარის ახალი ობიექტი მთლიანად მზის ენერგიაზე გადაიყვანა. მზის ენერგიის წამყვან მწარმოებელ კომპანიასთან პარტნიორობით შექმნილი მზის ენერგიის ნეტო აღრიცხვის სისტემა ბიპისის საშუალებას აძლევს, ელექტროენერგია სრულად განახლებადი წყაროებიდან გამოიმუშაოს. ამოქმედების დღიდან, პროექტმა CO_2-ის ემისია 11,797 კილოგრამით შეამცირა, 4,733 კილოგრამი ნახშირი დაზოგა და 650 ხის გაჩეხვა აღკვეთა. 2025 წლისთვის ამ მაჩვენებლების სამმაგი ზრდაა მოსალოდნელი.

პროექტი მხარს უჭერს საქართველოს სუფთა ენერგიაზე გადასვლას, აუმჯობესებს ჰაერის ხარისხს და აძლიერებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას. ასევე, შთააგონებს სხვა კომპანიებს, მიბაძონ ამ მაგალითს, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ მდგრადობა და ბიზნესის წარმატება სრულიად შეთავსებადია. შიდა დონეზე, ბიპისი მდგრადობის კულტურას აყალიბებს თანამშრომლების ჩართულობისა და ენერგიის პასუხისმგებლიანი მოხმარების შესახებ ტრენინგების მეშვეობით, რითაც წვლილი შეაქვს უფრო კლიმატგონივრული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.

ბიპისის მზის ენერგიაზე გადასვლამ ელექტროენერგიის ხარჯები 1%-ით შეამცირა, დაასტაბილურა ენერგომომარაგება და ოპერაციები ბაზრის რყევებისგან დაიცვა. ინიციატივამ, ასევე, გააუმჯობესა ბრენდის რეპუტაცია მდგრადობაზე ორიენტირებულ მომხმარებლებს შორის, გააძლიერა კონკურენტუნარიანობა ბაზარზე და შექმნა ღირებული პარტნიორობა საქართველოს მწვანე ენერგიის მზარდ სექტორში. ეს კი ნათლად ადასტურებს, რომ მდგრადობა ერთდროულად მომგებიანიცაა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანიც.

FEDEX საქართველო

კლიმატური მდგრადობისთვის: FEDEX საქართველოს დაბალემისიური ლოგისტიკური ჰაბი

FedEx საქართველო სიამაყით წარადგენს EDGE სერტიფიცირებულ მესამე მხარის ლოგისტიკურ ცენტრს (3PL) – მდგრადი ლოგისტიკის მოდელს, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების მე-13 მიზანს სრულად შეესაბამება.

ობიექტი აერთიანებს ენერგოეფექტურ არქიტექტურას, ციფრულ ინვენტარიზაციის სისტემებს და დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო გადაწყვეტილებებს, რაც საშუალებას იძლევა, მიწოდების ჯაჭვის ოპერაციებში ნახშირბადის კვალი მნიშვნელოვნად შემცირდეს.

ეროვნული ხანძარსაწინააღმდეგო ასოციაციის (NFPA) სტანდარტებთან შესაბამისობით და გლობალური მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით აშენებული სასაწყობე კომპლექსი ნათლად ასახავს FedEx-ის გლობალურ მისიას – ემისიების შემცირებას, რესურსების ოპტიმიზაციასა და ინოვაციების ხელშეწყობას. საოპერაციო ეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შერწყმით, პროექტი FedEx საქართველოს წარმოაჩენს როგორც მდგრადი ლოგისტიკის რეგიონულ ლიდერს, რომელიც ერთდროულად აძლიერებს როგორც ეკონომიკურ ეფექტურობას, ისე კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას.

POLYVIM LLC
შპს პოლივიმი

პოლივიმი

მწვანე მომავლისთვის

პოლივიმი, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანია, პლასტმასის ნარჩენებს გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ღირებულებად გარდაქმნის. მისი ფლაგმანი ინიციატივა „მწვანე მომავლისთვის“ გაზომვადი ემისიების შემცირებისა და ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების ჩართულობის გზით, გაეროს მდგრადი განვითარების მე-13 მიზნის მიღწევას უწყობს ხელს.

2022 წლიდან დღემდე, პოლივიმმა 2,200 ტონაზე მეტი პლასტმასი გადაამუშავა, თავიდან აიცილა 4,500 ტონა CO_2-ის ემისია, ჩაანაცვლა 2,200 ტონა პირველადი პლასტმასი და დაზოგა 13,200 მ³ ნაგავსაყრელის სივრცე. კომპანიის მიერ წარმოებული პოლიპროპილენის (PP) და პოლიეთილენის (PE) გრანულები სრულად გამოიყენება ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო პოლიეთილენ ტერეფტალატის (PET) ფანტელები ექსპორტზე იგზავნება ევროკავშირის მიერ სერტიფიცირებულ მყიდველებთან. პოლივიმი იყენებს დახურული ციკლის წყლის სისტემას, ახორციელებს ხეების დარგვის პროგრამებს და ატარებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს პარტნიორებთან, მათ შორის, Coca-Cola Bottlers Georgia-სთან. ამ ინიციატივებმა ათასობით ადამიანი ჩართო საგანმანათლებლო და დასუფთავების აქციებში, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას.

პროექტი ამაღლებს ცნობიერებას კლიმატის ცვლილების შესახებ, ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებისა და გადამუშავების კულტურის ჩამოყალიბებას და მხარს უჭერს ადგილობრივ მეწარმეებს.

პროექტი ზრდის მოგებას და ქმნის დადებით სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს: მუნიციპალიტეტები იღებენ შემოსავალს ნარჩენებისგან, კომპანიები ამცირებენ გადამუშავების ხარჯებს, ხოლო ექსპორტი უზრუნველყოფს დამატებით შემოსავალს საზღვარგარეთიდან. გადამუშავების შედეგად მიღებული მასალები აძლიერებს შიდა მიწოდებას, ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და უწყობს ხელს პარტნიორი ბრენდების ზრდას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნარჩენების გადამუშავება მდგრადი და გონივრული ბიზნესს მოდელია.

როქი

კლიმატური ცვლილებების გავლენა სოფლის მეურნეობაში

როქი, რეგიონულ ცენტრებთან და რძის ნიშნის ფედერაციასთან პარტნიორობით და განათლებისა და კლიმატგონივრული ვეტერინარული გადაწყვეტილებების გზით, ფერმერებს კლიმატის ცვლილებასთან ცხოველების მოვლის ადაპტაციაში ეხმარება.

ხუთი ინოვაციური ნაკრები, რომელიც მიმართულია თერმულ სტრესთან, მასტიტთან და დაბალ პროდუქტიულობასთან გასამკლავებლად, იყენებს ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტებს, მათ შორის რუმიფოსს, ვიტამინებსა და პრობიოტიკებს, რაც რძის მოსავლიანობას 10-15%-ით და ცოცხალ წონას - 20%-ით ზრდის. 12 მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა ტრენინგებმა მოიცვა 2,029 ფერმერი (მათ შორის 45% ქალია) და 50 ვეტერინარი, რითაც გაძლიერდა ინკლუზიურობა და ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

პროექტმა გააუმჯობესა ფერმერთა ცნობიერება, შეამცირა დაავადებების შემთხვევები და ანტიბიოტიკების გამოყენება, ხოლო მრავალენოვანი ტრენინგების მეშვეობით, გაძლიერა ქალები და ეთნიკური უმცირესობები. ეფექტურმა კვებამ შეამცირა მეთანის ემისიები, ხოლო წამყვანი ფერმერები ცოდნას სხვებს უზიარებენ.

კლიმატგონივრული ნაკრებები უკვე ხელმისაწვდომია 33 აფთიაქსა და 400-ზე მეტ საკვებო ობიექტში, რამაც გაყიდვები 28%-ით გაზარდა. მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსი 95%-ს შეადგენს, ასევე, გაიზარდა განმეორებითი გაყიდვების მაჩვენებელიც.

როქიმ განამტკიცა რეპუტაცია, როგორც მდგრადობაზე ორიენტირებულმა ლიდერმა ვეტერინარიის სფეროში. კომპანია სამომავლოდ გეგმავს პოსტსტრესული აღდგენის ნაკრებებისა და ციფრული ინსტრუმენტების შემუშავებას, რაც მის საქმიანობას უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მდგრადი განვითარების მე-13 მიზანთან და საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

შენობით ბიზნესთან

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად

სატელევიზიო პროექტი „შენობით ბიზნესთან“, პროგრამა „მონეტიზაციის“ ჩათვლით, მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მიზნების, მათ შორის, SDG 5-ის, SDG 7-ის, SDG 8-ის, SDG 12-ის და SDG 13-ის მიღწევას.

ნარჩენების მართვის ასოციაციასთან და პალიტრა მედიასთან პარტნიორობით, პროექტი ახდენს პასუხისმგებლიანი ბიზნესისა და მდგრადი განვითარების პოპულარიზაციას. სატელევიზიო ეპიზოდები ქალთა გაძლიერებისა და მწვანე ენერგიის შესახებ, ნათლად ასახავს კომპანიის სოციალურ და გარემოსდაცვით პრიორიტეტებს. პროგრამა ყოველკვირეულად ათიათასობით მაყურებლამდე აღწევს, რაც ზრდის ცნობიერებას მდგრადობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლისა და ნარჩენების მართვის შესახებ.

პროექტი აძლიერებს ქალი მეწარმეების ხმას, წარმოაჩენს ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას და ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას საერთო მიზნების გარშემო აერთიანებს. საგანმანათლებლო შინაარსმა მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების ცოდნა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის, რითაც ხელი შეუწყო პასუხისმგებლიანი მოხმარებისა და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

გადაცემაში წარმოდგენილი ორგანიზაციები გაზრდილ ხილვადობასა და პარტნიორობის ახალ შესაძლებლობებზე მიუთითებენ. ხოლო თავად გადაცემა აგრძელებს ეროვნული დიალოგის წარმართვას, რაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ მედიას შეუძლია, იყოს პოზიტიური ცვლილებების მძლავრი კატალიზატორი.

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

საქართველოს ბანკი მაკ ჯორჯიასთან პარტნიორობით

მომავალში ინვესტირება: სტუდენტების მხარდაჭერა

2024 წლის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, საქართველოს ბანკმა, მაკ ჯორჯიასთან პარტნიორობით, 200,000 ლარი გამოყო 100-ზე მეტი სტუდენტის მხარდასაჭერად, რომელთა განათლება ოჯახის შემოსავლების შემცირების გამო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. გამოყოფილი თანხები ფარავდა როგორც სწავლის, ისე ცხოვრების ხარჯებს, რაც უზრუნველყოფდა სწავლის პროცესის უწყვეტობას.

ინიციატივის წარმატებამ პარტნიორობა გრძელვადიან პროგრამად – UNIGRANT-ად გარდაქმნა, რომელიც აგრძელებს ფინანსური საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას და შესაბამისად, ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობასა და გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის – ხარისხიანი განათლების მიღწევას.

პროექტმა 100-ზე მეტი სტუდენტისთვის უზრუნველყო განათლების გაგრძელების შესაძლებლობა, შეამცირა ფინანსური სტრესი ოჯახებისთვის და გააძლიერა საზოგადოების მდგრადობა ახალგაზრდების მომავალში ინვესტირების გზით. ინიციატივამ ხელი შეუწყო აკადემიური ჩამორჩენის პრევენციას და ქვეყნის ადამიანური კაპიტალი გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიერა.

ინიციატივამ განამტკიცა საქართველოს ბანკის, როგორც პასუხისმგებლიანი და მზრუნველი კორპორაციული ლიდერის რეპუტაცია. მაკ ჯორჯიასთან პარტნიორობამ უზრუნველყო პროცესის გამჭვირვალობა, გაზარდა საზოგადოების ნდობა და მედიაში დადებითი გამოხმაურება გამოიწვია. სტუდენტების პირდაპირი მხარდაჭერის გზით, ბანკმა გააღრმავა კავშირი საზოგადოებასთან და გააძლიერა საკუთარი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი ზრდის მაგალითის იმიჯი.

ეფეს საქართველო თბილისი ჰაბთან პარტნიორობით

მდგრადი მეწარმეობისა და სტარტაპების გაძლიერების პროგრამა

ეფეს საქართველო ყოველწლიურად თანამშრომლობს Social Impact Award-თან და ანადოლუ ეფესთან, რათა მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა ქართველ. ეს პარტნიორობა ასახავს კომპანიის ერთგულებას იმ თაობის გაძლიერებისადმი, რომელიც ქმნის პოზიტიურ ცვლილებებსა და მდგრად მომავალს.

2024 წელს, თბილისი ჰაბთან თანამშრომლობით, ეფეს საქართველომ განახორციელა 8-კვირიანი აქსელერაციის პროგრამა 58 სტარტაპ გუნდისთვის. პროგრამამ მონაწილეებს შესთავაზა მენტორობა და ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მხარდაჭერა, ხოლო მისი დასასრულს, ექვსმა გამორჩეულმა გუნდმა წარმოადგინა საკუთარი ინოვაციური პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრას.

კომპანია ასევე რეგულარულად უჭერს მხარს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა DataFest, Product Tank და Tech Summit 2025, რითაც ხელს უწყობს თანამშრომლობისა და უწყვეტი სწავლების კულტურის განვითარებას.

პროგრამა აძლიერებს ახალგაზრდა მეწარმეებს, უზრუნველყოფს მათ ცოდნით, უნარებითა და პარტნიორობით, რათა განათლების, დასაქმებისა და მდგრადობის მიმართულებით შექმნან სტარტაპები და შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის ინოვაციურ და სოციალურ განვითარებაში.

მეწარმეობის მხარდაჭერით, ეფეს საქართველომ შექმნა ძლიერი პლატფორმა ინოვაციისა და თანამშრომლობისთვის, რომელიც აერთიანებს ტალანტებსა და იდეებს და აძლიერებს კომპანიის გავლენას ქვეყნის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ელემენტ ჰოლდინგი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან პარტნიორობით

CSR შესაძლებლობები დღეს

ელემენტ ჰოლდინგმა პასუხისმგებლიანი ბიზნესის პოპულარიზაციისთვის გრძელვადიანი მიდგომა აირჩია: კომპანია გახდა „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის – მელიორა 2024“-ის სპონსორი და დაიწყო საინფორმაციო კამპანია „CSR შესაძლებლობები დღეს“. ინიციატივა განხორციელდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) დაფინანსებული პროგრამის – „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში.

პროექტი ფოკუსირებული იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოს მფლობელთა რეალურ ისტორიებზე, რათა წახალისებულიყო წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, გაზრდილიყო ცნობიერება და გააქტიურებულიყო საზოგადოების გრძელვადიანი ჩართულობა.

კამპანიამ გააფართოვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აღქმა საქართველოში და იგი აქცია ხელმისაწვდომ და პრაქტიკულ მიდგომად ყველა ტიპის ბიზნესისთვის. სოციალური მედიისა და რეალური ისტორიების გაზიარების მეშვეობით, კამპანიამ გაზარდა ცნობიერება, ხელი შეუწყო გამოცდილების გაცვლას და წარმოაჩინა კორპორაციული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარკეტინგულ ინსტრუმენტად, არამედ -გრძელვადიან ღირებულებად.

მცირე კომპანიებისა და მრავალფეროვანი ხმების წარმოჩენით, ინიციატივამ გააძლიერა ინკლუზიურობა, ევროპული ფასეულობები და ანგარიშვალდებულების კულტურა ბიზნეს სექტორში.

ღირებულებებისადმი ერთგულებამ გაუმჯობესა ელემენტ ჰოლდინგის იმიჯი, გაზარდა ნიჭიერი კადრების მოზიდვის პოტენციალი და გამოარჩია იგი ბაზარზე.

ბაზისბანკი აზიის განვითარების ბანკთან პარტნიორობით

სს ბაზისბანკის მდგრადი ბონდი

2024 წლის აგვისტოში, ბაზისბანკმა გამოუშვა საქართველოში პირველი 20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მდგრადი ობლიგაცია – ქვეყნის კომერციული ბანკის მიერ განთავსებული პირველი საჯარო ობლიგაცია, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) სტანდარტებს.

ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლები მიემართება გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების დაფინანსებაზე, მათ შორის, განახლებადი ენერგიის, მწვანე შენობების, ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებებში – გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და საქართველოს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შესაბამისად.

აზიის განვითარების ბანკმა ობლიგაციებში განახორციელა 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო DNV-მ დაადასტურა მათი შესაბამისობა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ასოციაციის (ICMA) მწვანე და სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან.

ობლიგაცია ხელს უწყობს დაბალნახშირბადიან და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, აფართოებს ხელმისაწვდომობას ჯანდაცვასა და განათლებაზე, ზრდის ენერგოეფექტურობას და გენდერული სამოქმედო გეგმის მეშვეობით, მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას.

ობლიგაციის გამოშვებამ ბაზისბანკს მისცა შესაძლებლობა, დაეკავებინა ლიდერის პოზიცია მდგრადი დაფინანსების სფეროში, გაეძლიერებინა ESG მენეჯმენტი, შეემცირებინა ემისიები და დაემკვიდრებინა პასუხისმგებლიანი დაფინანსების ახალი ეროვნული სტანდარტი. ინიციატივამ გააძლიერა ბანკის რეპუტაცია, გაზარდა ინვესტორების ნდობა და ხელი შეუწყო საქართველოს მწვანე ტრანზიციასა და გრძელვადიანი, მდგრადი კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

პროკრედიტბანკ საქართველო ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან პარტნიორობით

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ევროკავშირის, შვედეთისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული ინიციატივა მხარს უჭერს ქალ მეწარმეებს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის – „ქალები ბიზნესში"- ფარგლებში. პროექტის მიზანია ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე არსებული ფინანსური და სოციალური ბარიერების დაძლევა შეღავათიანი ინდივიდუალური სესხების გაცემის გზით, რომელიც გამოირჩევა დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, შეზღუდული უზრუნველყოფის მოთხოვნებითა და საკომისიოების შემცირებით.

ფინანსური მხარდაჭერის გარდა, პროექტი ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას ციფრული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის შესახებ ტრენინგებისა და საკონსულტაციო პროგრამების უზრუნველყოფით.

ტრენინგებმა გაუმჯობესა მენეჯერული და ციფრული უნარები, ხოლო გაზრდილმა ფინანსურმა დამოუკიდებლობამ განამტკიცა ქალთა თავდაჯერებულობა და შეამცირა უთანასწორობა. შიდა დონეზე, თანამშრომლებმა გაიარეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ, რაც ხელს უწყობს კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და ინკლუზიური მომსახურების განვითარებას.

ინიციატივამ გააფართოვა პროკრედიტ ბანკის კლიენტთა ბაზა, მოახდინა სასესხო პორტფელის დივერსიფიკაცია და განამტკიცა ბანკის, როგორც ინკლუზიური დაფინანსების ლიდერის რეპუტაცია. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობამ გაზარდა ნდობა, ხოლო ESG პრინციპების ინტეგრაციამ მოიზიდა პასუხისმგებლიანი ინვესტორები. ძირითად სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებით, პროკრედიტ ბანკმა მიაღწია როგორც სოციალური გავლენის, ასევე ბიზნესის მდგრადობის ზრდას.

თიბისი ბანკი FINANCE IN MOTION-თან პარტნიორობით

ESG აკადემია

ევროპულ ფონდ "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის" (EFSE) და Finance in Motion-ის მიერ მართულ „მწვანე ზრდის ფონდთან"(GGF) პარტნიორობით, თიბისი ბანკმა ESG აკადემია დააარსა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს პირველ სპეციალიზებულ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების შესახებ განათლების პლატფორმას. პლატფორმის ძირითადი კურსი – „მწვანე აზროვნება და მწვანე დაფინანსება", რომელიც მოგვიანებით, კლიენტებისთვის ადაპტირდა სახელწოდებით - „შექმენი მწვანე მომავალი", მიზნად ისახავს მდგრადობის შესახებ ცნობიერებისა და ESG წიგნიერების განვითარებას.

Develor-თან თანამშრომლობით შემუშავებული ჰიბრიდული, თამაშებზე დაფუძნებული პროგრამა აერთიანებს შემთხვევების კვლევებს, ინტერაქტიულ ინსტრუმენტებსა და სემინარებს, ESG აზროვნების რეალური ტრანსფორმაციის ხელშესაწყობად.

ESG აკადემია ხელს უწყობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხებისა და მდგრადი დაფინანსების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, აძლიერებს პასუხისმგებლობის კულტურას, მხარს უჭერს რეგიონულ ინკლუზიურობას და ხელს უწყობს ცხოვრების მდგრადი წესის ჩამოყალიბებას.

ESG აკადემიამ ხელი შეუწყო თიბისის ბიზნესის ზრდას ინოვაციების ხელშეწყობის გზით – ESG-ზე დაფუძნებული სასწავლო მოდულების შემუშავებითა და მდგრადი სესხების პორტფელის გაფართოებით.

პროგრამამ გაამყარა ბანკის, როგორც ESG სტანდარტების საქმიანობაში ინტეგრაციის ეროვნული ლიდერის რეპუტაცია, განავითარა შიდა შესაძლებლობები – გადაამზადა 900-ზე მეტი თანამშრომელი და გააღრმავა თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის - ევროპულ ფონდთან „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის" და „მწვანე ზრდის ფონდთან".

თეგეტა ჰოლდინგი და ნაპირზე პარტნიორული პროექტი

გაზარდე საკუთარი ტყე

ინიციატივა „გაზარდე საკუთარი ტყე“ თეგეტა ჰოლდინგისა და პროექტ „ნაპირის“ პარტნიორული პროექტია, რომელიც რუსთავის შუაგულში მდებარე მტკვრის ჭალის აღდგენას ისახავს მიზნად და მდგრადი განვითარების მე-17 მიზანს უჭერს მხარს.

2024–2025 წლებში 200-ზე მეტმა მოხალისემ, მათ შორის თეგეტას 50-ზე მეტმა თანამშრომელმა, 3,000 ადგილობრივი ჯიშის ხე დარგო, რომლებიც, მოსალოდნელია, რომ ოთხ წელიწადში 120 ტონა CO_2-ს შთანთქავს.

პროექტი, რომელიც ხორციელდება Tegeta.Care-ის ფარგლებში და მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამის მიერ, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, კლიმატმედეგობის ზრდასა და საზოგადოებრივ ჩართულობას. ინიციატივა გამწვანების ღონისძიებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს აერთიანებს.

პროექტმა აღადგინა ქალაქ რუსთავის 300 ჰექტარზე მდებარე ჭალის ტყის ნაწილი, სადაც 140-ზე მეტი სახეობის ფრინველი და გადაშენების პირას მყოფი ევრაზიული წავი ბინადრობს. ხეების გადარჩენის მაჩვენებელმა 95% შეადგინა, რამაც ჰაერის ხარისხი გაუმჯობესა და გაზარდა საზოგადოებრივი ცნობიერება ეკოსისტემების დაცვის აუცილებლობის შესახებ, ასევე, მოსახლეობას დაეხმარა ბუნებასთან კავშირის აღდგენაში.

ინიციატივამ განამტკიცა თეგეტას ლიდერობა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებებით, გააძლიერა ბრენდის რეპუტაცია, გაზარდა თანამშრომელთა ჩართულობა და გაამყარა ნდობა დაინტერესებულ მხარეებთან.

ეკონომიკურად ეფექტიანმა თანამშრომლობამ პროექტთან და გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (UNDP/GEF) ჩარჩოებთან შესაბამისობამ, გააფართოვა თეგეტას ქსელი მდგრადი განვითარების სფეროში და კომპანია წარმოაჩინა, როგორც კერძო სექტორის საკვანძო პარტნიორი საქართველოს მწვანე ტრანზიციის პროცესში.

თეგეტა ჰოლდინგი ჩართესთან პარტნიორობით

თეგეტა გოგონების ციფრული მომავლისთვის

2024 წელს თეგეტა ჰოლდინგმა, Charte.ge-სთან და ნეო უნივერსიტეტ სქილვილთან ერთად, დაიწყო პროექტის - „თეგეტა გოგონების ციფრული მომავლისთვის“ განხორციელება, რომლის მიზანია გენდერული ბარიერების დაძლევა ტექნოლოგიურ განათლებაში.

პროექტი, რომელიც Tegeta.Care პლატფორმის ნაწილია, მხარს უჭერს გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზანს – ხარისხიან განათლებას, და 10 გოგონასთვის უზრუნველყოფს სრულ დაფინანსებას პროგრამირების, კიბერუსაფრთხოების, UX/UI-დიზაინისა და IT პროექტების მენეჯმენტის შესასწავლად.

ყველა მონაწილემ დაასრულა შვიდთვიანი კურსი და 100+ ჯგუფში საუკეთესო შედეგებს მიაღწია. რამდენიმე მათგანმა უკვე დაიწყო სტაჟირება ან ფრილანსერად მუშაობა. ინიციატივამ გოგონებს საშუალება მისცა, შეეღწიათ ტრადიციულად მამაკაცებით დომინირებულ სფეროებში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ციფრული წიგნიერების, თავდაჯერებულობისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ზრდას.

პროექტმა გააძლიერა თეგეტას ბრენდის, როგორც გენდერული თანასწორობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ლიდერის რეპუტაცია, გაზარდა თანამშრომელთა ჩართულობა, გააღრმავა პარტნიორობა Charte.ge-სა და Skillwill-თან და მოამზადა ნიჭიერი პროფესიონალების ახალი თაობა – როგორც კომპანიისთვის, ასევე ქვეყნის ტექნოლოგიური სექტორისთვის.

პროექტმა თეგეტა წარმოაჩინა ინოვაციურ და ინკლუზიურ დამსაქმებლად, რომელიც ქმნის გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ გავლენას.



მონაცემთა ანალიზის ლაბორატორია უსინათლოთა კავშირის, კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრთან პარტნიორობით

აფხაზურენოვანი ხმის სინთეზი შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის

უსინათლოთა კავშირთან პარტნიორობით, მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიამ აფხაზურ ენაზე ტექსტის ხმად გარდაქმნის სისტემის შესაქმნელად მიიღო გრანტი შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან.

ინიციატივა ხელს შეუწყობს საჯარო ინსტიტუტების ვებგვერდების ხელმისაწვდომობას როგორც ქართულენოვანი, ისე აფხაზურენოვანი შეზღუდული მხედველობის მქონე მომხმარებლებისთვის. სამწლიანი პროექტი მოიცავს აუდიოჩანაწერების წარმოებას უსინათლოთა კავშირის სტუდიაში, ხოლო დაფინანსების ნაწილი მოხმარდება მათი მომსახურების ანაზღაურებას. პროექტი ასობით შეზღუდული მხედველობის მქონე ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, დისტანციურად მიიღონ წვდომა ლიტერატურასა და სახელმწიფო სერვისებზე – ფიზიკური გადაადგილების ან კომპაქტ-დისკების მოთხოვნის გარეშე. ინიციატივა ხელს უწყობს დამოუკიდებლობის, განათლებისა და კულტურული ინტეგრაციის ზრდას, უზრუნველყოფს უმცირესობათა ენების ხელმისაწვდომობას და შეზღუდული მხედველობის მქონე მოქალაქეებს უშუალოდ რთავს აუდიომასალის ჩაწერისა და ტესტირების პროცესში.

პროექტი არა მხოლოდ გამოკვეთს ციფრული ინკლუზიის მნიშვნელობას, არამედ ქმნის მდგრად მოდელს ხელმისაწვდომობაზე დაფუძნებული პროგრესისთვის. ასევე, აძლიერებს მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიის, როგორც ინკლუზიური და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ლიდერის რეპუტაციას. იგი აფართოებს კომპანიის საექსპერტო ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ხელმისაწვდომობისა და ხმის ტექნოლოგიების მიმართულებით, ხელს უწყობს ახალ პარტნიორობებს სამოქალაქო საზოგადოებასთან და საჯარო ინსტიტუტებთან. რეალური გავლენის მქონე პროექტების განხორციელებით, ინიციატივა ავითარებს შიდა შესაძლებლობებს და კომპანიას ინოვაციებისა და გრანტების მოძიების ახალ შესაძლებლობებს უხსნის.



მონაცემთა ანალიზის ლაბორატორია უსინათლოთა კავშირის, კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრთან პარტნიორობით

აუდიოწიგნების ვებპორტალი შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის

უსინათლოთა კავშირის მხარდასაჭერად, მონაცემთა ანალიზის ლაბორატორია ქმნის აუდიოწიგნების ონლაინ პლატფორმას, რომელიც ჩაანაცვლებს მოძველებულ, კომპაქტ-დისკებზე დაფუძნებულ დისტრიბუციის სისტემას. პროექტის ფარგლებში, უსინათლოთა კავშირის სტუდიაში ჩაწერილი ასობით გიგაბაიტი აუდიომასალა განთავსდა კომპანიის სერვერებზე, რაც უზრუნველყოფს უფასო საცავ სივრცესა და ტექნიკურ მხარდაჭერას პლატფორმის შემდგომი განვითარებისათვის.

პლატფორმა უზრუნველყოფს დისტანციურ წვდომას ასობით შეზღუდული მხედველობის მქონე მომხმარებლისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს დაზოგონ დრო და მგზავრობის ხარჯები. ინიციატივა ხელს უწყობს განათლებას, კულტურულ ჩართულობასა და ციფრულ ინკლუზიას, ხოლო პარალელურად ამცირებს უსინათლოთა კავშირის საოპერაციო დატვირთვას.

პროექტი ზრდის ორგანიზაციის ეფექტიანობას და ამავდროულად ქმნის მოდელს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიერ.

ინიციატივა აძლიერებს კომპანიის, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი ორგანიზაციის იმიჯს და წარმოაჩენს მის ექსპერტულ ცოდნას ვებ-რესურსებზე ხელმისაწვდომობის (WCAG) და ინკლუზიური დიზაინის სფეროში. იგი აღრმავებს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აფართოებს ხილვადობას სოციალური ინოვაციების ეკოსისტემაში და პრაქტიკული, შედეგზე ორიენტირებული განვითარების გზით, ამდიდრებს გუნდის გამოცდილებას.

საქართველოს აუდიტორული კომპანია GAC საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის პარტნიო-რობით

ბიზნესი, ცოდნა და პარტნიორობა – პროფესიული პლატფორმა მეწარმე ქალებისთვის

2025 წლის 23 მარტს, თბილისში გამართული სიმპოზიუმი „ბიზნესი, ცოდნა და პარტნიორობა“ წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. GAC-ის, GLIP-ისა და საქართველოს ქალ აუდიტორთა და იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმი მიზნად ისახავდა ქალი მეწარმეების მხარდაჭერას ბიზნესის სამართლებრივად, გამჭვირვალედ და სტრატეგიულად მართვის პროცესში.

100-ზე მეტმა ქალმა მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტი ექსპერტის მიერ ჩატარებულ ტრენინგ-სესიებში, რომლებიც მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა საგადასახადო რეგულაციები, მოლაპარაკებების ტექნიკა და დროის მენეჯმენტი.

ღონისძიების ფარგლებში, 25 მონაწილემ წარმოადგინა საკუთარი ბრენდი, ხოლო 32 მეწარმემ მიიღო უფასო იურიდიული კონსულტაცია, რის შედეგადაც განხორციელდა ხელშეკრულებების გადახედვა, ბიზნესის რეგისტრაცია და საგადასახადო ოპტიმიზაცია.

პროექტის შემდეგი ეტაპი (2025–2026 წწ.) მოიცავს რეგიონულ სემინარებს, ონლაინ კონსულტაციის პლატფორმას, მცირე ბიზნესის გრანტების პროგრამას და ქალთა მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის კვლევას. პროექტი ხელს უწყობს ქალთა წვდომას ფინანსურ რესურსებზე, იურიდიულ ცოდნასა და ბიზნეს-ქსელებზე, ამცირებს გენდერულ და რეგიონულ უთანასწორობას და აძლიერებს თავდაჭერებულობასა და მენტორობის კულტურას.

ინიციატივა ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესების ზრდას, ხოლო მონაწილეებმა უკვე მიაღწიეს გაზომვად შედეგებს ოპერირების ეფექტიანობასა და სამართლებრივ შესაბამისობაში. ქალთა ხმის გაძლიერება პოლიტიკის განხილვებში ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და გრძელვადიან მდგრად განვითარებას.

პროექტი აძლიერებს მცირე და საშუალო საწარმოებს, ზრდის ბაზრის გამჭვირვალობასა და კონკურენტუნარიანობას, ქმნის სანდო და დაბალი რისკის მქონე პარტნიორებს ფინანსური ინსტიტუტებისა და ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, ხელს უწყობს ESG მიზნებთან შესაბამისი პარტნიორობების დამყარებასა და ინკლუზიური ბიზნეს-ეკოსისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს აუდიტორული კომპანია GAC საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის პარტნიორობით

სამართლებრივი დიალოგი ევროპასთან – პროფესიული გაძლიერება და პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

„სამართლებრივი დიალოგი ევროპასთან“ – ეს არის GAC-ის, GLIP-ის და საქართველოს ქალ აუდიტორთა და იურისტთა ასოციაციის მრავალწლიანი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კავშირების გაძლიერებას წამყვან ევროპულ სამართლებრივ ინსტიტუტებთან – მაღალი დონის ვიზიტებისა და პროფესიული გაცვლითი პროგრამების გზით. 2019 წლიდან მოქმედი პროექტი გადაიქცა ეთიკასა და ცოდნაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ძირითად პლატფორმად.

2024 წელს, საქართველოდან 40-ზე მეტი მოსამართლე, ადვოკატი და აუდიტორი სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (ლუქსემბურგი) და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (სტრასბურგი). ვიზიტების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შრომის სამართალი, კონკურენციის პოლიტიკა, მომხმარებელთა დაცვა და მონაცემთა კონფიდენციალურობა.

ინიციატივა აძლიერებს პროფესიულ ეთიკას, გამჭვირვალობასა და რეგიონულ ინკლუზიურობას.

პროგრამამ გააძლიერა პარტნიორი ორგანიზაციები ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ახალი საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებების დანერგვის გზით, ამასთან, GLIP-მა დააარსა ეთიკის კვლევითი ლაბორატორია, ხოლო ქალ აუდიტორთა და იურისტთა ასოციაციამ დაიწყო რეგიონული სერტიფიცირების პროგრამების განხორციელება. იურიდიული დიალოგი ევროპასთან იქცა სტრატეგიულ ხიდად საქართველოსა და ევროპას შორის, რომელიც ხელს უწყობს ეთიკურ ლიდერობას, პროფესიულ განვითარებას და მდგრად ინსტიტუციურ ზრდას.

ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი რივერვიუ საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციასთან პარტნიორობით

კარიერული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებისთვის

ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი რივერვიუ, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციასთან პარტნიორობით, ინკლუზიურობას და თანაბარ შესაძლებლობებს უწყობს ხელს. სასტუმრო დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებს სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირებას სთავაზობს, რაც მათ პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, კომუნიკაციისა და პროფესიული უნარების განვითარებასა და მხარდამჭერ გარემოში თავდაჯერებულობის განმტკიცებაში ეხმარება. გარდა ამისა, სასტუმრო ასოციაციას სივრცეს უთმობს ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს საზოგადოების მიერ მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მნიშვნელობის გააზრებას.

პროგრამა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების კარიერულ განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციას უჭერს მხარს. ერთ-ერთი სტაჟიორი უკვე დასაქმდა სრულ განაკვეთზე, რაც ამ მოდელის წარმატებას ადასტურებს. პროექტმა მონაწილეებს მისცა მეტი დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა სამუშაო გარემოში, ხოლო სასტუმროს გუნდს – ხელი შეუწყო ინკლუზიური და მხარდამჭერი სამუშაო კულტურის განვითარებაში.

თანამშრომლობა ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და ინკლუზიურობის გაძლიერებას ფართო საზოგადოებაში. პროექტმა გააძლიერა ჰილტონ გარდენნ ინნ-ის რეპუტაცია, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი ბრენდისა, რითაც გააუმჯობესა თანამშრომელთა განწყობა, გუნდის ერთიანობა და მომხმარებელთა ლოიალობა. ინიციატივა სრულ თანხვედრაშია Hilton-ის „Travel with Purpose“ (TWP) გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სტრატეგიასთან და წარმოადგენს ინკლუზიური დასაქმების მდგრად მოდელს სტუმარმასპინძლობის სექტორში, რაც ცხადყოფს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა და ბიზნესის წარმატება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ეკობრენდს ჯორჯია პარსიფალთან პარტნიორობით

სათამაშო სივრცის მოწყობა მაწევანში

ეკობრენდსი თანამშრომლობს ახალგაზრდულ ორგანიზაცია პარსიფალთან, რომელიც თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მაწევანში მდებარეობს. ორგანიზაცია განათლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების მიმართულებით მუშაობს. სპეციალური გაყიდვების კამპანიიდან მიღებული თანხა სრულად გადაერიცხა პარსიფალს საბავშვო სათამაშო მოედნის ასაშენებლად, რომელიც აღჭურვილია საქანელებით, ბალანსირების ძელებითა და მინი-ზიპლაინით.

პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივი ბავშვების შემოქმედებითი და სოციალური ინტერაქციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, მხარს უჭერს ორგანიზაციის მისიას – გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და თემების მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით.

ახალი სათამაშო მოედანი სოფლის ბავშვებს სთავაზობს უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სივრცეს თამაშისა და თავისუფალი დროის გასატარებლად, რაც ხელს უწყობს მათ კეთილდღეობასა და აკადემიურ განვითარებას. ინიციატივა, ასევე, აძლიერებს საზოგადოებრივ ერთიანობას, ქმნის თავშეყრის ადგილს ოჯახებისთვის და წაახალისებს ადგილობრივებს, დარჩნენ საცხოვრებლად მაწევანში, რაც ხელს უწყობს თემის გრძელვადიან განვითარებას. გარდა ამისა, ინიციატივამ გაზარდა ახალგაზრდების მიერ მართული რეგიონული განვითარების პროექტების ცნობადობა და გააააქტიურა ეკობრენდსის თანამშრომელთა ჩართულობა.

თანამშრომლობამ გააძლიერა ეკობრენდსის რეპუტაცია, როგორც პასუხისმგებლიანი კომპანიისა, გაზარდა თანამშრომელთა კმაყოფილება და გაამყარა კავშირები ღირებულებებზე ორიენტირებულ პარტნიორებთან და მომხმარებლებთან. პროექტმა ნათლად აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ინიციატივებთან თანხვედრამ გააძლიეროს როგორც დადებითი გავლენა საზოგადოებაზე, ისე - ერთგულება ბრენდის მიმართ.

ლივინგსტონი UN WOMEN საქართველოსთან პარტნიორობით

ცვლილებებს ქალების ხმა აქვს

საქართველოს ძლიერი ქალების მემკვიდრეობა დიდი ხნის განმავლობაში ავტორიტარული რეჟიმების მიერ იყო დამალული. კამპანიამ - „ცვლილებებს ქალების ხმა აქვს“, ეს ისტორიები საარქივო მასალების, საოჯახო ჩანაწერებისა და სამუზეუმო კოლექციების დახმარებით გააცოცხლა, რითაც წარსული გენდერული თანასწორობის თანამედროვე მოძრაობასთან დაუკავშირა. ქალ ლიდერებთან და აქტივისტებთან თანამშრომლობით, აღნიშნული ინიციატივა გახდა ეროვნული მოწოდება მოქმედებისკენ, რომელიც ქალებს შთააგონებს, დაიბრუნონ საკუთარი ადგილი ისტორიასა და პოლიტიკაში.

კამპანიამ 1.4 მილიონი ადამიანი მოიცვა, რამაც ხელი შეუწყო ქალ ამომრჩეველთა რეკორდულად მაღალ აქტივობას და პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობის გასამმაგებას. ერთ-ერთმა მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიამ პირველად აირჩია ქალი ლიდერი, ხოლო საარჩევნო დამკვირვებელთა 68% ქალი იყო. მოძრაობამ ბიძგი მისცა პოლიტიკური აქტივობის ახალ ტალღას, მათ შორის, ქალების მიერ მართული პარტიის ჩამოყალიბებასაც, რითაც ხელი შეუწყო მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის წინსვლას და ქალთა ლიდერობის შესახებ არსებული სტერეოტიპების ცვლილებას.

კამპანიამ, რომელიც საქართველოს მედიის 80%-მა გააშუქა, მნიშვნელოვნად აამაღლა ნდობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიმართ, განსაკუთრებით - ახალგაზრდა ქალებში. პროექტმა გააძლიერა სამოქალაქო ჩართულობა, დაუკავშირა თაობები და ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის საკითხებში ლიდერად წარმოაჩინა. დაგეგმილია ინიციატივის საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება და მისი საერთაშორისო მასშტაბით გავრცელება ქალთა ხმისა და ლიდერობის გასაძლიერებლად.

სასტუმრო ჰილტონ ბათუმი კოლეჯ ბლექსისთან პარტნიორობით

ტალანტი საზღვრების გარეშე: ინკლუზიური კარიერული გზები სასტუმრო ჰილტონ ბათუმში

2015 წელს გახსნის დღიდან, ჰილტონ ბათუმმა მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აქცია და აჭარის სტუმარმასპინძლობის სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიმართულებით, პიონერი გახდა. დღეს, სასტუმროს სხვადასხვა დეპარტამენტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 თანამშრომელი მუშაობს. შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯთან პარტნიორობით, სასტუმრომ ინკლუზიური სტაჟირების პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც ცერებრული დამბლით დაავადებულ სტუდენტებს ორთვიან, სრულად დაფინანსებულ სტაჟირებას სთავაზობს პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული უნარების განვითარებისთვის.

ინიციატივა ხელს უწყობს დასაქმებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და უფრო ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. პროგრამა ხიდის როლს ასრულებს განათლებასა და დასაქმებას შორის, ზრდის მონაწილეთა თავდაჯერებულობასა და დამოუკიდებლობას. სასტუმროს თანამშრომლები გადიან ტრენინგს შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც აძლიერებს ემპათიასა და გუნდურ მუშაობას. ადგილობრივ პარტნიორებთან, მათ შორის, აჭარის დასაქმების სააგენტოსთან თანამშრომლობა ქმნის ინკლუზიური დასაქმების მდგრად მოდელს და საზოგადოებას უფრო ფართო ჩართულობისკენ მოუწოდებს.

პროექტი მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მე-8 და მე-10 მიზნებს, რითაც აძლიერებს ჰილტონ ბათუმის, როგორც ინკლუზიური სტუმარმასპინძლობის სექტორის ლიდერის როლს. მრავალფეროვანი გუნდი ზრდის თანამშრომელთა მოტივაციას, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხსა და სტუმართა კმაყოფილებას, ხოლო ადგილობრივ ინსტიტუტებთან პარტნიორობა განამტკიცებს სასტუმროს კავშირს საზოგადოებასთან და ცხადყოფს, რომ ინკლუზიურობა ხელს უწყობს როგორც სოციალურ პროგრესს, ასევე, მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

როქი კავკასიის ალიანსების პროგრამასთან პარტნიორობით

მცირე და საშუალო მეცხოველე ფერმერებში კლიმატგონივრული ვეტ-პრეპარატებისა და მათზე ხელმისაწვდომობის კუთხით ცნობიერების ამაღლება

პროექტი, რომელიც კავკასიის ალიანსების პროგრამასთან პარტნიორობით განხორციელდა, კლიმატგონივრული ვეტერინარული პროდუქტების გამოყენებას უწყობს ხელს. აღნიშნული, თავის მხრივ, ამცირებს ემისიებს, ზრდის პროდუქტიულობას და აუმჯობესებს ცხოველთა ჯანმრთელობას. ინიციატივა საქართველოს 10 რეგიონს მოიცავს და ადგილობრივ ექსპერტულ ცოდნას გლობალურ პრაქტიკებთან აერთიანებს. მისი მიზანია ფერმერების განათლება და მდგრადი გადაწყვეტილებებზე წვდომის გაფართოება – მდგრადი განვითარების მე-17 მიზნის მხარდასაჭერად.

ინიციატივამ ხელი შეუწყო ფერმერთა ცოდნის გაღრმავებას ცხოველთა ეკოლოგიურად სუფთა მოვლის მიმართულებით – ტრენინგების, საველე ვიზიტებისა და საგანმანათლებლო მასალების საშუალებით. პროექტმა გააფართოვა წვდომა კლიმატგონივრულ ვეტერინარულ პროდუქტებზე, გააძლიერა თანამშრომლობა ფერმერებსა და ვეტერინარებს შორის და წაახალისა ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა, რაც ხელს უწყობს თემების ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.

პროექტმა გააფართოვა როქის ბაზრის მასშტაბები და ფერმერებთან პირდაპირი ჩართულობის გზით, ნდობა გაამყარა. მდგრადი ვეტერინარული გადაწყვეტილებების პიონერის რანგში, როქიმ პირველი ნაბიჯის უპირატესობა მოიპოვა, რამაც მოთხოვნა და ხილვადობა გაზარდა. კავკასიის ალიანსების პროგრამასთან პარტნიორობამ აამაღლა სანდოობა, გაამყარა მისი რეპუტაცია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების თვალსაზრისით და დაამტკიცა, რომ მდგრადობა და ბიზნესის ზრდა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

კორპორაციული
მდგრადობის
ჯილდო
2025